ლიბერალი
№ 166
დეკემბერი 2015 - იანვარი 2016

ნიკოლოზ ჯანჯღავა: თალიბანი - ავღანური ფენიქსი გვ. 18
გრიგოლ გეგელია: „ISIS: სიკვდილის არმია“ გვ. 10
ინტერვიუ ზაზა შათირიშვილთან გვ. 26
რა სურს 59%-ს? გვ. 48
ახალი უშიშროების ძველი საშიშროებები გვ. 58
ვინ უზრუნველყოფს ჩვენს სიბერეს? გვ. 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 1987-7528
9 771987 752008
ფასი 5 ლარი

1737
2015

ქალაქი შავი კონტურებით

გვ. 40

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენ გირჩევთ

შემოგვიერთდი განახლებულ

www.liberali.ge_ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 166
დეკემბერი 2015 – იანვარი 2016

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამგები რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, ნიკოლოზ ჯანჯღლავა, გრიგოლ გეგელია, დათო როსტომაშვილი, ირაკლი ხვადაგიანი, აკა მორჩილაძე

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი
ნათია ორმოცაძე

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

კომუნიკაციის მენეჯერი
ელენე ხარაზაშვილი

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამონერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

აქსიომა

15 დეკემბერს, იმ დღეს, როდესაც „ლიბერალის“ წინამდებარე ნომერს დისტრიბუტორები პრესის ჯიხურებში დაარიგებენ, ევროკომისია გამოაქვეყნებს პროგრესის ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ქვეყნები ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ახლა, 9 დეკემბერს, როდესაც რედაქტორის ეს სვეტი იწერება, გერმანული „ბილდი“ დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ ანგარიში პოზიტიური იქნება და უვიზო რეჟიმი საქართველოსთან ძალაში მომდევნო 2016 წლის ივნისში, ან ივლისში შევა.

ევროპასთან გამარტივებული მიმოსვლის სიკეთეების ჩამოთვლა ზედმეტი მგონია, აღსანიშნად ისიც კმარა, რომ, კვიპროსის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლების ქართული პასპორტისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზრდება.

არსებობს თეორემები, რომლებსაც დამტკიცება უნდა. ამასთან, არსებობს აქსიომები, რომელთა ჭეშმარიტება თავისთავად ცხადია, უეჭველია და დასაბუთება არ სჭირდება. სწორედ ასეთია ისტორიულად, კულტურულად, საქართველოს მოქალაქეთა მრავალჯერ გამოხატული ნებით მითითებული კურსი – დასავლეთისკენ.

რაც არ უნდა გამოკითხვები ატაროს ტელეკომპანია „მაესტრომ“, და რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში არჩევანის გაკეთება გვთხოვოს, რაც არ უნდა იმძლავროს ჩრდილოურმა ნოსტალგიებმა, ხელისუფლებაში, მედიასა თუ ახლად აღმოცენებულ „არასამთავრობო სექტორში“, რაც არ უნდა გავლენის მოპოვებისთვის იბრძოლონ ცხადად გამოხატული ანტიდასავლური განწყობებით ცნობილმა პოლიტიკურმა ძალებმა, ჩვენი ქვეყნის ისტორიული კონტექსტიდან ამოგლეჯა, დიდი ხნით მაინც, წარმოუდგენელია.

უცხო თვალს იქნებ ეჭვი შეეპაროს – დაინახავს და გაიგებს რა, თუ როგორ ითხოვს პატრიარქი პრეზიდენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, როგორ უკრავს კვერს ამ აბსურდულ იდეას ნახევარი ხელისუფლება, როგორ მოითხოვს დეპუტატი სიწმინდეების შეურაცხყოფისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას, როგორ „ატარებს“ მეორე დეპუტატი რეფერენდუმს, – „ეგება ხალხს თეოკრატია უნდა“, როგორ იმეტებენ მოსაკლავად ახალგაზრდა არტისტს ნიცშეზე ლექციის გამო...

განვიხილოთ გამონაკლისებად – გამონაკლისი ადასტურებს წესს.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ!

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

30725

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

04 **ავტორები**
მიმოხილვა
06 აღმოსავლური პასეანსი
ავტორი: ლევან ახალაია
თვალსაზრისი
10 „ISIS: სიკვდილის არმია“
ავტორი: გრიგოლ გეგელია
18 თალიბანი – ავღანური ფენიქსი
ავტორი: ნიკოლოზ ჯანჯღავა
ინტერვიუ
26 ჩვენი ცივილიზაციის დასასრულის შესახებ
ავტორი: შორენა შავერდაშვილი
რეპორტაჟი
32 სხვა ოცნებებით, პანკისიდან
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი
მთავარი თემა
40 ქალაქი შავი კონტურებით
ავტორი: სოფო აფციაური
პოლიტიკა
48 რა სურს 59%-ს?
ავტორი: დათო გამისონია
ეკონომიკა
55 ვინ უზრუნველყოფს ჩვენს სიბერეს?
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი
სამართალი
58 ახალი უშიშროების ძველი საშიშროებები
ქეთევან ღვედაშვილი
საზოგადოება
62 ქალები წინწყაროდან
ავტორი: თათია ხალიანი
ფოტოპროექტი
66 Istanbul – მოგონებების ქალაქი
ავტორი: დათო როსტომაშვილი
კულტურა
78 უპრიზო, სასტიკი და იისფერი...
ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ქალაქი
82 ჯონ ბულის ტფილისური არდადეგები
ავტორი: ირაკლი ხვადაგიანი
სპორტი
86 რაგბი სკოლაში
ავტორი: აკა მორჩილაძე



ილუსტრაცია: სოფო კრიტსაკი

ევროპეთი

აღმოსავლური პასეანსი

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი, ფართო კოალიციის ჩამოყალიბების მიზნით, საფრანგეთის ლიდერი ერთი კვირის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, აშშ-ისა და რუსეთის ლიდერებს შეხვდა, თუმცა ოლანდის „დიპლომატიური მარათონი“ კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა. მართალია, სიმბოლური, მაგრამ პრაქტიკული დახმარება პარიზმა მხოლოდ გერმანიისგან მიიღო. ბერლინი სირიაში მზვერავ თვითმფრინავებს, ერთ სამხედრო გემს და 1200 ჯარისკაცს გაგზავნის, რომლებიც მისიის კომპონენტების კოორდინირებულ მოქმედებას უზრუნველყოფენ.

ლევან ახალაია
გვ.06

თვალსაზრისი

თალიბანი – ავღანური ფენიქსი

რას წარმოადგენს ახლა ის ქვეყანა, რომელსაც ოდესღაც არიანა „არიების სამშობლო“ ერქვა? როგორ მოხდა, რომ სამი საუკუნის განმავლობაში უკვე მესამე მსოფლიო ძალა მარცხდება ამ ტერიტორიაზე, ევრაზიის შუაგულში? სადაც არ მოიპოვება არც ერთი ბუნებრივი რესურსი; რომლის ტერიტორიის 60% უდაბნოა და დანარჩენი – მთიანი; დასახლებულია სხვადასხვა ეთნოსით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ჰქონდათ ერთადერთი მიზანი – იყვნენ თავისუფლები. ეს ქვეყანა არის ავღანეთი!

ნიკოლოზ ჯანჯღავა
გვ.18

თვალსაზრისი

„ISIS: სიკვდილის არმია“

„ისლამური სახელმწიფო“ საერთაშორისო, მულტიკულტურული ტერორისტული დაჯგუფებაა, რომელიც იკავებს სირიის მესამედსა და ერაყის მეოთხედს და აერთიანებს ტერორისტ მებრძოლებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან. მათ შორის, ნორვეგიიდან, კანადიდან, გაერთიანებული სამეფოდან, მაროკოდან, თურქეთიდან, ისე როგორც საქართველოდან. სტატისტიკური გათვლის თანახმად, „სახელმწიფოს“ სამსახურში ყოველთვიურად დაახლოებით 1000 ადამიანი დგება. დღევანდელი მონაცემებით, „ისლამურ სახელმწიფოს“ საერთო ჯამში 40 000-დან 50 000-მდე მებრძოლი ჰყავს. „ისლამური სახელმწიფო“ არსებითად ტრანსეროვნული პროექტია, რომლისთვისაც ამოსავალი პრინციპი რელიგიაა, იდეალური პოლიტიკური ფორმა კი არა ერი-სახელმწიფო ან ერთა ლიგა, არამედ – სახალიფო, ანუ იმპერია.

გრიგოლ გეგელია
გვ.10

ქაღაქი

ჯონ ბულის ტფილისური არდადეგები

მოარული ჭორის თანახმად, ბათუმის ბრიტანელმა გუბერნატორმა, ჯეიმს კუკ-კოლისმა ჯარისკაცული პირდაპირობით ჰკითხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს – დამფუძნებელი კრების დეპუტატ მუხრან ხოჭოლავას: თქვენ მენშევიკები და ბოლშევიკები ხომ ორივე სოციალისტები ხართ და გამაგებინეთ, რა განსხვავებაა თქვენს შორის? ხოჭოლავამ სხარტად გადაწყვიტა, რომ სამხედროსთან პოლიტიკურ იდეებზე მოკლედ საუბარი არ გამოვიდოდა და უპასუხა: როგორც მუსიკაშია ორი ჰანგი - ჰარმონია და კაკაფონია ისეთივე – ჩვენ ჰარმონია ვართო.

ირაკლი ხვადაგიანი
გვ.82

ჯეტეხა

უპრიზო, სასტიკი და იისფერი...

ერთადერთი, ვისაც მისი მუსიკა ესმის და, საერთოდ, მისი არსებობა აღელვებს, სოლომონის პატარა ქალიშვილია, რომელიც ბავშვთა სახლში ცხოვრობს და განქორწინებულ მშობლებს იშვიათად ხედავს.

დავით ბუხრიკიძე
გვ.78

ინტერვიუ

ჩვენი ცივილიზაციის დასასრულის შესახებ

როცა წარმართობაზე ვლაპარაკობ, ისტორიულ წარმართობას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ საკრალური გეოგრაფიის განცდას. მაგალითად, რომ სამების ტაძარი არის ყველაზე წმინდა ადგილი, ასევე, ზეციურ საქართველოსა და ასეთ იდეებს.

შორენა შავერდაშვილი
გვ.26

ქეთევან ღვედაშვილი

ახალი უშიშროების ძველი საშიშროებები

შსს-ში კონცენტრირებული ჭარბი ძალაუფლების გამო ხელისუფლებამ მისი რეფორმირება გადაწყვიტა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა. თუმცა ეს თითქმის არაფერს ცვლის, გაუმჭვირვალობისა და ფართო კომპეტენციის გამო ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოდან უფრო მეტი საფრთხე მოდის.

ნიკა ჯანჯღავა

თალიბანი – ავღანური ფენიქსი

თალიბანი – ძალა რომელმაც, პრაქტიკულად, ორი ზესახელმწიფო დაამარცხა, დღეს-დღეობით ავღანეთის 40%-ს აკონტროლებს და საბოლოო გამარჯვებისთვის ძალებს იკრებს. ვინ არიან თალიბები – მონაფეები, რა მიზნები ამოძრავებთ და როგორ ახერხებენ მუდმივი ცეცხლის ქვეშ „მკვდრეთით აღდგომას“?

გრიგოლ გეგელია

„ISIS: სიკვდილის არმია“

როგორ აღვიქვათ ისლამური სახელმწიფო, ეს საკმაოდ მოუხელთებელი ფენომენი, განსხვავებული ფორმებისა და პრეცენდენტების ეკლექტური ერთობა? რას ემყარება მისი ძლიერი და სუსტი მხარეები? რას უნდა ველოდოთ სახელმწიფო წარმონაქმნის მსგავსი ტერორისტული ორგანიზაციისგან მომავალში?

> მარნეულიდან რამდენიმე წუთის სავალზე სოფელი წინწყაროა. აზერბაიჯანელები, ქართველები, ბერძნები, ეკომიგრანტები აჭარიდან და სვანეთიდან, დევნილები ზემო აფხაზეთიდან - სოფელში 1500-მდე ოჯახი ცხოვრობს.

თათია ხალიანი

ქალები წინწყაროდან

სოფელ წინწყაროდან თბილისში ჩამოსული ქალები, ნორა და ნელი, შეხვედრებზე მოკრძალებით ითხოვდნენ სიტყვას და თავიანთი სოფლის ამბებს ყვებოდნენ: რა აწუხებდათ, რისი გაკეთება სურდათ.. სხვა ქალებისგან რჩევებს იღებდნენ და სოფელში ბრუნდებოდნენ. ამჯერად მათთან ჩვენ ჩავედით.

ბლოგი

გია ეძგვერაძე

ის, რაც მოხდა, არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება და არ ეწერება!

და... იმდენად სიმბოლურია, რომ უკლებლივ ყველა ნიჭიერი ადამიანისთვის, ვისაც აბსტრაქტული აზროვნების უნარი აქვს, სულიერი ორიენტაციისთვის გადამწყვეტ ბიძგად შეიძლება იქცეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

Part of the ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ჩემი საბანკო სივრცე

ბანკომატი
ATM

სეიფი
DROP BOX

უნივერსალური ბანკომატი
UNIVERSAL ATM

ATM

გადარიცხვები
PAYMENTS

საინფორმაციო ტერმინალი
INFO TERMINAL

სწრაფი გადახდები
PAY BOX

facebook.com/procreditbankgeorgia

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლური პასეანსი

ლევან ახალაია

„ტერორისტების არმიის“ თავდასხმა – ასე შეაფასა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ფრანსუა ოლანდმა, თანამემამულეებისადმი ერთ-ერთ პირველ სატელევიზიო მიმართვაში 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტები. თავდასხმების სერია „სიყვარულის ქალაქში“, ტერაქტი ლიბანის დედაქალაქში და რუსული სამგზავრო ლაინერის აფეთქება ეგვიპტეში – სამივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა თავის თავზე სირიასა და ერაყში მოქმედმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ექსტრემისტები ტაქტიკას ცვლიან. ამის თქმა ჯერ ნაადრევია. უცნობია, კონკრეტულად სად დაიგეგმა თავდასხმები, ჰქონდათ თუ არა სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბოროტმოქმედებს მუდმივი კავშირი სირიაში მყოფ თანამებრძოლებთან? იყო თუ არა ტერაქტები დაჯგუფების ლიდერებთან შეთანხმებული? ეს ის კითხვებია, რომელზეც პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს, თუმცა ის, რომ ეს თავდასხმები კიდევ ერთხელ და უფრო მძაფრად აჩენს კითხვის ნიშნებს უსაფრთხოების მოქმედი სისტემის მდგრადობასა და ეფექტიან ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით, ბოლო კვირებში განვითარებული მოვლენების დროს ცხადად გამოჩნდა.

საფრანგეთში მოწყობილი ტერაქტების შემდეგ აშკარა გახდა ისიც, რომ ევროპას საფრთხეს არა მხოლოდ სირიელი და ერაყელი ექსტრემისტები, არამედ მათი მხარდამჭერი ევროკავშირის მოქალაქეებიც უქმნიან. როგორც აღმოჩნდა, პარიზის ტერაქტების შემსრულებელთა უმეტესობას ევროპული პასპორტი ჰქონდა. ეგვიპტეში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებასაც „ისლამური სახელმწიფო“ ეგვიპტელი მომხრეების გარეშე, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა.

„ევროპის პასუხი“

2001 წლის 11 სექტემბერს, როდესაც ტერორისტებმა აშშ-ში მასშტაბური თავდასხმები მოაწყვეს, ვაშინგტონმა ნატოს შეთანხმების მეხუთე მუხლის ამოქმედება მოითხოვა, რაც კოლექტიური თავდაცვის მიზნით სამხედრო ძალის გამოყენებას გულისხმობს. შედეგად, ავღანეთში მოქმედ „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ ოპერაციაში აშშ-თან ერთად ევროპელი მოკავშირეებიც ჩაერთვნენ, რაც საბოლოოდ ავღანეთში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედროების გაგზავნით დასრულდა. 2015 წლის 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტების შემდეგ, საფრანგეთის ლიდერის ემოციურ სატელევიზიო გამოსვლას თუ გავითვალისწინებთ, რომელშიც მან „ისლამური სახელმწიფო“ საფრანგეთისთვის ომის გამოცხადებაში დაადანაშაულა, ბევრი ელოდებოდა, რომ ოლანდი ასევე მოითხოვდა მოკავშირეებისგან დახმარებას. ეს კი თავისთავად არ გამორიცხავდა სირიასა და ერაყში მოქმედ ექსტრემისტებთან საბრძოლველად NATO-ს, და მათ შორის ამერიკელი ჯარისკაცების, ჩართვის შესაძლებლობას. აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ავღანეთისა და ერაყის წარსულის გათვალისწინებით, მოვლენების ასეთი სცენარით განვითარებას, ამ ეტაპზე კატეგორიულად ეწინააღმდეგება. NATO-ს გამოჩენა იმ ქვეყნის



ტერიტორიაზე, სადაც უკვე მოქმედებს რუსეთი, სირიაში ვითარებას, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაძაბავდა. საბოლოოდ პარიზმა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ნაცვლად სამხედრო დახმარება ევროკავშირს სთხოვა. ორგანიზაციის სადამფუძნებლო შეთანხმების მუხლი – 42.7 ისტორიაში პირველად ამოქმედდა, თუმცა, რადგან ევროკავშირს ერთობლივი სამხედრო დანაყოფები არ ჰყავს, პარიზმა სამხედრო დახმარება ორგანიზაციის წევრებთან ორმხივი შეთანხმების საფუძველზე მიიღო. საფრანგეთი ევროპელი კოლეგებისგან სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლასაც მოითხოვს. ევროკომისიაში ასევე ალაპარკდნენ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ევროპული ანალოგის შექმნაზეც, თუმცა ამ იდეას ორგანიზაციის წევრების ნაწილი, და მათ შორის გერმანიაც, სკეპტიციზმით შეხვდა. ბებერ კონტინენტზე ტერორისტების შემოსვლის აღსაკვეთად ევროპაში ასევე შეთანხმდნენ „შენგენის ზონის“ წევრი სახელმწიფოების საზღვრებზე კონტროლის გამკაცრებაზე.

„ᲣᲪᲣᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ“

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი, ფართო კოალიციის ჩამოყალიბების მიზნით, საფრანგეთის ლიდერი ერთი კვირის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, აშშ-ისა და რუსეთის ლიდერებს შეხვდა, თუმცა ოლანდის „დიპლომატიური მარათონი“ კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა. მართალია, სიმბოლური, მაგრამ პრაქტიკული დახმარება პარიზმა მხოლოდ გერმანიისგან მიიღო. ბერლინი სირიაში მზვერავ თვითმფრინავებს, ერთ სამხედრო გემს და 1200 ჯარისკაცს გაგზავნის, რომლებიც მისიის კომპონენტების კოორდინირებულ მოქმედებას უზრუნველყოფენ. ასევე ხმელთაშუა ზღვაში ავიამზიდ „შარლ დე გოლზე“ მყოფ ფრანგ სამხედროებს საშუალება ექნებათ, გერმანული თანამგზავრიდან მიღებული ინფორმაციით ისარგებლონ. პარიზს სირიაში ექსტრემისტების პოზიციებზე ავიაიერიშების დაწყებას დაჰპირდნენ ლონდონში. ამისთვის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას პარლამენტში ხანგრძლივი დებატების გამართვა მოუწია, თუმცა საბოლოოდ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ბრიტანული ავიაცია მაინც ჩაერთო. ჯერ საუბარია სულ 10 ბრიტანულ მოიერიშეზე. ვაშინგტონში ჩასულ ოლანდს კი ანტიტერორისტული კოალიციის ნაცვლად, რუსეთ-თურქეთის დავის შესახებ მოუწია საუბარი. თურქული ავიაციის მიერ რუსული სუ-24-ის ჩამოგდება ბარაკ ობამასთან შეხვედრის მთავარი თემა გახდა. რაც შეეხება მოსკოვს, პუტინი და ოლანდი შეთანხმდნენ, რომ რუსული ავიაცია მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებსა და ინფრასტრუქტურას დაბომბავს. პარიზმა და მოსკოვმა სადაზვერვო ინფორმაციის უფრო ხშირად გაცვლაზეც მოილაპარაკეს, თუმცა, როგორც კრემლში პრესკონფერენციაზე გაირკვა, სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მომავალ ბედზე მხარეები კვლავ ვერ თანხმდებიან. პუტინი ანტიტერორისტულ ოპერაციაში მთავარ მოკავშირედ კვლავ სირიის მოქმედ ლიდერს განიხილავს. მოულოდნელი აღმოჩნდა ოლანდის ტურნეს დასასრულს პარიზში გაკეთებული ზოგიერთი შეფასებაც. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორან ფაბიუსმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნებს სირიასა და ერაყში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნის საშუალება არ აქვთ, ამიტომ „დაეშის“ წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციისთვის პარიზი სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის არმიასთან თანამშრომლობას განიხილავს. საფრანგეთის მიერ დიპლომატიურ ასპარეზზე წარმოებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოსაც ბოლომდე წარმატებულს ვერ უწოდებ. მართალია, 20 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც „ისლამური სახელმწიფოსგან“ მომავალი ტერორისტული საფრთხის „თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად“ „ნებისმიერი საჭირო ზომის“ მიღებას ითვალისწინებს, მაგრამ დოკუმენტში სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ინტერვენციის ნებართვა ნახსენები არ არის. ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების თხოვნა საფრანგეთს არც თავად სირიისგან მიუღია. ამას გარდა, იქნება თუ არა სასურველი შედეგის მომტანი მხოლოდ სამხედრო საჰაერო ოპერაციის გაძლიერება რთული სათქმელია. 2014 წლის ივნისიდან ტერორისტების პოზიციებზე, სირიასა და ერაყში, დაახლოებით 8000 ავიაიერიში მიიტანეს. რამდენიმე ქალაქის გათავისუფლებაც მოხერხდა, თუმცა ექსტრემისტები შექმნილ ვითარებასთან ადაპტირებას სწრაფადვე ახერხებენ. მათ შეამცირეს მებრძოლთა ქვედანყოფების გადაადგილება, სარგებლობენ არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო ტრანსპორტით და პოზიციებს მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებთან ახლოს ამაგრებენ. სამხედრო ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ სახმელეთო ოპერაციის გარეშე „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება თითქმის წარმოუდგენელია. საბრძოლო ოპერაციას კი 150 ათასი ჯარისკაცი მაინც დასჭირდება.

„ბრძოლის ველი – სირია“

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ეფექტიანი სახმელეთო ოპერაციის დასაწყებად სანდო და ძლიერი პარტნიორის პოვნა უშუალოდ ბრძოლის ველზეც არ არის იოლი. ამჟამად სირიაში ტერორისტული დაჯგუფებების გარდა, რამდენიმე ძალა მოქმედებს, რომელთაც რადიკალურად განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ. მათ შორის არიან პრეზიდენტ ასადის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ჯგუფები – ე.წ. ამბოხებულები. მხოლოდ „თავისუფალი სირიის არმია“ დაახლოებით 70 ათასზე მეტ მეომარს ითვლის. მათი მთავარი მიზანი ასადის რეჟიმის დამხობაა. ამიტომ საფრანგეთისა თუ ნებისმიერი სხვა ქვეყნის თხოვნით ალიანსი სირიის პრეზიდენტის არმიასთან, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თურქეთის საზღვრის სიახლოვეს იბრძვიან ქურთ მებრძოლთა ქვედაყოფებიც, თუმცა მათი იარაღით მომარაგების წინააღმდეგ გამოდის თურქეთი. ანკარაში შიშობენ, რომ სირიაში წარმატებული ოპერაციის შემთხვევაში, ქურთები სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მოითხოვენ. გარდა ამისა, სირიისა და ლიბანის საზღვრის სიახლოვეს მოქმედებენ შიიტური დაჯგუფება „ჰეზბოლას“ მებრძოლები. ლატაკიის პროვინციასა და საპორტო ქალაქ ტარტუსში კი რუსული ბაზებია გახსნილი. ბრიტანული „თაიმსის“ ცნობით, უახლოეს ხანში კრემლი კიდევ ერთი ავიაბაზის მოწყობას გეგმავს ჰომსის პროვინციაშიც. საგულისხმოა ისიც, რომ სირიის ლიდერ ბაშარ ასადის მხარდაჭერის გამო, რუსეთს თავდასხმებით არა მხოლოდ ექსტრემისტები, არამედ ე.წ. მეამბოხეების ნაწილიც დაემუქრა. თავის მხრივ, პენტაგონი ერაყში სპეციალური დანიშნულების რაზმების გაგზავნას აპირებს და არ არის გამორიცხული, რომ მათ გარკვეული ოპერაციების წარმოება სირიის ტერიტორიაზეც მოუწიოთ. რადიკალურად განსახვავებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების სიმრავლე, კონფლიქტში ჩართული მხარეების მიზნები და პოლიტიკური თუ სამხედრო ალიანსები სრულფასოვანი სახმელეთო ოპერაციის შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებს. სირიაში

მიმდინარე დაპირისპირება დღითი დღე სულ უფრო მეტად ემსგავსება „ცივი ომის“ პერიოდში საბჭოთა კავშირის, აშშ-ის თუ სხვა ძლიერი სახელმწიფოების ე.წ. „მარიონეტულ ომებს“. ისეთ კონფლიქტებს, რომელშიც გავლენიანი ქვეყნები უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, თუმცა ადგილობრივ შეიარაღებულ მებრძოლთა ჯგუფებს მფარველობდნენ. სირიის შემთხვევაში ძლიერი სახელმწიფოების გარდა, პირადი, ხშირად საკმაოდ ვიწრო ინტერესები თავად დაპირისპირებულ მხარეებსაც აქვთ. ეს კი სამოქალაქო ომის გაჭიანურებას იწვევს, რაც ყველაზე მეტად ექსტრემისტებს აწყობთ.

თურქული „გასაღები“

სირიის კონფლიქტის დასრულებასა და „ისლამური სახელმწიფოსგან“ მომავალი საფრთხის შემცირების მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება თურქეთს, რომელიც სირიასთან 900-კილომეტრიან საზღვარს იყოფს. თურქეთი უკვე დიდი ხანია იქცა ტერორისტებისათვის ე.წ. „სატრანზიტო ქვეყნად“. ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ 2015 წლის დასაწყისიდან დღემდე თურქეთში, სირიასა და ერაყში მოქმედ ექსტრემისტებთან დაკავშირებული 1000-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. 2014 წლის გაზაფხულიდან ქვეყანაში შესვლა აუკრძალეს ან ქვეყნიდან გააძევეს ტერორიზმში ეჭვმიტანილი 3 ათასზე მეტი უცხოელი. NATO-მ და აშშ-მა არაერთხელ მოუწოდა ანკარას სირიასთან საზღვარზე კონტროლის გაძლიერებისკენ და ამ კუთხით დახმარებაც შესთავაზა. თავის მხრივ თურქეთი სირიაში ე.წ. ბუფერული არასაფრენი ზონის შექმნის იდეით გამოდიოდა, თუმცა 24 ნოემბერს თურქული ავიაციის მიერ საზღვრის დამრღვევი რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ ეს ინიციატივა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან რუსეთმა სირიაში თანამედროვე საზენიტო სარაკეტო სისტემები განალაგა.

„აღმოსავლური პასიანსი“

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ პარიზში მოწყობილი ტერაქტების შემდეგ ევროპელი პოლიტიკოსები ახალგაზრდა მუსლიმების რადიკალიზაციაზე აქტიურად მსჯელობენ. მთავარ მიზეზად რელიგიურ მოტივთან ერთად, მძიმე სოციალურ ფონსა და დასავლეთის ქვეყნების მიერ წლების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში გატარებულ პოლიტიკასაც ასახლებენ. 2003 წელს ჯორჯ ბუშ უმცროსმა განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინის გარეშე ერაყი დემოკრატიული ქვეყანა გახდებოდა, რეალობა კი განსხვავებული აღმოჩნდა. ერაყში სამოქალაქო ომი დაიწყო. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები ეგვიპტეშიც, სადაც „არაბული გაზაფხულისა“ და ჰოსნი მუბარაქის გადაყენების შემდეგ არჩევნებში მოძრაობა „მუსლიმთა საძმომ“ გაიმარჯვა, თუმცა ეგვიპტის პირველმა დემოკრატიული გზით არჩეულმა პრეზიდენტმა ისლამური კონსტიტუციის მიღება განიზრახა, საპასუხოდ კი სახალხო მღელვარება და სამხედრო გადატრიალება მიიღო. ქვეყნის ახალმა მმართველებმა „მუსლიმთა საძმო“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადეს და მისი წევრები დააპატიმრეს. „არაბული გაზაფხული“ ლიბიასა და იემენში სისხლისღვრით დასრულდა. ეს ყველაფერი მომგებიანი აღმოჩნდა რადიკალური ისლამის მიმდევრებისთვის, რომლებმაც დასავლეთის დაპირებული დემოკრატია ფუჭ ოცნებად მონათლეს და პოლიტიკური ცვლილებებით უკმაყოფილო ახალგაზრდებს მათ რიგებში გაწევრიანებისკენ მოუწოდეს. დღეს დასავლეთის ქვეყნების ლიდერების უმეტესობა სირიის პრეზიდენტის წასვლის აუცილებლობაზე საუბრობს, თუმცა ამჯერად ხისტი ნაბიჯებისგან თავს იკავებენ, რადგან არავინ იცის, რა მოხდება სირიაში ასადის წასვლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ISIS: სიკვდილის არმია“

გრიგოლ გეგელია
პოლიტიკური იდეების ისტორიკოსი

„ისლამური სახელმწიფო“ საერთაშორისო, მულტიკულტურული ტერორისტული დაჯგუფებაა, რომელიც იკავებს სირიის მესამედსა და ერაყის მეოთხედს და აერთიანებს ტერორისტ მებრძოლებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან. მათ შორის, ნორვეგიიდან, კანადიდან, გაერთიანებული სამეფოდან, მაროკოდან, თურქეთიდან, ისე როგორც საქართველოდან. სტატისტიკური გათვლის თანახმად, „სახელმწიფოს“ სამსახურში ყოველთვიურად დაახლოებით 1000 ადამიანი დგება. დღევანდელი მონაცემებით, „ისლამურ სახელმწიფოს“ საერთო ჯამში 40 000-დან 50 000-მდე მებრძოლი ჰყავს. „ისლამური სახელმწიფო“ არსებითად ტრანსეროვნული პროექტია, რომლისთვისაც ამოსავალი პრინციპი რელიგიაა, იდეალური პოლიტიკური ფორმა კი არა ერი-სახელმწიფო ან ერთა ლიგა, არამედ – სახალიფო, ანუ იმპერია.

„ისლამური სახელმწიფო“ საკმაოდ მოუხელთებელი ფენომენია, ნაწილობრივ იმიტომ, რომ განსხვავებული ფორმებისა და პრეცედენტების ეკლექტური ერთობაა, რომელიც მარტივად არ აიხსნება უკვე არსებული ფორმულებით. შესაძლებელია „ისლამური სახელმწიფოს“ სხვადასხვაგვარად აღქმა: „სახელმწიფო“ როგორც ტერორისტული დაჯგუფება, რადიკალური პოლიტიკური გაერთიანება, აპოკალიპტური სექტა ან რევოლუციური მოძრაობა. ამათგან „ისლამური სახელმწიფო“ ყველას ჩამოჰგავს, თუმცა ექსკლუზიურად არც ერთი არ არის.

„ისლამური სახელმწიფო“ არის სასტიკი დამნაშავეობით გამორჩეული სამხედრო დაჯგუფება, რომელმაც ათასობით უდანაშაულო ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, მათ შორის რელიგიური მრწამსისა და სექსუალური ორიენტაციის გამო და რომელმაც ფორმალურად აღადგინა მონობა. ის განლაგებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორი სუვერენული სახელმწიფოს, ერაყისა და სირიის ტერიტორიათა ნაწილებზე. საკუთრივ იმ ტერიტორიებს, რომელზედაც დაჯგუფება დე ფაქტო კონტროლს ახორციელებს, არავინ ცნობს როგორც „სახელმწიფოს“, ან როგორც „ისლამურ სახელმწიფოს“. „ისლამურ სახელმწიფოს“ არ გააჩნია სახელმწიფოებრიობის ლეგალური საფუძველი, რომელიც აღიარებული იქნება საერთაშორისო ნორმებით, თუმცა „ისლამური სახელმწიფო“ არაერთი მიმართულებით ჩამოჰგავს სახელმწიფოს. მეტიც, სახელმწიფოს ცნების ვებერიანული განმარტების მიხედვით, რომლის თანახმად, სახელმწიფო არის „ადამიანთა თემი, რომელიც წარმატებულად აცხადებს პრეტენზიას მოცემულ ტერიტორიაზე ფიზიკური ძალადობის ლეგიტიმურად გამოყენების მონოპოლიაზე“, „ისლამური სახელმწიფოსათვის“ სახელმწიფოს წოდება სრულიად შესაძლებელია. ტერორისტული დაჯგუფება ამ ფორმალურ განსაზღვრებას უდავოდ აკმაყოფილებს, რადგან ის სირიის სუვერენული ტერიტორიის მესამედსა და ერაყის სუვერენული ტერიტორიის მეოთხედზე ფლობს და აღასრულებს მონოპოლიას „ფიზიკური ძალადობის ლეგიტიმურად გამოყენებაზე“. დაჯგუფება დაპყრობილ ტერიტორიაზე მყისიერად ამყარებს ძალისმიერ მმართველობას და სრული სიმკაცრით ახორციელებს შარიათის კანონებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაჯგუფებას აქვს სწორედაც რომ სახელმწიფოებრივი მისწრაფებები და არსებითად

სახელმწიფოსეული ფსიქოლოგია. სხვა დაჯგუფებებისგან განსხვავებით, ის არ იმალება გამოქვაბულებსა თუ მთებში. ამის ნაცვლად, აღასრულებს სამართალს საკუთარ ტერიტორიაზე, აშენებს სკოლებსა და საავადმყოფოებს, აკონტროლებს საგზაო მოძრაობას, კრეფს გადასახადებს და მართავს სოციალურ ღონისძიებებს, მაგალითად ნაყინის წვეულებებს. „ისლამური სახელმწიფოს" პრეტენზია, დაიპყროს, მართოს და გაფართოვდეს, სწორედ არსებითად სახელმწიფოსეული ფსიქოლოგიის არსებობაზე მეტყველებს.

„ისლამური სახელმწიფოს" არსებობის ყველაზე აქტიური ფაზა 2014 წელს დაიწყო, თუმცა მისი საწყისები უფრო ადრინდელ დროს განეკუთვნება. რეალურად ამბავი 2003 წელს იწყება, ამერიკის ერაყში შეჭრითა და სუნიტ დიქტატორ სადამ ჰუსეინის დამხობით. მართალია, აშშ-მ წარმატებით დაამხო ულმობელი დიქტატორი, მაგრამ

„ისლამური სახელმწიფო" საერთაშორისო, მულტიკულტურული ტერორისტული დაჯგუფებაა, რომელიც იკავებს სირიის მესამედსა და ერაყის მეოთხედს და აერთიანებს ტერორისტ მებრძოლებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან.

დასავლეთმა ამ პროცესში ჰუსეინის სახით ის ფიგურაც დაამხო, რომელიც ერაყის სუნიტურ და ბაათისტურ ენერგიებს, სწორედ იმ ენერგიებს, რომლებიც დღეს მსოფლიოს საფრთხეს უქმნიან, საკუთარი კონტროლის ქვეშ ამყოფებდა. ერაყში ჰუსეინის დასასრული სუნიტური დომინაციის დასასრულიც გახდა, რასაც მოჰყვა შიიტთა მმართველობის პერიოდი და სუნიტთა ჩაგვრა და განბილება. შესაბამისად, ამ პროცესმა ბუნებრივად წარმოშვა არაერთი სუნიტური ამბოხებული დაჯგუფება.

სწორედ ამ კონტექსტში, სცენაზე ხელახლა გამოჩნდა ჩრდილო ერაყში უკვე ცნობილი აბუ მუსაბ ალ-ზარქავი. სწორედ ალ-ზარქავიმ გააერთიანა რამდენიმე სუნიტური ამბოხებული დაჯგუფება, რომელთა ახალ ერთობასაც ეწოდა „ალ-ქაიდა ერაყში". ალ-ზარქავი 2006 წელს მოკლეს, ამერიკის საჰაერო თავდასხმისას. თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ-ზარქავის პოლიტიკური და სამხედრო ინიციატივა ამ თავდასხმამ სავსებით ვერ მოსპო. მეტიც, მისი მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, „ალ-ყაიდა ერაყში“ რამდენიმე სხვა დაჯგუფებას შეუერთდა. ახალ დაჯგუფებას სახელად ეწოდა „ისლამური სახელმწიფო ერაყში“, შემდგომში კი – „ისლამური სახელმწიფო ერაყსა და ლევანტში“.

მიუხედავად მეამბოხეთა მოულოდნელი გადარჩენისა და კონსოლიდაციისა, ამ დროს მათ მაინც არავინ არ უქადდა წარმატებულ მომავალს. მათზე განხორციელებული სამხედრო იერიშების შედეგად, ისინი წარმოადგენდნენ დასუსტებულ ენერგიას, თუმცა 2010 წელს „ისლამურმა სახელმწიფომ ერაყში“ ჰპოვა ახალი გავლენიანი ლიდერი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, რომელმაც ახლებურ სამხედრო მზადებასა და ორგანიზაციის რეფორმაციას მიჰყო ხელი, რაც საბოლოოდ წარმატებული აღმოჩნდა.

იმავდროულად, სუნიტური მეამბოხეების გაძლიერებას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა გარემოებებმაც. ერაყის შიიტმა პრემიერმა, ნური ალ-მალიქიმ ხელიდან გაუშვა მის წინაშე არსებული შესაძლებლობა, შიიტურ ადმინისტრაციასთან შემოერიგებინა ისეთი სუნიტური ძალები, როგორიცაა „ერაყის შვილები“. ამის სანაცვლოდ, პრემიერმა აგრესიული და დამყოფი პოლიტიკა არჩია. მისმა ადმინისტრაციამ ხელი მიჰყო სუნიტების ჩაგვრასა და ხოცვას. სუნიტი „ერაყის შვილების“ ერაყის არმიაში ინტეგრაციის ნაცვლად, ალ-მალიქიმ არმიის რიგები საერთოდაც გაწმინდა პოლიტიკური ოპონენტებისაგან.

ალ-მალიქის არაეფექტიანი, ეგოისტური და შიიტებისადმი აშკარად მიკერძოებული პოლიტიკის წყალობით, ერაყი რელიგიურ ნიადაგზე კიდევ უფრო მეტად დაიყო. მისი აგრესიული და სექტარიანული პოლიტიკის წყალობით, ერაყის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თემთაშორისი თანამშრომლობის პერსპექტივა განადგურდა, რაც ერაყს მორალურადაც უფრო გაამტკიცებდა და მის სამხედრო პოტენციალსაც უდავოდ გაზრდიდა. შიიტი პრემიერით გაწბილებული სუნიტი მებრძოლები „ისლამურ სახელმწიფოს“ შეურთდნენ, რაც ერაყის არმიისათვის სავალალო დანაკლისი აღმოჩნდა.

მართალია, აშშ-მ წარმატებით დაამხო ულმობელი დიქტატორი, მაგრამ დასავლეთმა ამ პროცესში ჰუსეინის სახით ის ფიგურაც დაამხო, რომელიც ერაყის სუნიტურ და ბაათისტურ ენერგიებს, სწორედ იმ ენერგიებს, რომლებიც დღეს მსოფლიოს საფრთხეს უქმნიან, თავისი კონტროლის ქვეშ ამყოფებდა.

ამ ფონზე, აშშ-ის მებრძოლთა რაოდენობის ეტაპობრივი შემცირების პროცესი 2011 წელს ერაყის სრული დატოვებით დაგვირგვინდა, რამაც მეამბოხე ძალებს ახალი გასაქანი მისცა. 2011 წელსვე მეზობელ სირიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, რითაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ წარმატებულად ისარგებლა და სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწებზე გაბატონდა. 2013 წელს, სირიის სამოქალაქო ომის მსვლელობის ფონზე, ისლამისტებმა დაიპყრეს სირიის ქალაქი რაქა, რომელიც შორეულ წარსულში აბასიდთა სახალიფოს დედაქალაქიც იყო და ამდენად სახალიფოს მოსურნე „ისლამური სახელმწიფოსთვის“ სრულიად სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია.

ერაყის არმიის რეალური სისუსტე 2014 წლის ივნისში გამოჩნდა, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ 800-მა მებრძოლმა, 35 000 ერაყელ მებრძოლს სძლია და ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი, მოსული აიღო, შემდეგ დღესვე კი ტიკრიტიც დაიკავა. სირიასა და ერაყში არსებული არასტაბილური ვითარების წყალობით გაძლიერებულმა ალ-ბაღდადიმ, რომლის ლეგიტიმურობა საგრძნობლად გაზარდა საკმარისი მოცულობის ტერიტორიის, უპირველეს ყოვლისა კი რაქის, ერთ წელზე მეტი ხნით შენარჩუნებამ, 2014 წელს საბოლოოდ გამოაცხადა სახალიფო.

ბევრი მიიჩნევს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ არა თანამედროვე დროის პირმშო და მისი ადეკვატური ფენომენი, არამედ შორეული წარსულის გადმონაშთია, თუმცა ამგვარი მიდგომა ფაქტობრივადაც არასწორია და სტრატეგიულადაც წამგებიანი. სინამდვილეში, „ისლამური სახელმწიფო“ სხვადასხვა ისტორიული დროის ნაზავია; ის ერთდროულად ძალიან ძველი და ძალიან ახალია. ერთი მხრივ, „ისლამური სახელმწიფოს“ გაცხადებული მიზანია სახალიფოს დამყარება, რომელიც, როგორც პოლიტიკური ფორმა, ყველაზე მეტად ადრეულ შუა საუკუნეებთან ასოცირდება. ამის გარდა, „ისლამური სახელმწიფო“ დაპყრობილ ტერიტორიაზე შარიათის კანონების დამყარებით ამკვიდრებს ადრეული შუა

ამ ფოტოზე, რომელიც, კვირას, 2014 წლის 27 ივლისსაა გადაღებული, ასახულია ველოსიპედისტის ჩავლა, წინასწარმეტყველ ჯირჯისის დანგრეულ მეჩეთთან, რომელიც ერაყში, ცენტრალურ მოსულში მდებარეობს. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა დაანგრიეს წინასწარმეტყველ იუნისის მეჩეთი, რომელიც საუკუნეებს ითვლის და რომელშიც, მიიჩნევენ, რომ წინასწარმეტყველი იონანეა დამარხული; ასევე წინასწარმეტყველ ჯირჯის მეჩეთი – ორი უძველესი ტაძარი მოსულში.

საუკუნეების სოციალურ ღირებულებებს. თეოლოგიური თვალსაზრისითაც, „ისლამური სახელმწიფოს“ იდეალური წარსული დრო, რომლის კვლავწარმოებასაც ის ცდილობს, ასევე ადრეული შუა საუკუნეების ისტორიული დროა – სახელდობრ, ისტორიული პერიოდი 632 და 661 წლებს შორის, როდესაც ზეობდა პირველი ოთხი ხალიფი.

ადრეულ ისტორიულ სახალიფოთა შორის იყო უმაიადთა (მე-7 და მე-8 საუკუნეებში), ისე როგორც აბასიდთა სახალიფოები (მე-9-მე-13 საუკუნეებში). ბოლო აღიარებული სახალიფო იყო ოტომანთა იმპერია, თუმცა მისი დაფუძნების ვნება მუსლიმთა კონკრეტულ ჯგუფებში არც იმპერიის დაშლის შემდეგ განელებულა. სხვადასხვა დროს, სახალიფოს გამგრძელებლად მიიჩნეოდნენ აბდულჰამიდი, ენვერ ფაშა, გარკვეული დროის განმავლობაში თვით სეკულარისტი ათათიურქიც, მექას შერიფი, ისე როგორც ეგვიპტის სამეფო ოჯახი.

თუმცა სახალიფო არსებითად იმპერიალისტური პროექტია, იმ დროის გადმონაშთი, როდესაც იმპერიალისტური ლეგალო-ტერიტორიული მოწყობა შესაძლებელიც იყო და მაშინდელ ადამიანთათვის უკეთ ცნობილიც. ჩვენს თანამედროვე სამყაროში კი სახალიფოს იდეა სხვა არაფერია, თუ არა წარსულის მოყვარულ და ილუზიებით შეპყრობილ ადამიანთა ჯგუფის ინფანტილური სურვილი, აღადგინოს ის, რისი აღდგენაც ფორმალურადაც და პრაქტიკულადაც შეუძლებელია. და მაინც, სახალიფო პოლიტიკური იდეაა, მისი გამოცხადება კი – პოლიტიკური მესიჯი, რომელიც ასეთად არის გამიზნული და ასეთად უნდა იქნას აღქმული. სახალიფო იმ დროს გამოიხმობს, რომელიც კარგი და წმინდა დროა, განსაკუთრებულად კი სალაფისტებისათვის, რომლებიც იმდროინდელ სამხედრო, კულტურულ და საყოფაცხოვრებო პრაქტიკას იდეალურად აღიქვამენ და მათი ხელახლა გაცოცხლება სურთ.

მიუხედავად ამისა, „ისლამური სახელმწიფო“ სავსებით არ არის „ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის“ გადმონაშთი. პირიქით, „ისლამური სახელმწიფო“ ყოველმხრივ თანამედროვე ფენომენია. ის იყენებს ყველაზე თანამედროვე საბრძოლო ტექნიკებსა და აღჭურვილობას, რომელთა ნაწილი მოსულის აღებისას ერაყის არმიას მოჰპარა. „ისლამური სახელმწიფო“ არანაკლებ ეფექტიანად იყენებს სოციალურ მედიას. 2014 წლის ბოლოს მის სამსახურში იდგა 45 000 მოქმედი ანგარიში facebook-სა და ტვიტერზე. მის სამსახურში დგას, ასევე, სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულად, გავრცელებული ვებგვერდები.

დროის პოლიტიკის მნიშვნელობა „ისლამურ სახელმწიფოს“ კარგად ესმის. სწორედ ამას მოწმობს ისტორიის არასასურველი მონაკვეთების წინააღმდეგ მათეული ბრძოლა, ისე როგორც ისტორიის სასურველი მონაკვეთების ხელახლა განხორციელების შეგნებული მცდელობანი. ამის მაგალითებია ანტიკურ დროსთან ბრძოლა და ამ დროის კულტურულ პროდუქტთა დემონსტრაციულად განადგურება, რის საპირწონედაც დაჯგუფება მის მიერ მართულ ტერიტორიებზე ხელახლა აცოცხლებს შუა საუკუნეებს. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ანტიკური მემკვიდრეობის განადგურების გადაწყვეტილების მიღმა იდგა არა იმდენად ესთეტიკური უკმაყოფილება, რამდენადაც იმ დროის სრული უარყოფის სურვილი, რომელიც წინ უსწრებს მუსლიმურ დროსა და ისტორიას. „ისლამური სახელმწიფოსათვის“, „პრემუსლიმური“ დრო დაბინძურებული დროა, რომელიც უნდა წაიშალოს, მისი ყველა კულტურული გამოხატულების მოსპობის, მახსოვრობისა და ისტორიის წაშლის გზით. ეს იმავდროულად ისლამური „სუფთა დროის“ აღდგენის აქტიცაა, რომელიც მეშვიდე საუკუნის ისტორიული დრო და სოციოპოლიტიკური და ლეგალური გარემოა.

იმავე პროცესის ნაწილია „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ე. წ. „საიკს-პიკოს“ საზღვრის დემონსტრაციული მოშლაც. „საიკს-პიკოს“ შეთანხმებას 1916 წელს მიაღწიეს, ბრიტანელ მარკ საიკსსა და ფრანგ ფრანსუა ჟორჟ პიკოს შორის გამართულ არაფორმალურ მოლაპარაკებათა შემდეგ, როდესაც ლონდონისა და პარიზის კაბინეტებიდან „ახლო აღმოსავლეთი“ ხელოვნურად დაიყო გავლენის სფეროებად. არაფორმალურმა შეთანხმებამ ფორმალური სახე ჰპოვა 1920 წლის სან რემოს შეთანხმების სახით. სწორედ ამ დროს დადგინდა რუკა, რომელმაც მკაფიო ეროვნული საზღვრები დაანესა, თუმცა ამ პროცესში რელიგიური, ტომობრივი, ეთნიკური და ლინგვისტური კუთვნილობები სრულად უგულებელყო.

ერაყის არმიის რეალური სისუსტე 2014 წლის ივნისში გამოჩნდა, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ 800-მა მებრძოლმა, 35 000 ერაყელ მებრძოლს სძლია და ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი, მოსული აიღო.

ამ პროცესში, „საიკს-პიკოს“ საზღვარმა უხეშად გახლიჩა ისტორიულად განპირობებული სოციოპოლიტიკური ქსოვილი, რამაც, დროთა განმავლობაში, ბუნებრივად გამოიწვია ადგილობრივი წესრიგისა და სტაბილურობის რღვევა. ლამის ზუსტად ერთი საუკუნის თავზე, „ისლამურმა სახელმწიფომ“ დემონსტრაციულად მოარღვია საიკს-პიკოს ხაზი და არანაკლებ დემონსტრაციულად გააერთიანა გახლეჩილი ტომები. ეს აქტი მსოფლიოს წარედგინა თანამედროვე პროპაგანდის ტრადიციებში მომზადებულ მინიფილმად, სახელად „საიკს-პიკოს დასასრული“. იმავდროულად, ფილმის არაბულ ეკვივალენტად გავრცელდა „საზღვართა ნგრევა“, პარალელურად კი განხორციელდა ფოტოკამპანია სახელად „საიკს-პიკოს მოსპობა“ და შეიქმნა Twitter-ის ჰეშტეგი „საიკს-პიკო“. შესაძლოა ყველაზე მეტად სწორედ ამ აქტით, ისლამურმა სახელმწიფომ პრეტენზია განაცხადა ერთდროულად ძველი წესრიგის აღდგენასა და ახალი წესრიგის დამყარებაზე, რომელიც სახალიფოს გამოცხადებაში გამოიხატება და იმავდროულად საბოლოო წესრიგი უნდა იყოს, რადგან „ისლამური სახელმწიფო“ ბოლო ჟამის არმიაა, რომლის ნარატივიც განუყოფლად ეფუძნება დროის დასასრულის აპოკალიპტურ ამბავს.

აღსანიშნავია, რომ აპოკალიპტურად შთაგონებული ლიდერების მიერ პოლიტიკური ფორმის შექმნა, სახელმწიფოს გამოცხადება თუ უბრალოდ რადიკალური პოლიტიკის გატარება, ქრისტიანული დასავლეთის ისტორიისთვის არანაკლებ კარგადაა ცნობილი. მაგალითად, მე-15 საუკუნის ბოლოს, როდესაც ათასწლეული ახლოვდებოდა, წარმოშობით ფერარელმა ბერმა, ჯიროლამო სავონაროლამ, რომელიც ფლორენციის რესპუბლიკის დე ფაქტო ლიდერი იყო, ხელი მიჰყო ქადაგებას ბოლო ჟამის მოახლოებისა და მორალური რეფორმაციის აუცილებლობის თაობაზე, რასაც პარალელურად ზურგს უმაგრებდა ბერის დაქვემდე-

ბარებაში მყოფი ხულიგნური ბანდფორმირებების მიერ ფლორენციელთა დატერორება, ადამიანთა სიკვდილით დასჯა, რენესანსის ხელოვნების ნიმუშების განადგურება, წიგნების დაწვა, ისე როგორც კერძო საკუთრების კონფისკაცია და განადგურება.

მე-16 საუკუნეში, ანაბაპტისტმა იოჰანეს ლაიდენელმა მიუნსტერში აპოკალიპტურად შთაგონებული სახელმწიფო გამოაცხადა, სადაც ხდებოდა მასობრივი ნათლობები, სიკვდილით დასჯა და ქალაქიდან გაძევება. არანაკლებ საინტერესოა კალვინისა და ცვინგლის მიმდევრების მიერ ხელოვნების ნიმუშთა განადგურება, რომელიც პირდაპირ გვაგონებს „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ პალმირას ანტიკური საუნჯის ულმობელ განადგურებას. „ისლამური სახელმწიფოს“ დროშით მოღვაწე ხულიგანთა მსგავსად, აპოკალიპტური ვნებებით შეპყრობილი ქრისტიანი რადიკალებიც წმინდა წიგნის პირდაპირი, ანუ ლიტერატურული, წაკითხვით იყვნენ შთაგონებული. ევროპის ისტორიის ადრეული მოდერნის ხანის ქრისტიანობისა და კულტურის მცოდნეს არაფრით არ ეუცხოვება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ჩატარებული თეოლოგიური და კულტურული რიტუალური „განწმენდის“ ღონისძიებები, რაც „ისლამური სახელმწიფოს“ შემთხვევაში არა მარტო ძეგლების ნგრევას, არამედ ათასობით უდანაშაულო ადამიანის უმოწყალო ხოცვა-ჟლეტასაც გულისხმობს.

ქრისტიანობის მსგავსად, ისლამშიც გვხვდება ძლიერი აპოკალიპტური განცდები, რომელიც ისლამის სუნიტურ განშტოებაში ისევე ფიგურირებს, როგორც შიიტურში. ტრადიციულად, სუნიტების ამგვარი ვნებები ნაკლებად იჩენდა თავს, ხოლო შიიტები ყოველთვის უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ მას. თუმცა, ეს ტენდენცია შეიცვალა 2003 წელს აშშ-ის სამხედრო ჩარევის შემდეგ. ქრისტიანული დასავლეთის ისლამურ სამყაროში შეჭრის შემდეგ, აწმყოში მიმდინარე მოვლენები ბუნებრივად დაუკავშირდა აპოკალიპტურ ნარატივს, რომელმაც, თავის მხრივ, ახალი მნიშვნელობა და ძალა ჰპოვა.

როგორც სახალიფო, „ისლამური სახელმწიფო“ სწორედ ბოლოს ჟამის პოლიტიკური ფორმაა. დაჯგუფების დაარსებისას მისმა ერთ-ერთმა მთავარმა მოსამართლემ განაცხადა, რომ ჯგუფი შეიქმნა მაჰდის, ანუ მუსლიმი მხსნელის, მოლოდინში. „ისლამური სახელმწიფო“ პოლიტიკური ფორმაა, რომელიც სამყაროს ამზადებს ბოლო ჟამის დასადგომად, ხოლო მაჰდის მობრძანებისას, ურჯულოებთან ბრძოლაშიც გაუწევს დახმარებას. აპოკალიპტური ნარატივის მიხედვით, ურჯულოთა არმია სირიის ქალაქ დაბიქში დამარცხდება. სწორედ ამ მომენტში ჩაირთვება აპოკალიპტური წამზომი.

ზოგიერთი მუსლიმი სწავლულის თქმით, ისლამური წინასწარმეტყველების მიხედვით, აპოკალიფსამდე, რომელიც დაახლოებით 2067 წელს არის მოსალოდნელი, მსოფლიოს თორმეტი ხალიფი ეყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება. მაგრამ, ხალიფობისათვის ადამიანი საკმაოდ მკაცრ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, ის აუცილებლად უნდა იყოს მამაკაცი, წარმოშობით ქურაიშის ტომიდან, რომელსაც აქვს ყველა კიდური. თვითგამოცხადებული „სახალიფოს“ ლიდერი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, რიგით მერვე ლეგიტიმური ხალიფა გამოდის. მისი ლიკვიდაცია იქნება ლეგიტიმურ ხალიფათა მწკრივის წყვეტა, ახალი ხალიფას მონახვა კი, სავარაუდოდ, საკმაოდ რთული პროცესი იქნება, ერთი მხრივ, შიდა კონფლიქტების გამო, მეორე მხრივ კი ისეთი პიროვნების გამონახვის თვალსაზრისით, რომელიც ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს. შესაბამისად, ალ-ბაღდადის ლიკვიდაცია სერიოზულ დარტყმას მიაყენებს „ისლამური სახელმწიფოს“ შემართებასა და ორგანიზაციულ სიმყარეს.

„ისლამურ სახელმწიფოს“ უდავოდ აქვს სოციალური სახელმწიფოს ხიბლი, თუმცა ეს აშკარად არ არის მთავარი ფაქტორი, რაც მის მიმზიდველობას განაპირობებს. ტერორისტული დაჯგუფების არაერთი მებრძოლი სოციალური დემოკრატიების მოქალაქეა, რომლებშიც ისინი ისედაც უკვე ცხოვრობდნენ სოციალური სიკეთეებით უზრუნველყოფილნი. მიმზიდველობის ეფექტიან ახსნას არც იმ სახელმწიფოთა პოლიტიკური მოდელი არ წარმოადგენს, რომლიდანაც მებრძოლები საბრძოლველად გაეშურნენ. ზოგი მათგანი სირიისაკენ ლიბერალური დემოკრატიებიდან გაეშურა (კანადა), ზოგი კონსტიტუციური მონარქიებიდან (მაროკო), ზოგი ავტოკრატიული დემოკრატიებიდან (თურქეთი) და ზოგიც სოციალური დემოკრატებიდან (ნორვეგია). აშკარაა, რომ „ისლამური სახელმწიფოს” უმთავრესი ხიბლი სწორედ მის აპოკალიპტურ ნარატივსა და რადიკალურ ფილოსოფიაშია, რასაც მხოლოდ ალტერნატიული იდეოლოგიური სისტემები თუ გაუწევს წინააღმდეგობას.

„ისლამურ სახელმწიფოს“, გარკვეულწილად, აქვს სახელმწიფოსეული ფსიქოლოგია, რომელიც გამოიხატება ტერიტორიის განკარგვის არსებულ პრაქტიკასა და სამომავლო გაფართოების ღიად დეკლარირებულ მიზანში. ამიტომ მისი დამარცხების განუყოფელი ნაწილია სწორედ ამ სახელმწიფოებრივ ფსიქოლოგიასა და პრაქტიკაზე თავდასხმა. განსხვავებით ალ-ქაიდასაგან, „ისლამური სახელმწიფო“ არ იმალება ქვაბულთა ჩახლართულ ქსელში. ის არსებობს ღია ცის ქვეშ, სხვადასხვა ფსევდოსახელმწიფოებრივი ინსტიტუციითა და პრაქტიკით, რომელსაც ის ყოველდღიურად აღასრულებს. ეს უდავოდ ზრდის საჰაერო იერიშების პოტენციური ეფექტიანობის ხარისხს, რომელმაც თანმიმდევრულად უნდა მოსპოს ფსევდოსახელმწიფოებრივი წესრიგი, რასაც ეყრდნობა ტერორისტული დაჯგუფების სახელმწიფოსეული ფსიქოლოგია. იმავდროულად, აუცილებელია, ადგილობრივი სახმელეთო ძალების გამოყენებით მაქსიმალურად მოისპოს ტერიტორიული ექსპანსიის ნებისმიერი შემდგომი მცდელობა, რაც არანაკლებ დაასუსტებს ფსევდოსახელმწიფოებრივ წესრიგს ამოფარებულ ტერორისტულ დაჯგუფებას.

დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თუმცა „ისლამური სახელმწიფო“ სრულიად მსოფლიოს პრობლემაა, რომელიც სრულიად ცივილიზებულმა მსოფლიომ უნდა გადაჭრას სამხედრო ჩარევით, მასზე და მსგავს ფენომენებზე ყველაზე რეალური გამარჯვების მოპოვება საბოლოოდ მხოლოდ ადგილობრივ ხალხებს ძალუძთ. ფართო პრობლემის გადაჭრა უპირველეს ყოვლისა სწორედ ადგილობრივი ხალხების ეფექტიანი თვითმმართველობის ჩამოყალიბება და სამოქალაქო კონსოლიდაცია თუ იქნება, ისე, როგორც ადგილზე ალტერნატიული სოციალური და პოლიტიკური სივრცეებისა და სტაბილური თვითმმართველი სეკულარული პოლიტიკური ერთეულების გამოჩენა, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ ფსევდოსახელმწიფოებრივ წესრიგს ერთხელ და სამუდამოდ აღუსრულებს ესოდენ დაუკმაყოფილებელ აპოკალიპტურ ვნებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

EXTRA

SPECIAL RESERVE

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალიბანი – ავღანური ფენიქსი

ნიკოლოზ ჯანჯღავა
გენერალური შტაბის პოლკოვნიკი

„ვაფრთხილებ ყველა „ჯვაროსანს“, რომ ახლა შინ ექიმი ბრაიდონიც კი აღარ დაბრუნდება“ – ასე დაემუქრა „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი აიმან ალ ზავაჰირი დასავლეთს. მან ამით ისტორიული პარალელი გაავლო იმ სამხედრო კატასტროფასთან, რაც იმ დროისთვის უძლეველ, დიდი ბრიტანეთის იმპერიას მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში, ე.წ. პირველი ავღანური-ბრიტანული ომის დროს დაემართა.

რას წარმოადგენს ახლა ის ქვეყანა, რომელსაც ოდესღაც არიანა „არიების სამშობლო“ ერქვა? როგორ მოხდა, რომ სამი საუკუნის განმავლობაში უკვე მესამე მსოფლიო ძალა მარცხდება ამ ტერიტორიაზე, ევრაზიის შუაგულში? სადაც არ მოიპოვება არც ერთი ბუნებრივი რესურსი; რომლის ტერიტორიის 60% უდაბნოა და დანარჩენი – მთიანი; დასახლებულია სხვადასხვა ეთნოსით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ჰქონდათ ერთადერთი მიზანი – იყვნენ თავისუფლები. ეს ქვეყანა არის ავღანეთი!

მოვიყვანთ რამდენიმე ძირითად ისტორიულ ფაქტს: ცენტრალიზებული სახელმწიფო ავღანეთის ტერიტორიაზე – ავღანეთის სამეფო ჩამოყალიბდა 1747 წელს. მისი პირველი დამაარსებელი იყო ცნობილი სპარსელი დამპყრობლის, ნადირ შაჰის ერთ-ერთი გენერალი – ახმად შაჰ დურანი. ეს სახელმწიფო საკმაოდ აქტიურად ერეოდა ირანის, ინდოეთისა და შუა აზიის სახანოების საკითხებში, მაგრამ დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროპელები – ბრიტანელები გაძლიერდნენ ინდოეთში, რუსეთმა კი დაიპყრო შუა აზია და თავისი გავლენა გაავრცელა სპარსეთზე, ავღანეთის სამეფოს სტატუსი და როლი კნინდება.

ავღანეთის სამეფო ჩამოყალიბდა 1747 წელს. მისი პირველი დამაარსებელი იყო ცნობილი სპარსელი დამპყრობლის, ნადირ შაჰის ერთ-ერთი გენერალი – ახმად შაჰ დურანი.

მე-19 საუკუნის შუა რიცხვებიდან დიდი ბრიტანეთი სულ უფრო ყურადღებით ადევნებდა თვალს შუა აზიისკენ რუსეთის მისწრაფებებს. ინგლისის მთავრობა ინდოეთში – „დიდი რაჯი“ საფრთხედ აღიქვამდა რუსეთის მიახლოებას ინდოეთის საზღვრებთან. ლონდონში კი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის აგრესიის მთავარი მიზანი იყო ინდოეთის დაპყრობა და ინგლისის განდევნა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ტერმინი – „დიდი თამაში“, რომელიც ნიშნავდა ორი იმპერიის ბრძოლას გავლენის სფეროს გაზრდის მიზნით. ავღანეთი ამ „დიდი თამაშის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილე იყო. ინგლისმა ორი ომი გამართა ავღანელი ემირების წინააღმდეგ, მაგრამ მხოლოდ მინიმალურად შეძლო ავღანეთის კონტროლქვეშ მოქცევა. ქაბულის მთავრობას ჩამოერთვა საგარეო ურთიერთობების უფლება, მაგრამ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

30425 ეროვ

და სრული თავისუფლება შიდა პოლიტიკის წარმართვაში. ავღანეთში „დიდი თამაში“ შეწყდა XX საუკუნის დასაწყისში, როცა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი საერთო მტრის – გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

1919 წელს ავღანეთმა წამოიწყო კიდევ ერთი ომი ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში ავღანური ჯარი დამარცხდა, მოიპოვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. ავღანეთი – როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო აწარმოებდა „ჩაკეტილი კარის“ პოლიტიკას, ის არ უშვებდა უცხოელებს და კრძალავდა უცხოურ ინვესტიციებს თავის ქვეყანაში. ავღანეთის შემოტრიალება „დიდი მსოფლიოსკენ“ დაიწყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ. ავღანეთის მთავრობა მაქსიმალურად იყენებდა თავის სასარგებლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირებას იმისათვის, რომ მიეღო მეტი ფინანსური დახმარება საკუთარი ქვეყნის განვითარებისთვის. როგორც ამბობდა ავღანეთის ერთ-ერთი სახელმწიფო მოღვაწე: „სურვილი გვქონდა, ამერიკული სიგარეტისთვის ცეცხლი რუსული სანთებელით მოგვეკიდებინა“. მაგალითად: აშშ-მ აიღო თავის თავზე ინფრასტუქტურის განვითარების პროექტები და ახალგაზრდა ავღანელების მომზადება ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭოთა კავშირმა დაიწყო ავღანეთის სამხედრო ტექნიკით უზრუნველყოფა და ოფიცრების მომზადება სამხედრო სასწავლებლებში; თუმცა ავღანეთში ჩრდილოეთიდან მარტო ფინანსური დახმარება არ მიდიოდა; საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებმა მასობრივად დაიწყეს კომუნისტური იდეოლოგიის დანერგვა ავღანელ ახალგაზრდებში.

1978 წელს ავღანეთში მოხდა აპრილის ე.წ. „საურის“ – რევოლუცია. რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის, სტუდენტებისა და შეიარაღებული ძალების ნაწილმა მოაწყო გადატრიალება – მოკლეს ქვეყნის პრეზიდენტი დაუდ-ხანი და ქვეყანაში დამკვიდრდა კვაზისოციალისტური დიქტატურა. ამან გამოიწვია მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება; დაიწყო ადგი-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი მემარცხენეების წინააღმდეგ სახალხო აჯანყება, რასაც დაემატა ავღანელ მარქსისტებს შორის შიდა დაპირისპირება – ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის დაყოფა ორ ფრაქციად – „ხალკად“ და „ფარჩამად“. ვითარება სახელმწიფოში იმდენად გართულდა, რომ ცენტრალური მთავრობა მხოლოდ რამდენიმე დიდ ქალაქს აკონტროლებდა. ავღანეთში მარქსისტული ექსპერიმენტის მარცხი გარდაუვალი იყო. ეს რომ არ დაეშვათ, დიდი ყოყმანის შემდეგ კრემლში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ავღანეთში წითელი არმიის ქვედანაყოფები შეეყვანათ. მე-40 არმია იქ 1979 წლის დეკემბერში შევიდა.

საბჭოთა კავშირის პირდაპირი აგრესია მოულოდნელი იყო აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისთვის. ავღანური ოპოზიცია ცოტა ხანში გაერთიანდა და წითელ არმიას „წმინდა ჯიჰადი“ გამოუცხადა. ჩამოყალიბდა „მოჯაჰედთა“ მოძრაობა.

რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის დროს დაიწყო მოჯაჰედების მასობრივი დაფინანსება და შეიარაღება. ძალიან დიდი როლი შეასრულა ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების – „სტინგერების“ გადაცემამ ავღანური ოპოზიციისთვის, რომელმაც წერტილი დაუსვა საბჭოთა არმიის საჰაერო უპირატესობას ავღანურ ცაში. გორბაჩოვის დროს „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ მიმდევრებმა მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ საჭირო იყო „ავღანური ტრაგედიის“ დამთავრება. გორბაჩოვმა და შევარდნაძემ შეთანხმებას მიაღწიეს აშშ-სთან და 1989 წლის თებერვალში საბჭოთა ჯარი გამოვიდა ავღანეთიდან. სსრკ-მ ამ ომში დაკარგა 15 000-ზე მეტი ჯარისკაცი. საბჭოთა კავშირის 10-წლიანი აგრესია ძვირად დაუჯდა ავღანელ ხალხს – 1 მლნ-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და 5 მლნ გახდა ლტოლვილი.

წითელი არმიის გამოყვანის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი კვლავაც უჭერდა მხარს პროსაბჭოურ ქაბულის მთავრობას ნაჯიბულას ხელმძღვანელობით. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ შეწყდა ქაბულის მთავრობის მხარდაჭერა. 1992 წლის აპრილში „მოჯაჰედებმა“ იერიშით აიღეს ავღანეთის დედაქალაქი. ყველასგან მიტოვებულმა ნაჯიბულამ ქაბულში გაეროს წარმომადგენლობას შეაფარა თავი. ავღანეთსა და მთელ მსოფლიოში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პროკომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ მოჯაჰედებმა მიაღწიეს მიზანს და დაიწყებოდა ავღანეთის მშვიდობიანი განვითარება.

1919 წელს ავღანეთმა წამოიწყო კიდევ ერთი ომი ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში ავღანური ჯარი დამარცხდა, მოიპოვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

მოჯაჰედები გაერთიანებულები იყვნენ ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაჯიბულას მთავრობის დაცემის შემდეგ დაიწყო დაპირისპირება გუშინდელ მოკავშირეებს შორის. მოჯაჰედებში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საველე მეთაური იყო აჰმად შაჰ მასუდი. მას, ეროვნებით ტაჯიკს, ესმოდა, რომ ავღანეთს მხოლოდ პუშტუნმა უნდა უხელმძღვანელოს. ის გაერთიანდა ცნობილ თეოლოგ რაბანისთან და ჩამოაყალიბა გარდამავალი მთავრობა. ამ გადაწყვეტილებას დაუპირისპირდა სხვა საველე მეთაური – გულბედინ ჰეკმატიარი, რომელმაც თავისი რაზმებით ალყა შემოარტყა ქაბულს და დაიწყო მისი დაბომბვა. ქვეყანაში მოიშალა ყველა სოციალური და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი. ყველა დაუპირისპირდა ერთმანეთს. დაიწყო ახალი სამოქალაქო ომი.

1994 წლის ბოლოს ქალაქ ყანდაღარის გუბერნატორმა მოიტაცა ადგილობრივი მცხოვრებლის ქალიშვილი და გაამწესა თავის ჰარამხანაში. ოჯახის უფროსი მივიდა უხუცესთან – მოლა ომართან და სთხოვა დახმარება. მოლა ომარს ჰქონდა დიდი ავტორიტეტი ამ რეგიონში. ის იბრძოდა რუსების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში თვალიც დაკარგა, მაგრამ როდესაც „მოჯაჰედები“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, უარი თქვა სამოქალაქო ომში მონაწილეობაზე და შინ დაბრუნდა. მოლა ომარმა შეაგროვა მცირერიცხოვანი რაზმი და შეიჭრა ე.წ. გუბერნატორის სასახლეში. მან არა მარტო გაათავისუფლა მოტაცებული ქალიშვილი, არამედ გუბერნატორი იქვე ტანკის ლულაზე ჩამოახრჩო. მოლა ომარმა გამოაცხადა, რომ ერთადერთი კანონი, რომელიც იკანონებს ყანდაღარში არის „შარიათი“ და მხოლოდ

ადგილობრივი უხუცესების არჩეული ღირსეული ადამიანი მართავს ყანდაღარს. ცოტა ხანში ყანდაღარი გახდა მოლა ომარის ასეულობით და ათასეულობით მხარდამჭერის თავმოყრის ადგილი. ასე ჩამოყალიბდა „თალიბანის“ მოძრაობა.

„თალიბანის“ მოძრაობის საწყისები ყალიბდება პაკისტანში. ამ ქვეყანამ 80-იან წლებში 3 მლნ-ზე მეტი ლტოლვილი მიიღო ავღანეთიდან. პაკისტანში იზრდებოდა ავღანელების ახალი თაობა. იქაურმა სამხედრო დიქტატორმა, ზია ულ ჰაკმა, რომელსაც გეზი ჰქონდა აღებული პაკისტანის ისლამიზაციაზე, გახსნა უამრავი რელიგიური სკოლა – მედრესე, სადაც სწავლობდნენ ავღანელი ბავშვები. ამ სკოლის დამფინანსებელი უმეტესწილად იყო საუდის არაბეთი. მედრესეში ასწავლიდნენ ისლამის ვაჰაბიტურ ვერსიას. სალაფიზმი არის რელიგიური მიმართულება ისლამში, რომელსაც აღიარებს საუდის არაბეთის მმართველი ელიტა. ის ქადაგებს ყურანის მხოლოდ პირდაპირ წაკითხვას მინიმალური ინტერპრეტაციით. 90-იანი წლების დასაწყისისთვის პაკისტანში ჩამოყალიბდა კრიტიკული მასა იმ ახალგაზრდა ავღანელებისა, რომლებსაც არასოდეს ენახათ სამშობლო, იყვნენ გამსჭვალულნი რელიგიური ფანატიზმით და კარგად იცოდნენ სამხედრო საქმე.

პაკისტანის „უწყებათაშორის დაზვერვას“ (ISI) იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა ოკუპაციის დამთავრების შემდეგ ავღანეთში დამყარდებოდა წესრიგი. ის იმედგაცრუებული დარჩა „მოჯაჰედთა“ ხელმძღვანელობით, რომლებმაც ერთმანეთთან ბრძოლა გააჩაღეს. „უწყებათაშორის დაზვერვა“ მოლა ომარის სახით ისეთ ლიდერს ხედავდა, რომელიც გააერთიანებდა ავღანეთს და სიმშვიდეს მოუტანდა. ამავდროულად პაკისტანის ელიტას ეკონომიკური ინტერესიც ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიხსნა ყოფილი საბჭოთა შუა აზიის უზარმაზარი ნავთობისა და გაზის ბაზარი. პაკისტანის მმართველ წრეებს სურვილი ჰქონდათ, ნავთობისა და გაზის მილსადენები ცენტრალური აზიიდან პაკისტანამდე გაეყვანათ, მაგრამ ამისთვის მნიშვნელოვანი იყო სიმშვიდე ავღანეთში. გარდა ამისა პაკისტანის სამხედრო სტრატეგიაში არსებობდა ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული სიღრმის“ დოქტრინა, რომლის თანახმად, ინდოეთთან ომის შემთხვევაში პაკისტანი გამოიყენებდა ავღანეთს, როგორც სათადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგო უზრუნველყოფის ბაზას. ყველაფერმა ამან უბიძგა პაკისტანის ხელმძღვანელობას მოლა ომარის მოძრაობის ყველანაირი მხარდაჭერისკენ.

„თალიბი“ ნიშნავს მოწაფეს. პაკისტანურ მედრესეებში სწავლადასრულებული ათასობით სტუდენტი გახდა მოლა ომარის დისციპლინირებული ჯარისკაცი. მათთან ერთად იბრძოდნენ პაკისტანის შეიარაღებული ძალის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებდნენ საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვასა და უზრუნველყოფას. „თალიბანის“ მთავარი ამოცანა იყო სამოქალაქო ომის დამთავრება ავღანეთში, ძველი მოჯაჰედების – საველე მეთაურების განდევნა და მათი აზრით ნამდვილი ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თალიბებმა საკმაოდ სწრაფად შეძლეს ქვეყნის ცენტრალური რაიონების დაკავება. 1996 წლისთვის მათ დაამარცხეს გულბედინ ჰეკმატიარის, რაბანისა და ისმაილ ხანის დაჯგუფებები და დაიკავეს დედაქალაქი. ქაბულის აღების შემდეგ პირველი, რაც „თალიბებმა“ გააკეთეს – ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით შეიჭრნენ გაეროს ორგანიზაციის შენობაში, გამოიყვანეს იქიდან ქვეყნის ყოფილი მმართველი ნაჯიბულა, აწამეს და ჩამოახრჩვეს.

„თალიბანის“ ასე სწრაფად წინსვლას განაპირობებდა არა მარტო მათი სამხედრო უპირატესობა, არამედ ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც გადაღლილი იყო განუწყვეტელი სამოქალაქო ომით, მათ ხვდებოდა, როგორც გამათავისუფლებლებს. დაპყრობილ ტერიტორიაზე თალიბები ამყარებდნენ საკმაოდ მკაცრ რეჟიმს – შარიათი იყო გამოცხადებული ერთადერთ კანონად. კაცებს აკრძალული ჰქონდათ წვერის გაპარსვა; იკრძალებოდა მუსიკა; ქალებს ეკრძალებოდათ სამსახური და განათლება, გარეთ გასვლა შეეძლოთ მხოლოდ ახლო ნათესავი მამაკაცის თანხლებით; უნდა შემოსილიყვნენ ბურკხით, სპეციალური სამოსით, რომელიც ქალს თავიდან კოჭებამდე ფარავდა. „თალიბები“ სპორტსაც იყენებდნენ თავიანთი ინტერესებისთვის; აკრძალული იყო, ფაქტობრივად, სპორტის ყველა სახეობა, გარდა ფეხბურთისა, რადგან ავღანელების სიყვარული ფეხბურთის მიმართ რელიგიურ სიყვარულს უდრიდა, თუმცა სტადიონზე „თალიბებმა“ აკრძალეს რომელიმე გუნდის მხარდაჭერა და მატჩების შუალედში, იყენებდნენ რა ხალხის თავმოყრას, მიმართავდნენ საჯარო დასჯას – დახვრეტას, ჩამოხრჩობას ან ჩაქოლვას. ამით „თალიბანი“ აჩვენებდა მოსახლეობას, რომ ყველა ღონეს და საშუალებას გამოიყენებდნენ ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

1978 წელს ავღანეთში მოხდა აპრილის ე.წ. „საურის“ – რევოლუცია. რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის, სტუდენტებისა და შეიარაღებული ძალების ნაწილმა მოაწყო გადატრიალება – მოკლეს ქვეყნის პრეზიდენტი დაუდ-ხანი და ქვეყანაში დამკვიდრდა კვაზისოციალისტური დიქტატურა.

ქვეყნის „ისლამიზაციაში“ „თალიბანის“ მოძრაობას მხარდაჭერას უწევდა მომავალი „ტერორისტი ნომერი 1“ – ოსამა ბინ ლადენი. ოსამა პირველად ჩავიდა ავღანეთში 80-იანი წლების დასაწყისში, მდიდარი, საუდიტური ოჯახის წარმომადგენელი. ის ეხმარებოდა მოჯაჰედებს არაბი მოხალისეების ჩაყვანაში და ფინანსურად უზრუნველყოფდა დაჭრილი მებრძოლების სამედიცინო დახმარებას. 1996 წლიდან ოსამა მეორედ ჩადის ავღანეთში და იწყებს ტერორისტული ორგანიზაციის „ალ ქაიდას“ საბოლოო ჩამოყალიბებას. ის იყენებდა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს, რათა დახმარება გაეწია „თალიბანისთვის“, ავღანეთის გაერთიანებისა და ისლამიზაციის საქმეში. ოსამა იყენებდა „თალიბების“ მფარველობას და ავღანეთში გახსნა ტერორისტთა მოსამზადებელი ბანაკების ქსელი.

„თალიბანის“ მთავარი შემოსავლის წყარო იყო საოპიუმე ყაყაჩოს კულტივაცია და ჰეროინის გასაღება. მათი მმართველობის ბოლო წლებში, მიუხედავად ოფიციალური აკრძალვისა, ჰეროინის წარმოებამ ავღანეთში მიიღო სამრეწველო მასშტაბები. 2000 წელს დამზადდა 3500 ტონაზე მეტი ჰეროინი.

ერთადერთი სამხედრო ძალა, რომელმაც ეფექტიანი სამხედრო წინააღმდეგობა გაუწია, იყო ე.წ. „ჩრდილოეთის ალიანსი“. მისი ხელმძღვანელი ახმად შაჰ მასუდი იყენებდა რუსულ სამხედრო მხარდაჭერას იმისათვის, რომ შეეჩერებინა „თალიბები“. რუსეთი ეხმარებოდა თავის ძველ მოწინააღმდეგეს, რადგან „თალიბების“ გაბატონებას ავღანეთში საფრთხედ აღიქვამდა და ეწინააღმდეგებოდა მათი გავლენის გაზრდას ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში. 11

სექტემბრის ტერორისტულ აქტამდე რამდენიმე დღით ადრე ოსამა ბინ ლადენის მიგზავნილმა ტერორისტებმა მოკლეს ქარიზმატული აჰმად შაჰ მასუდი.

9/11 ტერაქტების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ულტიმატუმი წაუყენა „თალიბანს" – გადაეცათ ოსამა ბინ ლადენი და შეეწყვიტათ ტერორისტების მომზადება ავღანეთში. მოლა ომარმა პუშტუნური ტრადიციებიდან – „პუშტუნვალიდან" გამომდინარე, უარი თქვა ბინ ლადენის გადაცემაზე. 7 ოქტომბრიდან ამერიკამ დაიწყო სამხედრო ოპერაცია „თალიბების" წინააღმდეგ. ეს იყო უნიკალური სამხედრო ოპერაცია. აშშ-დან მონაწილეობდნენ მხოლოდ მცირერიცხოვანი სპეციალური დანიშნულების ჯგუფები. ისინი მიზანჩვენებას აძლევდნენ აშშ-ის საჰაერო ძალებს, რომლებიც ბომბავდნენ „თალიბების" სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს. „ჩრდილო ალიანსის" მებრძოლები, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ ამერიკელების მიერ და ზურგს უმაგრებდათ ამერიკული საჰაერო ძალა, ათავისუფლებდნენ ქალაქებს ერთი მეორის მიყოლებით. 2001 წლის დეკემბრისთვის „თალიბანის" რეჟიმი, როგორც ორგანიზებული სამხედრო ძალა გაანადგურეს, მაგრამ ამერიკელებმა ვერ შეძლეს და ხელში ვერ ჩაიგდეს მოლა ომარი და ოსამა ბინ ლადენი.

2002 წლის იანვრიდან NATO იწყებს ოპერაციას ავღანეთში. ქაბულში იხსნება საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალების (ISAF) შტაბი. ამ ოპერაციაში მონაწილეობდა 15 სახელმწიფოს სამხედრო კონტინგენტი. მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 6000 კაცს და ისინი ქაბულში იყვნენ განლაგებულნი. ავღანეთში სწრაფი გამარჯვების შემდგომ ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, ადმინისტრაციამ მთელი ყურადღება გადაიტანა ერაყში სამხედრო ინტერვენციის მოსამზადებლად. ავღანეთი გადავიდა მეორე პლანზე, „თალიბანის" ხელმძღვანელობა ტყუილად არ კარგავდა დროს. მოხდა მათი ძალების რეორგანიზაცია მეზობელ პაკისტანში. პაკისტანის პრეზიდენტი მუშარაფი ოფიციალურად მხარს უჭერდა ამერიკელების ძალისხმევას ავღანეთში, მაგრამ იმავდროულად პაკისტანის სამხედროები ხელს უწყობდნენ „თალიბანის" მოძრაობას, რათა რეორგანიზაცია მოეხდინა და ძალები მოეკრიფა. ჩამოყალიბდა ე.წ. „კვეტის შურა", სადაც გაერთიანდა „თალიბანის" ყველა ლიდერი და მათი ამოცანა გახდა ავღანეთში ამბოხების გაჩაღება. მაშინ, როდესაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო ერაყის ომზე, 2004 წლიდან დაიწყო „თალიბანის" მოძრაობის აღორძინება ავღანეთში. „თალიბების" საკმაოდ მსხვილი სამხედრო შენაერთები გარკვეული პერიოდით იკავებდნენ ტერიტორიებს და ქალაქებს. ამას, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ავღანური მოსახლეობის იმედგაცრუება ცენტრალური ხელისუფლებით და ავღანეთის იმდროინდელი პრეზიდენტით, კარზაით.

პაკისტანის „უწყებათაშორის დაზვერვას" (ISI) იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა ოკუპაციის დამთავრების შემდეგ ავღანეთში დამყარდებოდა წესრიგი. ის იმედგაცრუებული დარჩა „მოჯაჰედთა" ხელმძღვანელობით, რომლებმაც ერთმანეთთან ბრძოლა გააჩაღეს.

„თალიბების" დამარცხების შემდეგ ავღანეთის ახალი მმართველები ჩაეფლნენ კორუფციაში და უსამართლოდ მართავდნენ ქვეყანას. პოლიციისა და სასამართლოს კორუმპირებულობამ მიაღწია კრიტიკულ დონეს. უსამართლობა გაბატონდა ქვეყანაში. უცხოური გრანტები, რომელიც გამოიყო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, საირიგაციო სისტემების აღდგენასა და გზების დაგებაზე, იკარგებოდა ჩინოვნიკების ჯიბეებში. ავღანეთის რეგიონებში, პირველ რიგში, სამხრეთით, „თალიბებმა" ჩამოაყალიბეს პარალელური, „ჩრდილოვანი" ხელისუფლება. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ნებისმიერ საკითხს წყვეტდნენ მხოლოდ კორუფციული გარიგების საფუძველზე მაშინ, როდესაც „თალიბების" წარმომადგენლები იყენებდნენ ადგილობრივი გლეხებისთვის გაცილებით ადვილ და სამართლიან სისტემას, რომელიც შარიათს ეყრდნობოდა. რაც მთავარია, თალიბებმა აჩვენეს, რომ ძალადობის მონოპოლია მარტო სახელმწიფო სტრუქტურებს არ აქვს. თალიბებმა არა მარტო პარალელური სასამართლო სისტემა შექმნეს ადგილებზე, არამედ გადასახადებსაც აწესებდნენ და აკონტროლებდნენ ნარკოტრაფიკს. 2014 წლისთვის ოპიუმის წარმოება ავღანეთში კატასტროფულად გაიზარდა და 6400 ტონას მიაღწია. მსოფლიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეროინის 90%-ზე მეტი მზადდება ავღანეთში, „თალიბების“ ყოველწლიური შემოსავალი ნარკოტრაფიკისგან შეადგენს 500 მილიონ დოლარს. თალიბები უმოწყალოდ უსწორდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ყველა წარმომადგენელს, რომელიც მუშაობდა ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურებში ან თანამშრომლობდა კოალიციურ ძალებთან. ფაქტობრივად, 2009 წლის მიწურულისთვის ქაბულის ცენტრალური მთავრობა ქვეყნის მხოლოდ 50%-ს აკონტროლებდა.

2010 წლისთვის ISAF-ის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი დევიდ პეტრეუსი, რომელმაც დაიწყო ოპერაცია – შეტევა (Surge). ამ ოპერაციის მიზანი იყო კოალიციური ძალების მნიშვნელოვნად გაზრდა – ამერიკელების საერთო რაოდენობა 90 000-ს აღწევდა, სხვა კოალიციური ძალების კი 40 000-მდე იყო. მათ ეხმარებოდა 300 000-იანი ავღანური ეროვნული არმიის ქვედანაყოფები. პეტრეუსის სტრატეგია იყო, სამხედრო გზით დაემარცხებინა მოწინააღმდეგე, გაეკონტროლებინა ყველა მნიშვნელოვანი ცენტრი და მერე გადაეცა პასუხისმგებლობა ადგილობრივ უსაფრთხოებაზე ავღანური ეროვნული ჯარისთვის. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო სპეციალური დანიშნულების ძალების ოპერაციები. მათი ამოცანა იყო „თალიბების“ საველე მეთაურების მმართველი რგოლის განადგურება. 2012 წლამდე ამ ოპერაციამ საკმაოდ ეფექტიანად გაართვა თავი ამოცანას. ავღანეთის დიდი ტერიტორია დაბრუნდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ.

პენტაგონმა 2012 წლისთვის დაიწყო ოპერაცია „შეტევაში“ მონაწილე ქვედანაყოფების გაყვანა ავღანეთიდან. 2014 წლიდან კოალიციის ქვედანაყოფებმა შეწყვიტეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა და პასუხისმგებლობა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე გადასცეს ავღანურ ჯარს. კოალიციამ ყურადღება გადაიტანა ავღანური ჯარის გაწვრთნის საკითხებზე. 2015 წლის 15 ოქტომბერს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა ჯარის გაყვანასთან დაკავშირებით – რომ 2016 წლისთვის ავღანეთში დარჩება ამერიკული კონტიგენტი – 5500 ჯარისკაცის ოდენობით, სულ კი კოალიციაში იქნება 12 000-მდე სამხედრო მოსამსახურე.

მოჯაჰედებში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საველე მეთაური იყო აჰმად შაჰ მასუდი. მას, ეროვნებით ტაჯიკს, ესმოდა, რომ ავღანეთს მხოლოდ პუშტუნმა უნდა უხელმძღვანელოს.

2014 წელს ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა აშფარ ჰანიმ, მაგრამ ავღანეთის ახალმა მთავრობამ მაინც ვერ შეძლო წინამორბედი მთავრობის პრობლემების გადაწყვეტა. ხელისუფლება მაინც დარჩა კორუმპირებული და არაეფექტიანი. ავღანური ჯარის ბრძოლისუნარიანობა ვერ გაიზარდა. არ არის გადაწყვეტილი მართვის, უზრუნველყოფისა და ჯარისკაცების მორალური მდგომარეობის პრობლემები. ძალისმიერი სტრუქტურები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ავღანეთი მსოფლიოში ბოლო ადგილზეა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. მისი სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს 7 მლნ დოლარს, აქედან 92 % წარმოადგენს უცხოურ გრანტებსა და დონორი ქვეყნების დახმარებას. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ისეთი მდგომარეობა, რომ ავღანეთს არ შეუძლია თავისივე სახელმწიფო აპარატის უზრუნველყოფა.

„თალიბანს“ აქვს ბევრი პრობლემა. პირველ რიგში, ის არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი ორგანიზაცია. ეს არის სხვადასხვა ძალის, დაჯგუფებისა და ტომის გარკვეული კონფედერაცია, სადაც ყველას აქვს თავისი საკმაოდ დიდი ავტონომია. „თალიბანის“ ბირთვს წარმოადგენს პუშტუნური ტომები, ეს არის დიდი პრობლემა იმ ეთნიკური უმცირესობებისთვის, პირველ რიგში, ტაჯიკების, უზბეკებისა და ხაზარასთვის, ვისაც ეშინია, რომ „თალიბების“ ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ ისინი დაუბრუნდებიან პუშტუნური ნაციონალიზმის ქადაგებას და გააგრძელებენ ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციას. რთული ურთიერთობა აქვს „თალიბანს“ ისლამური სახელმწიფოს მესვეურებთან. „თალიბები“ უყურებენ ისლამურ სახელმწიფოს, როგორც უმცროს ძმას და არა სრულუფლებიან პარტნიორს „ჯვაროსნებთან“ ბრძოლაში. მხოლოდ რამდენიმე ავღანურმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა გამოუცხადა ერთგულება ისლამური სახელმწიფოს ხალიფას – ალ ბაღდადის. თვითონ ავღანელი „თალიბები“ ეჭვის თვალით უყურებენ ნებისმიერ ორგანიზაციას,

სადაც მათ მეორეხარისხოვანი როლის თამაში მოუწევთ.

დიდი ცვლილებები იყო „თალიბანის“ ხელმძღვანელობაშიც; მოლა ომარი გარდაიცვალა 2013 წელს. მის მაგივრად აირჩიეს – აქჰტარ მანსორი. ეს პიროვნება, იმისათვის, რომ დაემტკიცებინა თავისი ქმედითუნარიანობა, ძალიან გააქტიურდა. 2015 წლის 30 სექტემბერს ქვეყნის ჩრდილოეთით, რომელიც მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი იყო, „თალიბებმა“ ერთი დღით აიღეს სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი კუნდუზი. მათ იერიში მიიტანეს ქალაქის ადმინისტრაციის, პოლიციისა და ციხის შენობებზე. გაათავისუფლეს ყველა პატიმარი, რომლებიც მაშინვე მათ შეუერთდნენ. ამ აქციით „თალიბანმა“ აჩვენა, რომ ცენტრალური ხელისუფლება სუსტია და არ შეუძლია უსაფრთხოების გარანტირება.

„თალიბანის“ სტრატეგიას აქვს რამდენიმე ძირითადი მიმართულება: მოახდინონ ქაბულის ცენტრალური ხელისუფლების სრული პარალიზება; აჩვენონ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ ერთადერთი ეფექტური ძალა, რომელიც აკონტროლებს ქვეყნის ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა სფეროს არის „თალიბანი“ და რომ „ჯვაროსნები“ ნებით კი არ ტოვებენ ავღანეთს, არამედ სამხედრო მარცხის გამო გარბიან ქვეყნიდან.

ავღანეთის ახალი პრეზიდენტი ცდილობს, დაამყაროს დიალოგი „თალიბანის“ ზომიერ წარმომადგენლებთან, რათა მოიძებნოს გარკვეული კომპრომისი. ომი, რომელიც გრძელდება 2001 წლიდან და რომელსაც არ უჩანს ბოლო, ძვირად დაუჯდა კოალიციის ძალებს – 3 400-ზე მეტი ჯარისკაცი დაიღუპა; აქედან 2 216 ამერიკელია, 32 – ქართველი, 30 000-მდე არის დაჭრილი. ამ შიდა დაპირისპირების დროს დაიღუპა მინიმუმ 100 000 მეტი ავღანელი. 500 000 მეტ ადამიანს აქვს შიდა ლტოლვილის სტატუსი; ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა განადგურებულია 30 -წლიანი ომის შემდეგ. ახლა „თალიბები“ აკონტროლებენ ტერიტორიის 40 %-ს და არ აპირებენ არანაირ კომპრომისს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. თავიანთი წინაპრების მსგავსად, ბრძოლის ველზე სრული გამარჯვების მოპოვება სურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ცივილიზაციის დასასრულის შესახებ

ინტერვიუ ფილოსოფოს ზაზა შათირიშვილთან

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ხშირად გითქვამთ, რომ რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. რა არის ის გარე ფაქტორები, რაც ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანია?

გარე ფაქტორებიდან უნდა გამოვყოთ ის, რომ სამყარო უცებ, ძალიან სწრაფად იცვლება, მულტიპოლარული ხდება. ბოლო 25-30 წელი ამერიკის შეერთებული შტატები გლობალური სამყაროს ლიდერი იყო. დღეს ეს სიტუაცია ჩვენს თვალწინ შეიცვალა. სინამდვილეში ეს ტენდენცია ბევრად ადრე დაიწყო, მაგრამ ახლა საბოლოოდ გამოიკვეთა. რა თქმა უნდა, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გამო, აშშ მაინც ლიდერია, მაგრამ უკვე ჩანს ამ ლიდერობის დასასრულის დასაწყისი.

რაც ხდებოდა ბოლო 25 წლის განმავლობაში, ნორიეგას წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციების შემდეგ, ანუ 1999 წლიდან მოყოლებული და დამთავრებული 2008 წლით, როცა შეერთებულმა შტატებმა ვერ გაბედა რუსეთთან დაპირისპირება, საქართველოს შემთხვევაში, უკვე ლიდერობის კრიზისია.

ეს იყო პირველი სერიოზული მარცხი. ამას მოჰყვა ორი მარცხი: ერთი უკრაინაში და მეორე – სირიაში. ამავე დროს, კასპიის ზღვიდან ცნობილი სტრატეგიული რაკეტების გასროლის შემდეგ სამი მითი დაინგრა ერთდროულად: პირველი, რომ შეერთებული შტატების დაზვერვამ ყველაფერი იცის, მეორე, რომ რუსეთს არ აქვს ტექნოლოგიები და მესამე, რომ თურმე გამარჯვება შეიძლება ატომური იარაღის გარეშეც. აქედან გამომდინარე, კრიზისი აშკარაა.

მხოლოდ ამერიკის კრიზისზე საუბრობთ, თუ დასავლური სამყაროსი მთლიანად?

მთლიანად დასავლურ სამყაროზე თუ ვილაპარაკებთ, ეს სხვა თემაა. ასევე სხვა თემაა დასავლური სამყაროს კრიზისიც. გლობალიზაციის პროექტი ჩავარდა და გამოიკვეთა მიზეზები, თუ რატომ ჩავარდა. აღმოჩნდა, რომ ხდება პოსტმოდერნიზმის გლობალიზაცია, რაც განსაზღვრებაში, თავისთავად, უკვე წინააღმდეგობრივია. ამდენად, გლობალიზაციის პროექტისა და პოსტმოდერნიზმის წინააღმდეგობა ძალიან კარგად გამოიკვეთა.

ესე იგი, თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ მთავარი ფაქტორი აშშ-ის დასუსტებაა?

ეს არის დასავლური სამყაროს ცივილიზაციის კრიზისი, რომელშიც

რუსეთს მხოლოდ კატალიზატორის როლი აქვს. ამაზე უკვე 100 წელია ვლაპარაკობთ, მაგრამ ახლა ძალიან გამოიკვეთა. მიგრაციული ტალღები და ე.წ. ტერორიზმი ნათლად აჩვენებს იმას, რომ დასავლურმა სამყარომ დაკარგა იმუნიტეტი, ეს არის აბსოლუტურად ნევროტული საზოგადოება, რომელიც პანიკაში ცხოვრობს.

ვფიქრობ, „ისლამური სახელმწიფო" არის ფანტომი, რომელიც ამ პანიკიდან დაიბადა. სინამდვილეში „ისლამურ სახელმწიფოს" ისლამთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს არის დასავლური სამყაროს მეორე მხარე.

ტერორიზმის რაციონალიზაციას ცდილობთ?

ტერორიზმი რაციონალურია. ირაციონალურია დასავლური ღირებულებები და დასავლური სტრატეგია. დალაი ლამამ შესანიშნავად ჩამოაყალიბა, რომ თანამედროვე დასავლელი ადამიანი ისე ცხოვრობს, თითქოს სიკვდილი არ არსებობს და ისე კვდება, თითქოს არც უცხოვრია.

პირამიდები სრულიად გასაგებია, რისთვისაა საჭირო, მაგრამ მე არ მესმის, რისთვისაა საჭირო ცათამბჯენები, იმიტომ, რომ მათი წაღება იმქვეყნად შეუძლებელია. ჩემთვის გაუგებარია, რა იყო „ტყუპების" არსებობის მიზანი. მათი დანგრევის მიზანი გასაგებია. ამით დაარტყეს, ასე ვთქვათ, მამონას. გარედან გასაგებია, რომ ეს არის სანსარული ცივილიზაცია, ანუ არანაირი საფუძველი არ აქვს. მაგრამ შიგნით რომ არის ადამიანი და ამას აკეთებს, მაინტერესებს, მის ტვინში რა ხდება. როგორც ჩანს, არაფერიც არ ხდება.

ამბობთ, ტერორიზმი დასავლური სამყაროს ანარეკლიაო... უფრო კონკრეტულად, რაზე ვსაუბრობთ?

ეს არის ფანტომი. თანამედროვე ფილოსოფოსს, კანადელ ჩარლზ ტეილორს ძალიან კარგი ტერმინი აქვს გამოყენებული: Close World – დახშული სამყარო. ანუ სამყარო, რომელშიც ტრანსცენდენტური ძალა არ არის ან, სადაც ის მოუაზრებელი ხდება. ასეთ სამყაროს ტეილორი განიხილავს, როგორც ჩაკეტილს, ანუ სამყაროს სულიერების გარეშე. ეს არის თანამედროვე დასავლეთი.

სწორედ ეს უსულობა და ჩაკეტილობა ბადებს ამ ეფექტს. დასავლეთმა უკვე აღარ იცის, რა არის აგრესია და რა – არა. მისთვის უკვე ყველაფერი ძალადობაა. მასწავლებელი გაკვეთილს რომ ატარებს, ესეც ძალადობაა. თუ ყველაფერი ძალადობაა, გაუგებარი ხდება, რა არ არის ძალადობა. ამიტომ ვამბობ, რომ ამ საზოგადოებას იმუნიტეტიც აღარ აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ, როცა ის დაუპირისპირდა ოჯახს, სიცოცხლის ინსტინქტს, ამით მოიჭრა ის ტოტი, რომელზეც ზის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საზოგადოება აბსოლუტურად განწირულია.

რას გულისხმობთ სიცოცხლესთან დაპირისპირებაში?

ამ შემთხვევაში მე ჰომოსექსუალობას არ ვგულისხმობ, საერთოდ სექსუალობას ვგულისხმობ. როდესაც ადამიანი დაიყვანება სექსუალობამდე და საქმიანობამდე, ანუ სხვა კოორდინატები აღარ არის, ეს ადამიანი განწირულია, ის არის ერთგანზომილებიანი ადამიანი. ეს უკვე მოხდა, დასავლეთმა ჩაიდინა კოლექტიური თვითმკვლელობა.

აშშ-ის დემოგრაფიული ინსტიტუტის მონაცემებით, 2040 წელს ლათინოსი უფრო მეტი იქნება, ვიდრე თეთრი ამერიკელი. საუბარია იმაზე, რომ თეთრი რასა მთავრდება და ძალიანაც კარგი. იმდენი უბედურება დაიტეხა თავს და მსოფლიოსაც იმდენი დაატეხა, ძალიან კარგი, თუ თეთრი რასა მთავრდება.

და ჩვენც, როგორც თეთრი რასის ნაწილი?

განსაზღვრების თანახმად, ქართული კულტურა შეუძლებელია ევროპული იყოს, იმიტომ, რომ ევროპული კულტურა რომის ეკლესიამ ბარბაროსებისგან შექმნა მე-9-10 საუკუნეებში. ჩვენ ამ დროს უკვე ვარსებობდით. ქრისტიანობა რომ შემოვიდა, ცივილიზაცია კი არა, სახარება შემოიტანა, ცივილიზაცია აქ უკვე იყო.

დასავლეთის ცივილიზაციას დარჩა 60-70 წელი. 21-ე საუკუნის 90-იან წლებში ეს ცივილიზაცია საბოლოოდ დამთავრდება.

მაშინ რა უნდა იყოს ჩვენი საორიენტაციო სკალა? რა სივრცის ნაწილი ვართ?

ეს ყველაფერი არის თანამედროვე ენის და წარმოდგენების ნაწილი. ეს რომ დამთავრდება, სულ სხვა ენა და წარმოდგენები იქნება. ასე რომ, ჩვენი შეკითხვა ორიენტაციის შესახებ, ეს არის თანამედროვე კონიუნქტურა. როცა ეს თანამედროვე კონიუნქტურა აღარ იარსებებს, ასეთი შეკითხვებიც აღარ იქნება, რეალობაც შეიცვლება.

იმპერატორი ავგუსტუსი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ შესაძლოა ცივილიზაცია პალესტრას და სპორტის გარეშე; არადა შუა საუკუნეების ცივილიზაცია იყო მათ გარეშე.

წარმოიდგინეთ დრო, როცა აღარ იქნება ფსიქოანალიზი და ადამიანებს არ ეცოდინებათ, რას წერდა ფროიდი. როგორც ჩვენ არ ვიცით, ბაბილონელები რას წერდნენ. არ ეცოდინებათ, რა არის მარქსიზმი.

თქვენ გულისხმობთ 50-60 წლის შემდეგ პერიოდს?

კი, მაგრამ ახალი ცივილიზაცია, რომლის ფოკუსიც აფრიკა იქნება, სრულიად ახალი იქნება და მის ჩამოყალიბებას, ალბათ, 2 საუკუნე დასჭირდება. ღირებულებებისა და დისციპლინების, მათ შორის საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესრიგის მთელი ეს სისტემა აღარ იქნება და რაღაც ახალი დაიბადება. ცხადია, იქნება წყვეტა, რადგან ცივილიზაციური წანამძღვრება ყოველთვის წყვეტასთან არის დაკავშირებული. ახალ ადამიანს არ ესმის, ძველი რას ამბობს.

დასავლური ცივილიზაციის დასასრული ჯერ კიდევ 100 წლის წინათ იწინასწარმეტყველეს. ბოლო პერიოდში ეს თემა შეგვახსენა პატრიკ ბიუკენენმა, რეიგანის მეგობარმა და მრჩეველმა. ის, რასაც ბიუკენენი 15 წლის წინ ამბობდა, დღეს უკვე რეალობაა. მიგრაციული კრიზისი ჩვენი რეალობაა, 3-4 თვის წინათ ასე არ იყო.

უფრო გასაგები რომ იყოს, თქვენი აზრით, დასავლურმა ცივილიზაციამ იმიტომ ამოწურა თავი, რომ ის არსებითად უპირისპირდება ფუნდამენტურ საწყისებს?

ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება არის ის, რომ განსხვავებით ბერძნულ-რომაული ცივილიზაციისგან, რომელიც რომაული სამართლისა და ბერძნული ფილოსოფიის ალიანსზე იდგა, დასავლური ცივილიზაცია თავიდანვე ქრისტიანული იყო. ეს არის რომის ეკლესიის პროდუქტი, რომელიც მან ბარბაროსული ჰუმუსებისგან შექმნა. სიმბოლურ თარიღად შეიძლება 800 წლის 25 დეკემბერი დასახელდეს, როდესაც კარლოს დიდი გამოაცხადეს იმპერატორად.

საფრანგეთის რევოლუციის მერე დაიწყო დექრისტიანიზაციის პროცესი, იგივე სეკულარიზაციას რასაც ვეძახით. ამ პროცესმა მიგვიყვანა იდენტობის აბსოლუტურ პრობლემამდე. დასავლელმა ადამიანმა არ იცის, ვინ არის, არ იცის, ქალია, კაცია, რას მიეკუთვნება. ნაციონალური იდენტობაც უკვე სერიოზულ კრიზისშია, ყველა ვინც ტერორისტული აქტი მოაწყო, ფრანგი იყო. რა იდენტობაზეა საუბარი. პოლიტიკური კორექტულობის გამო ვუწოდებთ მათ ფრანგებს, მაგრამ ისინი თავს ფრანგად არ აღიქვამენ. პარიზის ცენტრში ხალხი რომ იხოცებოდა და პანიკა იყო, გარეუბნებში ზეიმობდნენ, ცეკვა-თამაშით. ეს არის სამოქალაქო ომის სიტუაცია. რომელ იდენტობაზე ვსაუბრობთ.

ეს პირდაპირ მეხუთე კოლონაა, მაგრამ ხომ ვერ გამოყრი იქიდან. ჯერ ერთი, აბსოლუტურად არაქრისტიანულია. იმარჯვებს ყველაზე ძლიერი, მაგრამ ვინ არის ძლიერი? პირველი სამყარო მესამეს ეკონომიკით ამარცხებს, მესამე ამარცხებს პირველს დემოგრაფიით, ანუ იმარჯვებს ჯაყო და ევროპა არის თეიმურაზ ხევისთავი. ეს მოდელი გადასარევად მუშაობს და ვერაფერს იზამ, იმიტომ, რომ შენი ნებისმიერი საქციელი არაჰუმანური იქნება. ანუ ტრამპის პოლიტიკური მოძღვრება უკვე შეუძლებელია.

თქვენს ლოგიკას რომ გავყვეთ, გამოდის, რომ ევროპა თავის იდენტობას აუმხედრდა.

იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი სწორედ დექრისტიანიზაციასთან ერთად იწყება. ისინი დექრისტიანიზაციის შედეგია, როდესაც წინა პლანზე გამოდის არა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ასკეზა, მედიტაცია, სიღარიბე, არამედ სრულიად საპირისპირო. ანუ ძალაუფლების ნება, პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ღლეტა. ეს ყველაფერი დექრისტიანიზაციის შედეგია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციით დაიწყო. ეს ლოგიკური შედეგია.

საიდან მოდის ის პოტენციალი, რომელსაც აფრიკაში ხედავთ?

ქრისტიანობიდან. მისი აღორძინება უკვე მოხდა, იმიტომ, რომ თუ 1900 წელს აფრიკაში 3 მილიონი კათოლიკე იყო, ახლა 300 მილიონია. აქედან გამომდინარე, უკვე ჩანს, სად გადადის ისტორია. ეს ლოგიკური შედეგია. დასავლეთმა ამოწურა თავისი ფუნქცია.

თავის დროზე ქრისტიანობა საიდან დაიწყო – სირიიდან და ერაყიდან, დღეს კი იქ არაფერი არ არის, დასავლეთში გადავიდა, ახლა სამხრეთში გადადის.

ბენედიქტ მეთექვსმეტემ აფრიკას იმედის კონტინენტი უწოდა, ანუ ბავშვურობა აქვს, რწმენას აბსოლუტურად ბავშვურად, გულით იღებს. მაშინ, როცა აქ ადამიანებს არაფერი აღარ აინტერესებთ.

სწორედ რწმენაა რაციონალური და ურწმუნოება ირაციონალური. თუ კარგად დაუკვირდებით, ასეა.

ეს იმ ადამიანებისთვის, ვისაც რელიგიური მსოფლმხედველობა აქვს.

მე არ ვიყავი რელიგიური, მაგრამ არ მესმოდა, რა დანიშნულება აქვს ასსართულიან სახლებს, თუმცა მესმოდა პირამიდის დანიშნულება. რა აზრი აქვს ფინანსურ კაპიტალს, არ მესმის.

შამანი რასაც აკეთებს, მესმის, გადადის ტრანსცენდენტურ განზომილებაში, მაგრამ არ მესმის ბიზნესმენის, კაპიტალისტის. ხომ დამთავრდება ეს კომფორტი, არა? აბა, რაშია ხიბლი?

თუ ვიფიქრებთ, რომ ადამიანის მთელი ცხოვრება სიკვდილისათვის მზადებაა, მაშინ ეს ყველაფერი აზრს კარგავს. მაგრამ თუ სიკვდილს ჩვენი ცხოვრებიდან გავიტანთ ისე, როგორც სულიერება გვაქვს გატანილი დახშული სამყაროდან, მაშინ როგორ შეიძლება ასე იცხოვრო?! ეს არის ერთადერთი ცივილიზაცია, რომელიც ასე ცხოვრობს.

მე გამოვდივარ ძალიან მარტივი რამიდან – არის დაოსი, არის იოგი, თავისი ცხოვრების წესით. მას სიკეთესა და ბოროტებაზე სულ სხვა წარმოდგენა აქვს, ვიდრე ქრისტიანს, მაგრამ ნებისმიერ კულტურაში არსებობს „მილმიერი სამყაროს“ ცნება. ნებისმიერი ცივილიზაციის, იქნება ის ჩინური, ინდური, სპარსული, ბერძნული თუ ა.შ. მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ის, რასაც ბერძნები უწოდებენ „სხოლეს“, ანუ

მოცალეობას. ჩვენ იმიტომ ვმუშაობთ, რომ მოცალეობა გვქონდესო. ღმერთი 6 დღის განმავლობაში ქმნიდა სამყაროს, მეშვიდე დღეს დაისვენა. ამიტომ შაბათის საზრისიც ესაა – ეს არის დღესასწაული, ზეიმი, ანუ ადამიანი ამისთვის არის დაბადებული.

პლატონს თავის კანონებში აქვს ასეთი არაჩვეულებრივი ფრაზა – იმისათვის, რომ ღმერთებს წამოეყენებინათ ადამიანი მისი ახლანდელი, მინაზე განრთხმული მდგომარეობიდან, მათ დააწესეს დღესასწაული და თვითონ ღმერთები ჩამოდიან მინაზე, რომ ადამიანი ვერტიკალურ მდგომარეობაში გაიმართოსო. ამას არანაირი კავშირი არ აქვს დასავლურ რეკრეაციას, რელაქსაციასა და შრომასთან, სადაც ჩემი დასვენება ვიღაცის შრომაა და პირიქით. სადაც სექსუალობაც სწორედ შრომის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით და cv-ის ნაწილია.

დასავლური ცივილიზაცია ერთადერთია, რომელმაც მოსპო „მოცალეობის კულტი". როგორც ნარნიაში შობა არ დგება, ისე ეს არის ცივილიზაცია, სადაც კვირა არ არსებობს, სადაც არ არსებობს მოცალეობა და არის დასვენება და რეკრეაცია. ამიტომ ის დიდხანს ვერ გაძლებს და ვერც გაძლო. აქედან მოდის სწორედ მთელი რიგი პრობლემები.

რა არის რომის ეკლესიისა და კათოლიციზმის როლი დღევანდელ კონტექსტში?

აღმოჩნდა, რომ დასავლური ცივილიზაცია და კათოლიკური ეკლესია არ ემთხვევა ერთმანეთს. დღეს კათოლიკეების უდიდესი ნაწილი არის აფრიკა-აზიაში და არა ევროპაში. გუშინწინ ებრაელები იყვნენ რომის პაპები, მანამდე გალილეველი მებადური იყო პირველი პაპი, შემდეგი – აფრიკელი იქნება, დარწმუნებული ვარ. კარდინალი რობერტ სარა ან კარდინალი ნაპიერი იქნება შემდეგი რომის პაპი.

რომი არის უნივერსალური ეკლესია, რომელიც ქმნის ერთ ცივილიზაციას, მერე ის მიდის. მოდის მეორე ცივილიზაცია და ა.შ. ცივილიზაცია არის ჰუმუსი და რომის ეკლესია არის მარადიული, ის არ არის დამოკიდებული ამაზე.

შესაბამისად, რომის ეკლესია არ „გადაჰყვება" დასავლურ ცივილიზაციას?

რა თქმა უნდა, არ გადაჰყვება. დღეს როგორი ვითარებაა იცით, დღეს თუ დასავლეთში ადამიანი არის ქრისტიანი, ის უკვე აღარაა დასავლელი.

რატომ, დასავლეთი ხომ მაინც ტოვებს ადგილს მრავალფეროვნებისთვის, აღმსარებლობის თავისუფლებისთვის?

დასავლეთი არაფრისთვის არ ტოვებს ადგილს. რასაც ჩვენ დასავლეთს ვუწოდებთ, ეს უკვე რელიგიაა. ამას მე გნოსტიკური მატერიალიზმის

თავის თავს გამოხატავს.

თვითგამოხატვაში ცუდი ისაა, რომ ეს არის საკუთარი თავის აღვირახსნილი სიყვარული და საკუთარი თავის კულტი, ანუ „მე" ხდება სამყაროს ცენტრი. არადა, სამყაროში სხვა უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებებიც არსებობს.

რომის და რუსეთის ურთიერთობაზე არ გვისაუბრია. ბოლო რამდენიმე წელია, სახეზეა პაპი ფრანცისკეს და პუტინის ურთიერთრევერანსები, მათ შორის უკრაინის მოვლენების შემდგომაც.

ნამდვილად ასეა, არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ მათ. ეს ყველაფერი ბუნებრივია. თუ დასავლური ცივილიზაცია თვითონაა ახალი რელიგია, მაშინ რომისა და რუსეთის დაახლოება სავსებით ლოგიკურია ამ ფონზე.

„ეს არის დასავლური სამყაროს ცივილიზაციის კრიზისი, რომელშიც რუსეთს მხოლოდ კატალიზატორის როლი აქვს. ამაზე უკვე 100 წელია ვლაპარაკობთ, მაგრამ ახლა ძალიან გამოიკვეთა. მიგრაციული ტალღები და ე.წ. ტერორიზმი ნათლად აჩვენებს იმას, რომ დასავლურმა სამყარომ დაკარგა იმუნიტეტი, ეს არის აბსოლუტურად ნევროტული საზოგადოება, რომელიც პანიკაში ცხოვრობს".

რელიგიას ვეძახი, რომელიც ამბობს, რომ ადამიანი თვითონაა ღმერთი და სწორია ის, რასაც ადამიანი აკეთებს. ამ რელიგიის მთავარი პოსტულატები არის თვითგამოხატვა და თვითგამოხატვის აბსოლუტური ღირებულება. ამას შეიძლება ვუწოდოთ გნოსტიკური მატერიალიზმის ცივილიზაცია, რომელიც დგას ოთხ ვეშაპზე – მედია, მენეჯმენტი, დიზაინი და ტექნოლოგიები.

ხელოვნება ხომ მოკვდა და ის დიზაინმა ჩაანაცვლა, ანუ ხელოვნებამ, შემოქმედების გარეშე. მედიაც ხომ ჭეშმარიტებას არ გამოხატავს, ის

თქვენი აზრით, რა იქნება დასავლური ცივილიზაციის სხვა ცივილიზაციით ჩანაცვლების შემდეგ?

ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება ის, მაგრამ დაახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ რაღაცები აღარ იქნება. მაგალითად, აღარ იქნება მარქსიზმი, ფემინიზმი, ლგბტ პრობლემატიკა. მიშელ ფუკო, რომელმაც თვითონ დაიყენა სექსუალობისა და სექსუალობის ისტორიის საკითხი, მანაც კი თქვა, რომ მომავალი ადამიანი გაკვირვებული იქნება იმით, როგორ აინტერესებდა ისეთი ბანალური რაღაც, როგორიცაა სექსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი და შავიც აღარ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ შავი რასა იქნება წამყვანი. ჩინელებიც და ინდოელებიც ძალიან სერიოზულ როლს შეასრულებენ, მაგრამ მესამე ქრისტიანული ცივილიზაციის თვალსაზრისით, ფორპოსტი აფრიკა იქნება.

დღევანდელი სირია, ერაყი და ავღანეთი?

იქ სრული დექრისტიანიზაცია მოხდა და ქვა ქვაზე აღარ დარჩა უკვე. ფაქტობრივად, ქრისტიანების სამშობლოში ქრისტიანები აღარ არიან. ამ 4 წლის განმავლობაში ეს ხდება, ერაყიდან დაიწყო და სირიაში ბოლომდე მივიდა ეს პროცესები.

რუსეთის როლი როგორია ამ პროცესებში?

როგორც უკვე ვთქვით, ამჟამად რუსეთი კატალიზატორის როლს ასრულებს. გადატანითი მნიშვნელობით თუ ვიტყვით, კლასში იყო ერთი მაგარი ბიჭი, გამოჩნდა მეორე ბიჭი და ამბობს, მეც მაგარი ვარო. არის ჩხუბი და ნაწილი აქეთაა, ნაწილი – იქეთ. გამოჩნდა ვიღაც, რომელიც არ დაემორჩილა ამ წესებს და ხალხი ფიქრობს უკვე, მეფე შიშველი ხომ არ არის?

ყველაფერთან ერთად თანამედროვე ცივილიზაცია არის ცინიკური, იმიტომ, რომ ეს არის ძალის ცივილიზაცია, ძალა კი მორევაზეა.

თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთი მხოლოდ ძალის დემონსტრირებით ახერხებს ამას?

ძალის დემონსტრირება არის ის, რომ მას აქვს იმუნიტეტი.

მეტსაც გეტყვით, რუსეთის ასეთი საქციელი ხელ-ფეხს უხსნის ჩინეთსაც და სხვა სახელმწიფოებსაც. აღმოჩნდა, რომ ერთი პოლუსი არ მართავს ამ ყველაფერს.

რუსეთის რეზისტენტულობას აქვს შინაარსობრივი დატვირთვა, თუ უბრალოდ ძალის დემონსტრირება ხდება?

რაში გვაინტერესებს, შინაარსობრივად რუსეთი რას გვთავაზობს. შინაარსი თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ჩადოს. მთავარი ისაა, რომ სამყარო ერთფეროვანი აღარ იქნება. აი, ეს შეიცვალა. მგონია, რომ მეორეხარისხოვანია, ვინ რას მთავაზობს. ეს უკვე დამოკიდებულია ადამიანის აღქმაზე, ვიღაცას მღვდელი მოსწონს, ვიღაცას მღვდლის ცოლი. ვიღაცისთვის რუსეთი სულიერების გამოხატულებაა, ვიღაცისთვის ბარბაროსი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ის, რომ თამაშის წესები შეიცვალა და სამყარო აღარ არის ერთფეროვანი, ძალიან კარგია. შეერთებული შტატებისთვისაც კარგია ეს. 25 წელი მოკიდებული ჰქონდა ეს საშინელი პასუხისმგებლობა და ახლა ყველაფერზე პასუხისმგებელი აღარ იქნება. აქამდე ყველაფერი მას ჰბრალდებოდა, ერაყი, სირია... ახლა შეუძლია, გადაანაწილოს როლი და ბევრად უფრო ნორმალურ მოცემულობას მივიღებთ.

შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური გაგებით ალიანსებმა, ნატო-მ, უკვე აზრი დაკარგა. ნატო უკვე ანაქრონიზმია. მე მისი არსებობის აზრს ვერ ვხედავ, მით უფრო ევროკავშირის. გაუგებარია, რა არის მათი არსებობის ფუნქცია.

ჩვენი დღევანდელი რეალობისთვის, ეს ნაჯახივით განცხადებაა. მაშინ საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი საგარეო ორიენტირი? რა სივრცის ნაწილი უნდა ვიყოთ? ასევე, მნიშვნელოვანია, ჩვენი ისტორიული კონტექსტი, რომლის უგულებელყოფაც არ შეიძლება.

უნდა გავთავისუფლდეთ, მთავარი თავისუფლებაა. უნდა მივეჩვიოთ ცხოვრებას. ჩვენ გვინდოდა, ერთხელ და სამუდამოდ სხვას ეფიქრა ჩვენს ნაცვლად, მაგალითად ნატოს. არ გამოვა ასე.

ჩვენთან ხომ იცით, როგორაა? ყველა აცნობიერებს ამას, უბრალოდ, საჯაროდ ვერავინ ბედავს ამაზე ლაპარაკს.

თქვენი აზრით, დასავლეთის კრიზისისა და ნიჰილიზმის ფონზე რა კონტექსტია დღეს ჩვენთან?

თუ დასავლეთი ჩავარდნილია გნოსტიკურ მატერიალიზმში, ქართველი ხალხი ჩავარდნილია წარმართობაში. მაგრამ წარმართობიდან შეიძლება ქრისტიანობაში გადასვლა, მატერიალიზმიდან კი, ალბათ, ვერა.

წარმართი არის პრიმიტიული. „ლგბტ ცნობიერება“ ბევრად უფრო დანინაურებულია, ვიდრე საწყალი წარმართი, მაგრამ ის სრულ ამპარტავნებაშია ჩავარდნილი. ფაქტობრივად, რაც 30 წელს პარტიის ხაზი იყო, ახლა „ლგბტ“ თემატიკაა. ეს ახალი კონიუნქტურაა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ამ ფონზე, როცა საზოგადოდ სექსუალური პრაქტიკა და გამოხატვა არის პროგრესი, წარმართობა შავბნელია. 95% ქართველი წარმართია. ეს არის წარმართობისა და გნოსტიციზმის დაპირისპირება.

მაგრამ საკუთარ თავში ხომ ორივეს ვპოულობთ, ჩვენში არის წარმართი, რადგან რაღაცების ახსნას ვეძებთ და გნოსტიციზმიც, რადგან საკუთარი თავის აღვირახსნილ სიყვარულში ვვარდებით.

კაპიტალიზმი, თავისი არსით, ღრმად ჰომოსექსუალური მოვლენაა. კაპიტალიზმი ხომ ისაა, რომ კერძო ინტერესი უფრო მაღლა დგას, ვიდრე საზოგადო. ორიენტაცია საკუთარ თავზე და თავის კულტივაცია შეიძლება თვითგამოხატვას სჯობია, მაგრამ ეს არის კაპიტალიზმი.

ფროიდიც ასე ხსნის და ნარცისიზმიც სწორედ ესაა, ორიენტა-

ცია საკუთარ თავზე ანუ საკუთარ სქესზე. ეს იმიტომ მოხდა, რომ საზოგადოება ერთგანზომილებიანი გახდა.

მათემატიკოსი პუანკარე ორგანზომილებიან არსებებზე ლაპარაკობდა. წარმოიდგინეთ ორგანზომილებიანი არსებები, რომლებიც დადიან ბურთზე. მათთვის ეს ბურთი უსასრულო სიბრტყე იქნებოდა, რადგან მესამე განზომილება არ აქვს ბურთს. ასეა, სექსუალობისა და საქმიანობის ადამიანი არის ორგანზომილებიანი ადამიანი, რომელსაც

■ იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი სწორედ დექრისტიანიზაციასთან ერთად იწყება. ისინი დექრისტიანიზაციის შედეგია, როდესაც წინა პლანზე გამოდის არა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ასკეზა, მედიტაცია, სიღარიბე, არამედ სრულიად საპირისპირო. ანუ ძალაუფლების ნება, პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ღლეტა. ეს ყველაფერი დექრისტიანიზაციის შედეგია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციით დაიწყო. ეს ლოგიკური შედეგია.

არ აქვს მესამე განზომილება. ეს ე.წ. ჰომოსექსუალსაც და ე.წ. ჰეტეროსექსუალსაც თანაბრად ეხება. ადამიანს სექსუალობა საერთოდ არ განსაზღვრავს, მას უკვდავი სული განსაზღვრავს და არა მისი გენდერული ორიენტაცია და ა.შ.

თუ ადამიანს სულის არსებობის არ სჯერა?

მაშინ მას დარჩა მხოლოდ სიკვდილი.

როგორ ფიქრობთ, არსებობს ოაზისები, რომლებიც აბსოლუტურად არ არიან ჩართულნი ამ პროცესებში?

მეტ-ნაკლებად. ჩინეთი ყოველთვის იყო თვითკმარი. ეს არის ჩინური კულტურისთვის დამახასიათებელი, 3 000 წელი ასე იყო და ასე არის დღესაც. თუმცა, ცხადია, თვითკმარობა არ ნიშნავს სრულ იზოლაციას, მაგრამ ჩინური კულტურისათვის დამახასიათებელია, რომ მას არ აქვს გლობალური პროექტი. ჩინეთი ყოველთვის იქნება გახსნილი და არის კიდეც, მაგრამ მას არ აქვს გლობალური პროექტი, განსხვავებით დასავლური სამყაროსგან.

გლობალური პროექტი არც ინდოეთს აქვს, არც თანამედროვე რუსეთს. ბოლშევიკების რუსეთს კი ჰქონდა – მუდმივი რევოლუციებისა და მთელ მსოფლიოში სოციალისტური რეჟიმის დამყარების სახით, მაგრამ ჩავარდა. ე.ი. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ჩავარდა გლობალიზაციის სოციალისტური პროექტი, ახლა ჩავარდა გლობალიზაციის კაპიტალისტური პროექტი.

და რა დარჩა?

ცივილიზაციური მრავალფეროვნება. ანუ ერთიანი გლობალური მსოფლიო ვერ შეიქმნა. რატომ? იმიტომ, რომ მატერიალისტურმა ცივილიზაციამ ვერ შეძლო აღმოსავლური სულიერი კულტურის ათვისება, არათავსებადი აღმოჩნდა ეს ორი რამ. აღმოსავლური სულიერება ამ პროექტის მიღმა აღმოჩნდა და ამიტომ ჩავარდა. მთავარი მიზეზი ესაა.

რა არის ქრისტიანობის როლი ამ მრავალფეროვნებაში?

საქმე ისაა, რომ ქრისტიანობა ყოველთვის ისტორიაშია ჩართული, ბუდიზმისა და ინდუიზმისგან განსხვავებით. მათ შეუძლიათ ისტორიის გარეშე ცხოვრება. ამის გამოცდილება აქვთ. მათთვის ესაა სანსარა. ქრისტიანი კი ისტორიის გარეშე ვერ იცხოვრებს, რადგან მას ისტორიაზე პასუხისმგებლობა აქვს. ამიტომ ქრისტიანობის პრობლემა არის ის, რომ ხშირ შემთხვევაში ხდება მისი გადაგვარება წარმართობაში.

როცა წარმართობაზე ვლაპარაკობ, ისტორიულ წარმართობას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ საკრალური გეოგრაფიის განცდას. მაგალითად, რომ სამების ტაძარი არის ყველაზე წმინდა ადგილი, ასევე, ზეციურ საქართველოსა და ასეთ იდეებს. ეს წმინდად წარმართულია. როგორც, მაგალითად, ისლამში არის ისლამის წმინდა მიწის ცნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს უფრო ხალხურ ღვთისმოსაობას ახასიათებს.

კაპიტალიზმი კი ამას გამორიცხავს, მისთვის წმიდათაწმინდაა ინფორმაცია და კაპიტალი. აქედან გამომდინარე, გნოსტიკური მატერიალიზმის ცივილიზაციასაც აქვს თავისი სიწმინდეები. ეს სიწმინდეები არის ის, რომ არ უნდა იყოს იზოლაცია, კაპიტალი ყველგან უნდა შედიოდეს, ინფორმაცია ყველგან ვრცელდებოდეს დაუბრკოლებლად. ასევე, „მეს“ კულტივაცია და ა.შ.

ქრისტიანობის როლი კი სწორედ ისაა, რომ ილაპარაკოს საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვასა და უანგარო გაცემაზე.

ესაუბრა შორენა შავერდაშვილი

რეპორტაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ოცნებებით, პანკისიდან

ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი, ფოტო: ვახო ხეთაგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუისის ბოლოს, ჯოყოლომდე რამდენიმე ასეულ მეტრში, სოფლის სასაფლაოების გავლით ტყით დაფარული მთებისკენ ოლრო-ჩოლრო გზა მიუყვება. ცხენებშებმული ურმებით შეშისმჭრელები გზაჯვარედინზე გროვდებიან.

მაქა მუთოშვილი, 22 წლის ჯოყოლოელი გოგონა, მხრებზე ჩამოშლილი ნაბლისფერი კულულებით, გამოყვანილი კაბით, ნითელი ქურთუკით, ქვის ყორით შემოსაზღვრული ეზოს ნინ დგას. ეზოში, ასწლოვანი ხეების მიღმა ჯოყოლოს მეჩეთის კენტურები ილანდება. მუსლიმ ქალთათვის მახასიათებელი მოკრძალება და სიმორცხვე გოგონას თავდაჯერებულობას და ხასიათის სიმტკიცეს სრულებით ვერ ფარავს.

* * *

სოფელი ჯოყოლო ახმეტის მუნიციპალიტეტში, პანკისის ხეობაში, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მედიის ყურადღების ცენტრში ბოლოს მიმდინარე წლის ივნისში მოექცა, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა სოფლის იმამი, აიუფ ბორჩაშვილი დააკავეს. ბორჩაშვილს პანკისელი ახალგაზრდების „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში რეკრუტირება ედება ბრალად.

ტერორიზმის შესახებ შეერთებული შტატების დეპარტამენტის მოხსენების მიხედვით, „ისლამური სახელმწიფოს“, „დაეშის“ რიგებში საქართველოს 100-მდე მოქალაქე იბრძვის. მათ შორის ყველაზე ცნობილი, ქართული არმიის დაზვერვის ყოფილი სერჟანტი, „ულალწვერა იმამის“ ფსევდონიმით განთქმული 29 წლის თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ შიშანია. Isis-ის ჩრდილოეთ სექტორში, ერაყსა და სირიაში მეთმარი რადიკალი ისლამისტების მეთაური პანკისის ხეობაში ლეგენდადაა ქცეული.

ხეობაში მოსახვედრად ოსებითა და ფშაველებით დასახლებული სოფლის, მატნის გავლა მოგიწევთ, მატანს ბახლოვერი, ქორეთი, საკობიანო, ნინუბანი და ყვარელწყალი მოჰყვება, შემდეგ კი ხეობის უმსხვილეს სოფელში ადმინისტრაციულ ცენტრ დუისში მოხვდებით. სწორედ დუისის გაგრძელებაზე მდებარეობს მაქას სოფელი ჯოყოლო.

ეთნიკური ქისტები ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 20%-ზე მეტს შეადგენენ. მათი ძირითადი ნაწილი სუნიტურ ისლამს აღიარებს, ბოლო დროს კი ვაჰაბისტური მოძრაობა ძალებს იკრებს და როგორც „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ კვლევაში ვკითხულობთ – „რადიკალიზაციის, გამარტივებული რეკრუტირებისა და იდეოლოგიური განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ“.

ინტერნეტრესურსებით, სპეციალური თავშეყრის ადგილებით და ახალგაზრდობასთან წვდომის სხვა საშუალებებით საქართველოს მოქალაქეების, ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცების ჯიჰადის მეომრებად ჩამოყალიბება დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.

სახელმწიფოს ანტიტერორისტული ქმედებებიდან რამდენიმე ოპერაციის გამოყოფა შეიძლება. ბოლო ხმაურიანი დაკავება 2015 წლის 22 ნოემბერს მოხდა. დავით ბორჩაშვილი თურქეთიდან საქართველოში ბრუნდებოდა, როცა დააპატიმრეს. მას ბრალად „უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში, ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში დახმარებას“ ედავებიან. ბორჩაშვილი სირიაში ყოფნას არ უარყოფს, თუმცა ამტკიცებს, რომ არა ისლამური სახელმწიფოს, არამედ სხვა ამბოხებული ჯგუფის შემადგენლობაში იბრძოდა, „დაეშისა“ და ბაშარ ალ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ.

დავით ბორჩაშვილის დაპატიმრებას ხეობაში არაერთგვაროვანი რეაქციით შეხვდნენ. უხუცეს ქალთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი მნვავედ აკრიტიკებს კანონს, რომლის მიხედვითაც, სირიაში საბრძოლო

ერთიანული ბიბლიოთეკა

მაქა მუთოშვილი, 22 წლის ჯოყოლოელი გოგონა, მხრებზე ჩამოშლილი წაბლისფერი კულულებით, გამოყვანილი კაბით, წითელი ქურთუკით, ქვის ყორით შემოსაზღვრული ეზოს წინ დგას. ეზოში, ასწლოვანი ხეების მიღმა ჯოყოლოს მეჩეთის კონტურები ილანდება. მუსლიმ ქალთათვის მახასიათებელი მოკრძალება და სიმორცხვე გოგონას თავდაჯერებულობას და ხასიათის სიმტკიცეს სრულებით ვერ ფარავს.

მოქმედებებიდან დაბრუნებულ მეომრებს სპეციალური სამსახურები აკვებენ. „ყველა ტერორისტი კი არ არის. ზოგი შეცდომას უშვებს. მათი უმრავლესობა ხომ ძალიან ახალგაზრდაა. როდესაც შეცდომას აცნობიერებენ, უკან დაბრუნება სურთ, მაგრამ აქ გზა მოჭრილი აქვთ, პრაქტიკულად, ორ ცეცხლს შუა ხვდებიან“.

ისლამური სახელმწიფოსკენ მხოლოდ მამაკაცები არ მიემართებიან, 1 მაისს „კახეთის საინფორმაციო ცენტრმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, პანკისის ხეობიდან სირიაში კიდევ ერთი არასრულწლოვანი, ამჯერად სკოლის მოსწავლე გოგონა გაგზავნეს – „გადამწყმდარული ინფორმაციით, არასრულწლოვანი გოგონა პანკისელ ახალგაზრდას მითხოვეს, რომელიც წელინადზე მეტია, სირიაში, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს იბრძვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ გოგონამ საქართველოს საზღვარი 2015 წლის 28 აპრილს კანონიერად, მშობლების თანხმობით გადაკვეთა“.

* * *

მაქასთან ჩემი საუბარი ადგილობრივების უყურადღებოდ არ რჩებათ. გამვლელთა რეპლიკები, ქისტურ ენაზე, ჩვენს ინტერვიუს რამდენჯერმე წყვეტს, თუმცა გოგონას ეს არ აწუხებს, რადგან, როგორც ამბობს, „მკაცრი მშობლები არ ჰყავს“.

მაქა პანკისში მოქმედი „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ აქტივისტია. დიდი ხანია, სილამაზის სალონის გახსნა უნდა, მაგრამ საშუალება არ აქვს. როდესაც ცენტრმა მცირე გრანტების კონკურსი გამოაცხადა, მაქამ პროექტი დაწერა და იმედი აქვს, იდეას დაუფინანსებენ. მისი აზრით, სალონი ფინანსურად მომგებიანი იქნება, რადგან ხეობაში სხვა სალონი არ არსებობს და ამისთვის პანკისელები ახმეტასა და თელავში დადიან. მაქა საქმიანობას ორ მეგობართან ერთად გეგმავს. სტილისტის გამოცდილება არც ერთს არ აქვს, თუმცა აპირებენ, ტრენინგები გაიარონ.

* * *

ისლამ გორგიშვილს მეორე დღეს დუისის ცენტრში, კლუბის ეზოში ვხვდები. პანკისის უხუცეს ქალთა ინიციატივით, აქ ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ აქცია მიმდინარეობს.

21 წლის ისლამი თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ისტორიას სწავლობს, სამოქალაქო აქტივობების გამგეობის წევრია და პანკისელი ბიჭების შესახებ არსებულ სტერეოტიპებს ერთი შეხედვისთანავე არღვევს. ანთებული თვალებით ყვება ღონისძიებებზე, რომელთა დაგეგმარებაშიც თავადაც მონაწილეობდა, მაგალითად, ხეობის სოფლებს შორის ფეხბურთის ჩემპიონატზე, სადაც ცხოვრების წესის მკაცრი სტილით გამორჩეული რადიკალური ისლამის მიმდევრებიც აქტიურად ჩაერთვნენ.

სამწუხაროდ, რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების პრობლემა, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართული პროგრამების არარსებობა, დაუსაქმებლობა, რადიკალიზაციის გზაზე ხელშემწყობ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

დუისის ბოლოს, ჯოყოლომდე რამდენიმე ასეულ მეტრში, სოფლის სასაფლაოების გავლით, ტყით დაფარული მთებისკენ ოღრო-ჩოღრო გზა მიუყვება. ცხენებშებმული ურმებით შეშისმჭრელები გზაჯვარედინზე გროვდებიან. პანკისის ერთ-ერთი მძიმე პრობლემა სწორედ ისაა, რომ ბუნებრივი აირის გასაყვანად ინფრასტრუქტურა არ აქვთ, და ზამთრობით ხეობას უამრავი შეშა სჭირდება. შეშის მოპოვება კი არც ისე მარტივია. ერთი ურემი შეშა 45 ლარი ღირს. თავად შეშისმჭრელებს მისი მოპოვება ზოგჯერ ლეგალური, ზოგჯერ კი არალეგალური გზებით უწევთ. სპეციალური ბილეთის საფასურის გადახდის, ხეების ჩამოტანის, დაჭრის, დაწყობის შემდეგ არც ისე მნიშვნელოვანი მოგება რჩებათ. გარდა იმისა, რომ პანკისელები იძულებულნი არიან, გასათბობად ხეები გაჩეხონ, საკმარის შეშას მაინც ვერ მოიპოვებენ და ზოგიერთი, სოციალურად დაუცველი ოჯახი ზამთარს სიცივეში ხვდება.

პანკისელებს ახმეტის გამგეობაზე, ადგილობრივ დეპუტატებზე, მაჟორიტარ ზვიადაურსა და ზოგადად პოლიტიკოსებზე საუბარი არ უყვართ. მათი არც იმედი აქვთ და არც რამე სასიკეთოს მოლოდინი – ახალგაზრდები უბრალო საუბარს გაურბიან, შუახნის გლეხებს კი ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებთ.

* * *

მაქა მუთოშვილი წუხს, რომ ძალიან ბევრ მის თანატოლს უამრავი იდეა აქვს, რომლის განხორციელებაც არ შეუძლია. ზოგს სწავლის გაგრძელება უნდა და ფინანსური პრობლემები უშლის ხელს, ზოგს ადგილზე სურს დასაქმება და ამის საშუალება არ გააჩნია. მაქა არ ფიქრობს, რომ პანკისელი ახალგაზრდები მხოლოდ ამ გარემოებათა გამო ირჩევენ „ალაჰის მეომრის“ გზას, თუმცა „თუმცა შესაძლოა, ერთ-ერთი, დამატებითი განმაპირობებელი ფატორი ესეც იყოს...“

„არიან ისეთებიც, რომლებიც, ალბათ, სალონში არ მოვლენ – მეუბნება დამშვიდობებისას – ზოგი წესებს და ტრადიციებს მკაცრად იცავს, მაგრამ ნაწილი აუცილებლად მოვა“.

უკვე საღამოა და საგრძნობლად ცივა, თუმცა იქვე, მაღაზიის წინ ჩამომსხდარი შუახნის თავსაფრიანი ქალები თვალს და ყურს არ გვაცილებენ. გზის მეორე მხარეს, საბავშვო ბაღის ეზოში 15-მდე ბავშვი საქანელებს შესევია და აიწონა-დაიწონას თამაშობს; ჩამავალი მზე მინარეთს თავზე მოჰქცევია და სუსტი სხივებით შემოდგომის ყვითელ ფერებს შეუმჩნევლად უერთდება. მორწმუნეები საღამოს ლოცვისთვის ემზადებიან.

ავერსი AVERSI

ავერსი გილოცავთ შობა-ახალ წელს
და გთავაზობთ უპრეცედენტო
ფასდაკლებას ექსკლუზიურ ბრენდებზე

AHAVA

Lanofil

Doliva

Envita

Ellaro

Lo Bello

Maternea

PARIS Evoluderm Shower Gel

ფასდაკლება ვრცელდება
15 დეკემბრიდან
15 იანვრის ჩათვლით

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

www.aversi.ge

2-967-227

ქალაქი შავი კონტურებით

ჭიათურა, საქართველოს ერთ-ერთი დიდი ინდუსტრიული ცენტრი, მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის პირასაა. დაბინძურებულია ატმოსფერული ჰაერი, მინისქვეშა და სასმელი წყლები. მოსახლეობაში იმატა დაავადებებმა. საერთო სისუსტე, მეხსიერების დაქვეითება, თავბრუსხვევა, ძილის დარღვევა, გულსისხლძარღვთა დაავადებები, სექსუალური სისტემის დაქვეითება – ეს ჭიათურაში ჩატარებული კვლევის შედეგებია, რომელსაც ეკოლოგიური მდგომარეობის ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემური ჯაჭვი იწვევს.
თუმცა შეს „ჯორჯიან მანგანეზი“, რომელიც ჭიათურაში მანგანუმის მთავარი მომპოვებელი კომპანიაა, ჯერჯერობით, ვერ ხედავს ამ რეგიონში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების რისკს და მდიდარი მადნის მოპოვებას, გარემოზე ზემოქმედების ხარჯზე, უფრო ინტენსიურად განაგრძობს. სახელმწიფოც დუმს.

ავტორი, ფოტო: სოფო აფციაური

ქალაქზე ბევრს გვიყვება მისი შენობები, საცხოვრებელი სახლები, სატრანსპორტო საშუალებები – რატომ დასახლდა აქ ხალხი, რით ცხოვრობენ, რა პრობლემები აქვთ. ჭიათურაში ეს ფაქტორები განსაკუთრებულად კარგადაა გამოხატული მის იერსახეში. ქალაქში შესვლისთანავე თვალში რუხი ფერის, მტვრისა და დაბინძურებისგან გაშავებული კორპუსები ქალაქის უფერულ კონტურებს ქმნის. ცაში გამოკიდებული საბაგიროები და მადნის გადამზიდავი ვაგონები მელანქოლიურად მიიზლაზნებიან ხან ქვემოდან ზემოთ, ხან -პირიქით. მაღაროში მორიგეობაზე მიმავალი მუშებით სავსე ძველი ფანგიანი ავტობუსი ქუჩის მტვერში ეხვევა.

2007 წლიდან აქ მანგანუმს შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ მოიპოვებს. პარალელურად, ქალაქში 40-მდე პატარა ე.წ. კოოპერატივი მუშაობს, რომელთაც „ჯორჯიან მანგანეზმა“ თავისი სალიცენზიო ტერიტორიის ნანილი მიპყიდა.

ამ დროისთვის ჭიათურაში დაახლოებით ოცი მანგანუმის საბადოა, მათგან ცხრა – მაღარო, თერმეტი კი – ღია კარიერი. მადნის მოპოვება ღია კარიერული წესით საბჭოთა პერიოდიდან დაიწყო და დღემდე აქტიურად გრძელდება. „ჯორჯიან მანგანეზი“ და სხვა პატარ-პატარა კომპანიები სულ უფრო მეტად აფართოებენ მადნის მოპოვების სივრცეს. ღია კარიერული წესით მადნის მოპოვება მათ გაცილებით ნაკლები უჯდებათ. ფულადი რესურსის დაზოგვის პარალელურად კი, აბმოსფერული ჰაერი დღითი დღე ბინძურდება.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირის“ ხელმძღვანელი შოთა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ კომპანიების მხრიდან სრულიად უგულებელყოფილია ის სტანდარტები, რომლითაც მადნის ამოღების პარალელურად, ადგილობრივი ეკოსისტემისა და გარემოს დაცვა უნდა მოხდეს. მისი განმარტებით, რეკულტივაციის პროცესი, რომელიც მიწისა და ეკოსისტემის დაცვას გულისხმობს, თითქმის არც ერთ კარიერზე არ ხდება:

„რეკულტივაცია არის საკმაოდ რთული პროცესი – მადნის ამოღებამდე ამ ტერიტორიიდან უნდა ამოიღონ ჯერ ჰუმუსი (ნიადაგის ორგანული ნანილი, რომელიც წარმოქმნილია მცენარეული და ცხოველური ნარჩენების ბიოქიმიური გარდაქმნების შედეგად). სასარგებლო და ფუჭი მიწა უნდა დასაწყობდეს და შემდეგ დაიწყოს მანგანუმის მოპოვება, საბოლოოდ კი, ერთმანეთის მიყოლებით ამოღებული ადგილზე უნდა დაყარონ ჯერ ფუჭი მიწა, შემდეგ ჰუმუსი, შემოიღობოს ტერიტორია და დაიწყოს მცენარეები. რა თქმა უნდა, ეს იაფი პროცედურა არაა, მაგრამ არ მგონია, კომპანიების მოგება ამას ვერ გასნვდეს, იმხელა სიმდიდრეს იღებენ ჭიათურის მიწიდან“, – ამბობს შოთა გაფრინდაშვილი.

მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების პარალელურად, მადნის ღია კარიერული წესით მოპოვება ატმოსფერულ ჰაერს აბინძურებს. აფეთქების დროს ჰაერში მანგანუმის ორანგი განიბნევა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, მანგანუმი ჰაერში ნედლი მადნით დატვირთული მანქანების გადაადგილების პარალელურადაც ხდება, თუ არ ჩავთვლით გადაადგილების დროს წარმოქმნილ მტვერს.

საღამო. ნინოშვილის ქუჩა – ჭიათურის ცენტრალური ქუჩა. აქ მანქანები შეუსვენებლად მოძრაობენ.

ჭიათურის ცენტრიდან სოფელ ითხვისის ასასვლელამდე ფეხით დაახლოებით ნახევარი საათის სავალია. ამ ხნის განმავლობაში 40-მდე სატვირთო მანქანას ვითვლი, რომელიც ამ გზით გადაადგილდება. ზოგიერთ მათგანს სპეციალური საფარი არ აქვს გადაფარებული, ამიტომ ნედლი მადნის გარჩევა შესაძლებელია. რთულია ზუსტად იმის თქმა, ყველა ეს სატვირთო მანგანუმით არის თუ არა დატვირთული, რადგან ამ გზაზე ქვიშა და სხვა მასალაც გადააქვთ, თუმცა ქუჩაზე მტვრის ბუღი თვალშისაცემია.

დაკარგულებული გაშავებული კორპუსები ჯაფმოპყურებენ მტვერში გახვეული ქალაქს. წლების განმავლობაში სამეშეცალილი ყვირილაც მოორნილაფ თავის კალაპოტს მოუყვება.

2015 წელს ჭიათურაში, გიორგაძის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მანგანუმის ორგანგის შემცველობა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირმა“ შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ მანგანუმის ორჯანგის შემცველობა ჰაერში ზღვრულად დასაშვებ მაქსიმალურ ერთჯერად კონცენტრაციას 24-ჯერ აღემატებოდა, მაგალითად, თხელიძის ქუჩაზე კი – 37-ჯერ.

2015 წლის ზაფხულში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით, სოფელ რგანის გზა 7 თვე გადაკეტილი იყო და „ჯორჯიან მანგანეზს“ მადანი გარკვეული პერიოდით ვეღარ გადაჰქონდა. თუმცა ეს წესი არ მოქმედებდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე. ამ დროისთვის, ჭიათურის გამგებლის, სულხან მახათაძის ინფორმაციით, ნორმატიული აქტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სისუსტე, მეხსიერების დაქვეითება, თავბრუსხვევა, ძილის დარღვევა, გულსისხლძარღვთა დაავადებები, სექსუალური სისტემის დაქვეითება – ეს ჭიათურაში ჩატარებული კვლევის შედეგებია, რომელსაც ეკოლოგიური მდგომარეობის ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემური ჯაჭვი იწვევს.

საფუძველზე მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის შეთანხმება მოქმედებს და მანქანები გარკვეული გრაფიკით გადაადგილდებიან:

„დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათამდე ნედლი მადნით დატვირთული ხუთი მანქანა უნდა მოძრაობდეს. საპატრულო პოლიციაც გვერდში გვიდგას და ამას აკონტროლებენ“, – ამბობს სულხან მახათაძე.

თუმცა შოთა გაფრინდაშვილი აღნიშნავს, რომ მანქანების მოძრაობა ისევ ქაოსურია, როგორც ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე, ასევე სოფლის გზებზე.

„მოქალაქის ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების უფლება ჩვენი კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი, ამიტომ ბიზნესის წარმოების პარალელურად, დაუშვებელია მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფა. რეალურად, არის საშუალება, რომ კომპანიამ მადნის გადასაზიდად ალტერნატიული გზა გამონახოს, თუმცა ზედმეტი ხარჯის გაწევა არ სურთ“, – აღნიშნავს გაფრინდაშვილი.

ქალაქიდან ერთ-ერთ სამგზავრო საგაბიროს პერევისის დასახლებამდე მივყვები. ჩემთან ერთად ხანშიშესული ქალი, დალი ჯაჯანიძე შვილიშვილთან ერთად მგზავრობს:

„სასმელი წყალი ისეთი დაბინძურებულია, ხანდახან მანგანუმი მოსდევს და ჭურჭელში ილექება. სოფელში განსაკუთრებულად საშიშია მისი მოხმარება. ბავშვებისთვის ქალაქის წყაროებიდან ვეზიდებით. წვიმის დროს საერთოდ შავი წყალი მოდის, ამიტომ ახლა, რამდენიმე დღე, წვიმის გამო, კომპანიამ სასმელი წყალი გადაგვიკეტა“, – ამბობს ჯაჯანიძე.

ჭიათურის სოფლების წყალმომარაგების ქსელის 70% შპს „ჯორჯიან მანგანეზს“ ეკუთვნის. ქალაქში სხვა კერძო წყალმომარაგების კომპანია მუშაობს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირი“ ატმოსფერული ჰაერის გარდა, ყოველწლიურად სასმელი და ზედაპირული წყლის ხარისხსაც იკვლევს. შოთა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ დაზიანებულია წყალმომარაგების ქსელი, რომლის დროსაც წყალი შემკრები აუზებიდან სატუმბ სადგურებში გაედინება. მისივე ინფორმაციით, 10 წელზე მეტია, ეს სატუმბი სადგურები სანიტარულად არ დამუშავებულა, არ ხდება რეზერვუარების რეაბილიტაცია:

„კომპანია გვპირდება, რომ ახლო მომავალში წყლის აუზების რეაბილიტაციას დაიწყებს. ველოდებით“.

კვლევაში, რომელიც ჭიათურაში აშშ-ის ბუნების დაცვის სააგენტოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით ჩატარდა, სასმელ წყალთან დაკავშირებით წერია, რომ შესწავლილი ხუთი წყალმომარაგების სისტემიდან წყალი არც ერთში სათანადოდ არ მუშავდება. სამი წყალსადენის სათავე ნაგებობების (ღრუდო, მონასტერი და ლეჟუბანი) სასმელი წყლის ნიმუშები დაბინძურებულია კოლიფორმული ბაქტერიებით.

წყალსადენის სასმელი წყლები, ეპიდემიური თვალსაზრისით, არაკეთილსაიმედოა; არ ხდება დაქლორვა, ჭისა და წყაროს წყლების ნიმუშების მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი ჭიათურის, ღრუდოს, ფასკნარისა და ლეჟუბნის წყალსადენების სასმელი წყლები მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით დაბინძურებულია, ეპიდემიური თვალსაზრისით — არაკეთილსაიმედოა. ჭიათურაში, გაგარინის ქუჩაზე არსებულ საერთო სარგებლობის ჭის წყალში აღინიშნა გახსნილი მანგანუმის, ნიკელისა და რკინის მომატებული შემცველობა, კერძოდ, წყალში გახსნილი მანგანუმი 1,2; 1,3 და 2,22-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, ნიკელი – 1,47-ჯერ, ხოლო რკინა – 1,6-ჯერ აღემატება ამ მეტალის ჰიგიენურ ნორმას.

მდინარე ყვირილა და მასში ჩაშვებული მანგანუმის ნარეცხი წყალი – კიდევ ერთი პრობლემაა, თუმცა არა მხოლოდ ამ ქალაქისთვის. ყვირილა ზესტაფონში არსებული „ფეროშენადნობი ქარხნის“ ნარჩენების შედეგადაც ბინძურდება, უერთდება რიონს და საბოლოოდ, შავ ზღვაში ჩაედინება, თუმცა დაბინძურების წყარო ყველაზე უკეთ სწორედ ჭიათურაში ჩანს. აქაა მანგანუმის სარეცხი ქარხანა, საიდანაც კარგად ჩანს შავი წყალი როგორ უერთდება ყვირილას.

„20 წლის წინ აქ არსებობდა განარეცხი წყლის გამწმენდი და სალექავი სისტემა, თუმცა მოიშალა და ახლა შლამი პირდაპირ მდინარეში

საქართველოს ერთ-ერთი დიდი ინდუსტრიული ქალაქი მტკვრის და გამონაბოლქვის გამო მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაშია.

ჩაედინება. მარტო 2008 წელს მშრალი წონით ყვირილაში 375 961 ათასი ტონა შლამი ჩაუშვეს", – ამბობს შოთა გაფრინდაშვილი.

მისივე ორგანიზაციის 2013 წლის კვლევაში ვკითხულობთ: „მდინარე ყვირილა ქალაქ ჭიათურის მიდამოებში და „ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის" შემდეგ, წყალში მანგანუმის შემცველობის გადამეტების გამო, საგანგაშოდ დაბინძურებული წყლის ობიექტს მიეკუთვნება. წყალსა და ნიადაგში მანგანუმის მიგრაციის, ხსნადობის, ტრანსლოკაციისა და ცოცხალ ორგანიზმებში ბიოაკუმულაციის თვისებიდან გამომდინარე (ეკოლოგიური ჯაჭვი), ამ მიდამოებში მდინარის გამოყენება სასმელ-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სარეკრეაციო მიზნებისთვის დაუშვებელია. შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ორგანიზმის მწვავე და ქრონიკული მოწამვლა და მოსახლეობის ინტოქსიკაცია".

თამუნა სამუშაო დღეებს ქალაქის თავზე, ერთ პატარა რკინის კონსტრუქციაში ატარებს. მშვიდობის მაღაროს გამცილებელია. ამ ადგილიდან კარგად ჩანს, სმოგსა და მტვერში გახვეული ჭიათურა. ქმარი ამავე მაღაროს მუშაა. ახლა დასვენება აქვს და სოფელშია წასული.

თამუნა ყვება, რომ ორივეს სუნთქვის პრობლემები აქვთ, ქმარს კი ბოლო ორი წელია გამუდმებით ახველებს.

„ახლა იყო ზუსტად გამოკვლევაზე, ჯერ არ ვიცით, კონკრეტულად, რატომ აქვს ასეთი გახშირებული ხველება, მაგრამ გადახედეთ ქალაქს ზემოდან, ჩემზე უკეთ ვერავინ ხედავს ყოველდღე, რა ეკოლოგიური მდგომარეობაა ჭიათურაში", – ამბობს თამუნა.

იქვე მორიგეობიდან დაბრუნებული მაღაროელები იკრიბებიან და საბაგიროს მოლოდინში ერთ-ერთი მათგანი, ვასო წერეთელი ამბობს:

„ამას წინათ ჩემი ერთი მეგობარი შემხვდა, ბაქრაძეა გვარად, კარგი კაცია. ონკოლოგიური საავადმყოფოდან მოვდივარო, გულის პრობლემები მაქვსო. პენსიაზე გადის ერთ წელიწადში. სულ კარგად იყოს, მაგრამ ერთმანეთს გავეხუმრეთ – ჰა, კაცი პენსიის ასაკს ეღირსე და ახლა კვდები-მეთქი. მან კი მიპასუხა, ჩემნაირი ჩივილებით გუშინ ონკოლოგიურში 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების პარალელურად, მადნის ღია კარიერული წესით მოპოვება ატმოსფერულ ჰაერს აბინძურებს. აფეთქების დროს ჰაერში მანგანუმის ორჟანგი განიბნევა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ჭიათურელი დავტოვეო. ხუმრობა იქით იყოს და მართლა სერიოზული პრობლემები გვაქვს. ეს არაა მხოლოდ მტვრისა და მანგანუმით დაბინძურებული ჰაერის ბრალი, ესაა სისტემური ეკოლოგიური ჯაჭვის შედეგი, რომელიც ქალაქში დღეს და გუშინ არ დაწყებულა", – ამბობს ვასო წერეთელი.

2011 წლის კვლევაში, რომელშიც ჭიათურაში მანგანუმის სამთო წარმოებასთან დაკავშირებული მეტალებით დაბინძურების, ეკოლოგიური და ადამიანის ჯანმრთელობის რისკების შეფასება მოხდა, წერია, რომ ადამიანის ორგანიზმში მანგანუმი, ძირითადად, სასუნთქი გზებით ხვდება. მანგანუმისა და მისი შენაერთების ქრონიკული ინჰალაცია, ძირითადად, სუნთქვის ორგანოებს და რეპროდუქციულ სისტემას აზიანებს. პოპულაციული კვლევით დგინდება, რომ ზედა სასუნთქი სისტემის დაავადებების – ქრონიკული ბრონქიტის, პნევმონიის, ასევე ბრონქული ასთმისა და ტუბერკულოზის გავრცელება მაღალია ჭიათურაში, სადაც, ძირითადად, თავმოყრილია მანგანუმის საბადოები. ამ დაავადებათა გავრცელება თითქმის 2-ჯერ მაღალია ქალაქში, ვიდრე მიმდებარე სოფლებში. გამოვლინდა ქოშინის მრავალი შემთხვევა, რაც შესაძლოა მანგანოკანუზს უკავშირდება.

პოპულაციური კვლევის შედეგად დაფიქსირებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი რიცხვიც, ქალაქში 2-ჯერ მეტი, ვიდრე მიმდებარე სოფლებში. ნერვული სისტემის პრობლემები მაღალია 15-დან 45 წლის ასაკში.

კვლევაში ასევე წერია, რომ მანგანუმის ხანგრძლივი ზემოქმედება მამაკაცებში დაკავშირებულია სქესობრივი ლტოლვის შესუსტებასთან, ჭიათურაში გამოკითხულთა 8%-მა აღნიშნა, რომ მას დაქვეითებული აქვს სექსუალური სისტემა.

„ამბობენ, რომ ჭიათურაში გამოვლენილი დაავადებების საკითხი სპეკულაციურია, რადგან პირდაპირი კავშირი მანგანუმის მოპოვებასთან არ არსებობს. ესაა სასაცილო. მეტი რა დასტური უნდა, კვლევებიც ამბობს და ისედაც ცხადია, რომ ამ ინდუსტრიულ ქალაქში მადნის მოპოვება წლებია, ადამიანების ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება. კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი" დაგვპირდა, რომ ჰაერის გამწმენდ ნაგებობას გააკეთებდნენ, თუმცა ჯერ ნაბიჯები არ გადადგმულა", – ამბობს „ჭიათურელთა კავშირის" ხელმძღვანელი.

მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე საუბრობს „ლიბერალთან" ჭიათურის გამგებელი, სულხან მახათაძეც და გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს:

„ამაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია. ჭიათურას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტს კომპანიისთვის რეგულაციების დაწესების ბერკეტი არ აქვს. გარემოს დაცვის სამინისტრომ, ჩემი აზრით, რეგულაციები და მონიტორინგი უნდა გაამკაცროს, კომპანიას რეკულტივაციის გეგმის მიხედვით მუშაობა აიძულოს. მომრავლდა შემთხვევები, როდესაც აქ მომუშავე კომპანიები მადანს უსისტემოდ მოიპოვებენ, ახალ-ახალ ტერიტორიებს ითვისებენ და ამას არავინ აკონტროლებს. მათ არ უნდა ჰქონდეთ სხვა ტერიტორიაზე გადასვლის უფლება, ძველი კარიერების რეკულტივაციის გარეშე. ასეულობით ჰექტარია დეგრადირებული. მესმის, რომ ბიზნესის განვითარება სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ დაუშვებელია ეს ქალაქის და აქ მცხოვრები ადამიანების ხარჯზე მოხდეს", – აღნიშნავს ქალაქის გამგებელი.

2014 წლის აპრილში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სალიცენზიო პირობები შეამოწმა. მათ მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის მოცულობა 358 მილიონი ლარით შეფასდა. საქმე ფინანსურ პოლიციაშია გადაგზავნილი, რაზეც დღესაც მიმდინარეობს გამოძიება. ამ მომენტისთვის არანაირი სასამართლო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

„ვფიქრობ, პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე მარტივი გზა ზუსტად ჯარიმებზე დაფუძნებული სანქციებია. მთავარია, გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურმა პრობლემის გადაწყვეტის გზებზე იმუშაოს კომპანიასთან და მხოლოდ ფულადი კომპენსაციის დაწესებით არ იყოს დაკავებული", – აცხადებს „ჭიათურელთა კავშირის" ხელმძღვანელი.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მიზეზი, ცენტრალურ ქუჩებში ნედლი მადნით დატვირთული მანქანების მოძრაობაა.

ამ აზრს ჭიათურის გამგებელიც იზიარებს და ამბობს, რომ მთავარია, სამინისტრომ კომპანიას ვალდებულებების შესრულება მოსთხოვოს.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტი ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობის ერთადერთი მაკონტროლებელი ორგანოა და ქვეყანაში, წყლის, ჰაერის, წიაღისეულისა და ნიადაგის შესწავლა ევალება.

ნელი კორკოტაძე, მთავარი ინსპექტორი ამბობს, რომ ამ დროისათვის შპს „ჯორჯიან მანგანეზთან" რვა ღია კარიერის რეკულტივაციის გეგმაზე მუშაობენ.

„ვეთანხმები, რომ მადნის ღია კარიერული წესით ამოღება კომპანიას უფრო იაფი უჯდება და ეს გარემოს ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ დიდი ხნის დაწყებული პროცესია და თუ კომპანია ამაზე ზრუნვას დაიწყებს, გარწმუნებთ, გარემოს დიდი ზიანი არ მიადგება", – ამბობს ქვეყნის მთავარი ინსპექტორი.

მისივე ინფორმაციით, მოსახლეობის პროტესტის შემდეგ, დეპარტამენტმა რამდენიმე ქუჩაზე ატმოსფერულ ჰაერში მანგანუმის შემცველობა გაზომა, მაგრამ: „ნორმების გადამეტება არ დაფიქსირებულა, თუმცა პროცესი არ გაჩერებულა და ჩვენ კიდევ ვსწავლობთ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლებს".

„ლიბერალის" შეკითხვაზე, ქალაქში არსებული დამტვერიანება უქმნის თუ არა მოსახლეობას ზიანს, „ჯორჯიან მანგანეზის" ადმინისტრაცია გვპასუხობს, რომ მოსახლეობის მოსაზრება მათთვის მნიშვნელოვანია, თუმცა დამოუკიდებელი ანალიზების მიხედვით, დამტვერიანება დასაშვებ ნორმას არ აჭარბებს.

„ჩვენთვის საინტერესო იქნება, თუ ხელთ გაქვთ სხვა, უახლესი, კომპეტენტური კვლევების მონაცემები, რომ არ დავეყრდნოთ მხოლოდ სახალხო მოსაზრებებს".

რაც შეეხება ზედაპირული წყლებისა და მდინარე ყვირილას დაბინძურების საკითხს, კომპანია ამბობს, რომ „ჯორჯიან მანგანეზმა" გერმანულ კომპანია „ოლმინერალსთან" ერთად დაასრულა ახალ გამამდიდრებელ კომბინატზე საპროექტო სამუშაოები და მზადყოფნა გამოთქვა 20 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციაზე აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად:

„ეს პროექტი მომავალში მთლიანად გამორიცხავს მდინარე ყვირილაში შლამის ჩადინებას და მის დაბინძურებას. ვიმედოვნებთ, სახელმწიფო ინსტიტუტებიდან დროულად მოგვეცემა შესაბამისი ნებართვები, ახალი საწარმოს სამშენებლო საქმიანობის დასაწყებად".

თუმცა, კომპანია სასმელი წყლის პრობლემებს აღიარებს და აცხადებს, რომ 2016 წლის პირველ ნახევარში გაკეთდება ჭიათურის წყალმომარაგების ახალი პროექტი და 2016 წლის ბოლოს დაიწყება სამუშაოები. ხოლო მანამდე, 15 დეკემბერს, დაიგეგმა შეხვედრა ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სადაც შეთანხმდება, სამუშაოების რა ნაწილი იწარმოებს მანამდე:

„ჯორჯიან მანგანეზი" მზადაა, თავისი წვლილი შეიტანოს ჭიათურის წყალმომარაგების სისტემის აღდგენაში. ამის მაგალითია საკუთარი ფინანსური და ტექნიკური რესურსებით რამდენიმე სოფელში აღდგენილი წყალმომარაგება (რაც არ წარმოადგენდა კომპანიის ვალდებულებას)", – აღნიშნავენ კომპანიაში.

ჭიათურაში გრძელდება მადნის მოპოვება. ქალაქი ისევ ჩვეულ რეჟიმშია – ერთი შეხედვით აქტიური და მოძრავი, სამსახურებში მიმავალი ხალხით გადატვირთული ქუჩებით. ზემოთ კი, სოფლებში უჩვეულო სიჩუმეა. დაცარიელებული, გაშავებული კორპუსები მტვერში გახვეულ ქალაქს გადმოჰყურებს. წლების განმავლობაში სახეშეცვლილი ყვირილაც კალაპოტს მორჩილად მიუყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სურს 59%-ს?

პრეზიდენტის ინსტიტუტის უფლებამოსილებების შემცირებამდეც საქართველოში ხელისუფლების შეცვლისას გადამწყვეტი მოვლენა საპრეზიდენტო არჩევნები არასდროს ყოფილა. 2003 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგებს მოჰყვა „ვარდების რევოლუცია", ისევე, როგორც 2012 წლის პირველ ოქტომბერს ქვეყანაში ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების გზით პირველად შეიცვალა. განსაკუთრებულია 1990 წლის პირველი მრავალპარტიული არჩევნების როლი. დღემდე საპრეზიდენტო არჩევნები გამარჯვებული გუნდისთვის საპარლამენტო არჩევნების, ან მისგან გამოწვეული წარმატების ზეიმს წარმოადგენდა. სულ რამდენიმე დღეში დადგება 2016 წელი, რომელიც საქართველოსთვის საპარლამენტო არჩევნების წელი იქნება.

დათო გამისონია

ოქტომბერში ახალ, მე-9 მოწვევის პარლამენტს ავირჩევთ, თუმცა ამომრჩევლის უმრავლესობას გადაწყვეტილი არ აქვს, ვინ არის მისთვის სასურველი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ნდობას გამოუცხადებს. კვლევები ცხადყოფს, რომ „ქართული ოცნება" ისე ვეღარ აღაფრთოვანებს ასიათასობით ამომრჩეველს, როგორც წინა საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ ამომრჩევლისთვის არც სხვა სასურველი პარტია გამოკვეთილა.

NDI-ს კვლევის (რომლის საველე სამუშაოები 8 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს) თანახმად, შეკითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა, ვის მისცემთ ხმას, გამოკითხულთა 59% აცხადებს, რომ არ აქვს გადაწყვეტილი, თუ ვისზე გაკეთებს არჩევანს. 11% პასუხობს – არ ვიცი; 3% – უარი პასუხზე; 28%-ს გადაწყვეტილი აქვს.

კიდევ ერთ შეკითხვაზე – ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას? მათგან, ვინც არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, 31% პასუხობს: არ ვიცი; 10% -არც ერთ პარტიას; 11% – უარი პასუხზე; 15% – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; 14% – „ქართული ოცნება"; 5% – ირაკლი ალასანია – „თავისუფალი დემოკრატები (7%-სთვის იგი მეორე არჩევანს წარმოადგენს); 5% – „პატრიოტთა ალიანსი" (მეორე არჩევანი – 3%); 4% „ლეიბორისტული პარტია"; 3% – ნინო ბურჯანაძე – „გაერთიანებული ოპოზიცია"; 2% – სხვა.

რით აიხსენება ის, რომ „ქართული ოცნების" მმართველობის მე-4 წლის დაწყებამდე ამომრჩეველთა უმრავლესობამ არ იცის, ვის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს?

სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილის აზრით, საქართველოში დღესდღეობით იმ ტიპის ავტორიტარული გარემო არ არსებობს, რომ ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს, პოლიტიკური პრეფერენციების გამხელის თვალსაზრისით, წინაღობები შეექმნას. მისი თქმით, 2011-2012 წლებში ოპოზიციის ბევრი ამომრჩეველი თავის პოლიტიკურ არჩევანს სწორედ შიშის გამო არ ამხელდა.

კაჭკაჭიშვილმა „ლიბერალთან" საუბრისას აღნიშნა, რომ დღეს კვლევის შედეგებს სხვა ფაქტორები განაპირობებს; გადამწყვეტი ისაა, რომ ბევრი ადამიანი არსებულ პოლიტიკურ კლასს საკმარისად ეფექტიანად არ აღიქვამს საიმისოდ, რომ ქვეყანაში პრობლემების გადაჭრა მას დაუკავშიროს. ამიტომ ამომრჩეველი არ არის ჩამოყალიბებული.

როგორც სოციოლოგმა ემზარ ჯგერენაიამ „ლიბერალს" უთხრა, შეუძლებელია, ზუსტად აიხსნას ის, რომ მოქალაქეების უმრავლესობას არ აქვს გადაწყვეტილი, რომელი პარტიის სასარგებლოდ აძლევენ ხმას.

ჯგერენაიას აზრით, ის ადამიანები, რომლებიც პასუხს არ იძლევიან, ან გაურკვევლობაში არიან, მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან. შეიძლება, მათ თავისთვის გარკვეული არჩევანი უკვე გაკეთებული აქვთ, მაგრამ ამის შესახებ ცნობილი არ არის.

ემზარ ჯგერენაიას თქმით, ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის პოლიტიკური სიმპათია უცნობია, ამომრჩევლის ინდიფერენტულობას ან არჩევნებზე მათ პასიურობას არ ნიშნავს, პირიქით, არჩევნებზე ამომრჩეველი იაქტიურებს.

პარტნიორობა „საქართველოს ბავშვების" თავმჯდომარე, საჯარო პოლიტიკის სპეციალისტი ანდრო დადიანი „ლიბერალთან" საუბრისას მოქალაქეების მიერ ჯერ არგაკეთებულ არჩევანს ამომრჩევლის ფრუსტრაციით ხნის, რომელიც პირველ ყოვლისა დაპირებებისა და მოლოდინის შეუსრულებლობით არის გამოწვეული. მეორე მხრივ, ანდრო დადიანის აზრით, ზოგადად სამყაროში ვითარება დაბნეულობას განაპირობებს.

როგორც დადიანი ამბობს, საქართველოში პოლიტიკური ფრონტი სუსტად არის დაყოფილი – ერთი მიმართულება დასავლეთია, მეორე ნაწილი თითქოს ძველ მეზობლებს ემხრობა. მისი აზრით, ამომრჩეველს წარსულში დაბრუნება არ უნდა, მაგრამ დასავლეთისგან ნაბიჯებს ვერ ხედავს. „მას არ სჯერა, რომ ევროპასთან ინტეგრაცია მათ ცხოვრებაში მატერიალიზდება, შესაბამისად, ფრუსტრაცია და დაბნეულობა ამით არის გამოწვეული", – ამბობს დადიანი.

რას მოითხოვს ამომრჩეველი პოლიტიკური კლასისგან

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პრეზიდენტი ქეთევან ვაშაკიძე, რომელიც „ლიბერალთან" საუბრისას განმარტავს, რომ ფონდი პოლიტიკურ საკითხებზე განცხადებებისგან თავს იკავებს, პირად მოსაზრებებს გვაცნობს.

ვაშაკიძის აზრით, იმ ამომრჩევლის რაოდენობა, რომელსაც გადაწყვეტილება არ მიუღია, იმიტომ არის გაზრდილი, რომ ისინი მედიით, ძირითადად, ტელევიზიით ხედავენ პოლიტიკურ პაექრობას, რომელიც არ შეეხება, მოსახლეობის აზრით, ყველაზე პრობლემატურ საკითხებს. მისი თქმით, ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ

საკითხებად მოსახლეობა პირველ სამეულში ყოველთვის ასახელებს დასაქმებასა და სიღარიბეს.

„ვერ ვხედავ, რომ ამ საკითხებზე მნიშვნელოვანი დებატები მიმდინარეობს. არჩევნების წინ, როდესაც პროგრამას წარმოადგენენ, იგი იმდენად ბუნდოვანია, რომ ძნელია, ამომრჩეველმა გაიგოს, რას უნდა ელოდოს. წინა არჩევნების დროს სიღარიბის პრობლემის დასაძლევად ორივე პარტია ამომრჩეველს ზუსტად ერთნაირ პროგრამას სთავაზობდა", – ამბობს ვაშაკიძე. მისივე თქმით, ბოლო დროს, ძირითადად, დებატები ისეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, როგორიც სიტყვის თავისუფლებაა, მაგრამ ეს მაინც არ არის ის ძირითადი საკითხი, რომელსაც მოსახლეობა ასახელებს.

„ამასთან, ადამიანებს უნდათ დაინახონ, რომ საკითხებზე მუშაობს გუნდი, რომელსაც მისი მოგვარების უნარი აქვს", – ამბობს ვაშაკიძე. მისი თქმით, ის, რომ მოქალაქეების დიდ ნაწილს გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს, არ ნიშნავს, რომ ისინი ნიჰილისტურად არიან განწყობილები, არამედ ელოდებიან, რას შესთავაზებს ხელისუფლება ან ოპოზიცია, თუმცა ორივე მათგანის მიმართ ნდობის ფაქტორი ძალიან დაბალია.

„ერთმაც და მეორემაც დანაპირები ვერ შეასრულა", – თქვა ვაშაკიძემ.

იაგო კაჭკაჭიშვილის აზრით, ძირითადი აქცენტები, რასაც ამომრჩეველი ყურადღებას მიაქცევს, კვლავ სოციალური პრობლემების გადაწყვეტაა. როგორც კაჭკაჭიშვილი ამბობს, „ქართულმა ოცნებამ" ყველაზე წარმატებულად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა განახორციელა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ ქვეყანაში მთავარ პრობლემად რჩება უმუშევრობა, სიღარიბე და ფასების ზრდა.

„რასაკვირველია, ის პოლიტიკური პარტია მიიმხრობს ამომრჩეველთა დიდ ნაწილს, ვინც ამ პრობლემების ეფექტიან მოგვარებაზე გააკეთებს აქცენტს. არ მგონია, რომ დემოკრატიის, ან უმცირესობების უფლებების დაცვის სლოგანი პოლიტიკურად წარმატებული იყოს.

რით აიხსენება ის, რომ „ქართული ოცნების" მმართველობის მე-4 წლის დაწყებამდე ამომრჩეველთა უმრავლესობამ არ იცის, ვის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს?

ახალი გზავნილების ღირებულება, გარდა სოციალურ დაცვაზე მიმართულისა, არ არსებობს", – ამბობს კაჭკაჭიშვილი.

ანდრო დადიანის აზრით, ისინი, ვინც დღეს პოლიტიკურ სარბიელზე არიან, ამომრჩეველს თავისი ღირებულებების შესაბამის ცხოვრებას, ან მომავალს ვერ სთავაზობენ, ან ვერ არწმუნებენ, რომ ამის გაკეთება შეუძლიათ.

პოლიტიკური პარტიები შესაძლოა, ამომრჩევლის ინტერესს ასახავდნენ კიდეც, უბრალოდ, არ არის ნდობა, რომ ეს რიტორიკა საქმედ იქცევა, – როგორც დადიანი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველს ყოველდღიურ ცხოვრებაში გაუმჯობესების ხილვა სურს, ერთი მხრივ, შეიძლება, მათი ნდობით არ სარგებლობდეს ის, ვინც მტკივნეულ, მაგრამ რეალურ ნაბიჯებს სთავაზობს, რადგან მთელი პრობლემა წარმოიქმნა იქიდან, რომ მათი მმართველობის დროს არაფერი გაკეთებულა, პირიქით საპირისპირო ნაბიჯები გადაიდგა. მეორე მხრივ, დადიანის თქმით, ის, ვინც ნდობის მანდატი მიიღო, საქმეში ძალიან მოიკოჭლებს: „ვერაფერს შვრებიან, ან არ ჰყოფნით ავტორიტეტი, ან ავანტურიზმი იმისათვის, რომ სერიოზული გადაწყვეტილებები მიიღონ. რეალურად, ნდობის ნაკლებობაა და ამას თავისი საფუძვლები აქვს".

„პარტიზანმა მებაღემ" ნატა ფერაძემ „ლიბერალს" უთხრა, რომ გულდასმით აკვირდება, მაგრამ ვერ აირჩია ფავორიტი, ვისაც საპარლამენტო არჩევნებზე შეიძლება, ხმა მისცეს.

„თითქმის ყველა პარტიასთან, ასე თუ ისე, შეხება მქონია. ვცდილობდი, დავკვირვებოდი და არც ერთმა მათგანმა ნდობა არ დაიმსახურა", – აღნიშნავს ნატა ფერაძე და თავის განწყობას გვიზიარებს, – „იმ დასკვნამდე მივედი, რომ ყველაზე მთავარია, მოქალაქეები აქტიურები დავრჩეთ და ვინმეს გადაყენებაზე კი არ ვიზრუნოთ, არამედ ვიზრუნოთ, რომ მთავრობამ, რომელი პარტიაც არ უნდა იყოს, შეასრულოს ის, რასაც გვპირდებოდა".

ფერაძე მიიჩნევს, რომ საქართველოში პარტიების არასანდოობა მოქალაქეების პასიურობითაა გამოწვეული: „რადგან არჩევნებზე ხმას მივცემთ, შემდეგ მათ ყველაფრის უფლებას ვაძლევთ". როგორც ფერაძე აღნიშნავს, მოქალაქეებმა თუნდაც დანაპირების შესრულება

New Year's EVE

31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს, კომპლექსი ფუნიკულიორი "წვეულებათა დარბაზში" გრანდიოზული საახალწლო ზეიმზე გეპატიჟებათ! მხოლოდ ფუნიკულიორზე! ექსკლუზიურად ფუნიკულიორის სტუმრებისთვის! კუბელ ბიონსედ აღიარებული მომღერალი იანელა ბრუქსი და მისი მოცეკვავეები კუბიდან ენერგიულ, ცეცხლოვან და დაუვიწყარ შოუპროგრამას შემოგთავაზებენ. მობრძანდით, მოუსმინეთ იანელას ცოცხალ შესრულებას და აღმოაჩინეთ თქვენი კუბა ფუნიკულიორზე!!!

ფუნიკულიორი
რესტორანი

რესტორანი ფუნიკულიორი! თბილისის უმაღლესი წერტილი! განსაკუთრებული საღამოს გთავაზობთ!
გიო ხუციშვილი, სანო, **Latino Band** და მაკა ზამბახიძე ახალი წლის საზეიმოდ გეპატიჟებიან!
31 დეკემბერს, საღამოს 11 საათიდან!
გავაცილოთ ძველი და შევხვდეთ ახალ წელს ერთად რესტორანში `ფუნიკულიორი`.
ქართული სუფრას სიმღერა უხდება, ახალი წლის ღამეს სურვილების ახდენა!

მთაწმინდის ზედა პლატო, 0114, თბილისი, საქართველო
+995 32 298 00 00 +995 577 74 44 00
info@funicular.ge
www.funicular.ge
www.facebook.com/FunicularComplex

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად რომ მოითხოვონ, პარტიებს მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენა მოუწევთ.

ნატა ფერაძე ამბობს, რომ ამ ეტაპზე ვერც ერთ სანდო პარტიას ვერ ხედავს. „ბევრი ვიფიქრე და დიდი ალბათობით არჩევნებზე მივალ და ყველას გადავხაზავ", – ამბობს ფერაძე, – „სხვა არჩევანის შემთხვევაში, ვაიდა ის პარტია გავიდეს, რომელიც სხვაზე მეტად მომწონს, ესეც დანაშაული იქნება. „ქართული ოცნების" არჩევა ზუსტად ამის ნიმუშს გვაძლევს. ჩემს ნაცნობებს შორის „ქართული ოცნებისთვის" ხმა არც ერთს არ მიუცია იმიტომ, რომ იგი მოსწონდა, არამედ იმის გამო აირჩიეს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ეზიზღებოდათ. ზიზღის წყალობით მოსული მთავრობა კი რასაც აკეთებს, ახლაც ვხედავთ".

თუ მოქალაქეები უფრო აქტიურები იქნებიან და ამით ხელისუფლებაში მოსული პარტიების პასუხისმგებლობას გაზრდიან, ნატა ფერაძე იმედს გამოთქვამს, რომ შემდგომი არჩევნებისთვის მაინც ვიღაცისთვის ხმის მიცემა იქნება შესაძლებელი.

ნატა ფერაძის აზრით, პარტია, რომელიც დღევანდელ პოლიტიკურ ველზე შემოსვლას დააპირებს, ევროპასთან ინტეგრაციაზე, დემოკრატიულ ღირებულებებზე უნდა იყოს ორიენტირებული და ამ პარტიაში მაქსიმალურად უნდა იყვნენ განათლებული და პასუხისმგებლიანი ადამიანები, ვინც პარტიული მიკუთვნებულობის გამო პოზიციას არ შეიცვლის.

„პერსონალიებს დიდ ყურადღებას ვაქცევ, პარტიას ერთ მთლიანობად არ აღვიქვამ. კონკრეტული ადამიანები, ვისაც ძალაუფლებას ჩავაბარებთ, მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ", – აცხადებს ნატა ფერაძე.

როგორი ტიპის პარტიას აქვს იმ ამომრჩევლის მიმხროგის შესაძლებლობა, რომელსაც დღეს ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება

ანდრო დადიანის აზრით, მოქმედი პოლიტიკური პარტიების მიმართ ფრუსტრაციის მიუხედავად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საქართველოში ფსევდოპატრიოტულ მოტივებსა და პოპულისტურ განცხადებებზე დამყარებული ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდეს, რომელიც ამომრჩეველთა ხმების დიდი ნაწილის მობილიზებას შეძლებს.

ანდრო დადიანის აზრით, ისინი, ვინც დღეს პოლიტიკურ სარბიელზე არიან, ამომრჩეველს თავისი ღირებულებების შესაბამის ცხოვრებას, ან მომავალს ვერ სთავაზობენ, ან ვერ არწმუნებენ, რომ ამის გაკეთება შეუძლიათ.

„პოპულიზმი, ე.წ. პატრიოტიზმი და ექსტრემიზმი დიდი ხანია გაისმის საქართველოში, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, ხმა ვის მისცეს. საბოლოო ჯამში ამომრჩეველს რაღაც გადაწყვეტილების მიღება მოუწევს და ასეთ დროს ადამიანი ორი ბოროტებიდან ნაკლებად ბოროტის არჩევას ცდილობს", – ამბობს დადიანი.

მისი თქმით, სამწუხაროა, რომ საქართველოში პოლიტიკური სივრცე გაჯერებული არ არის ისეთი საინიციატივო ჯგუფებით, პარტიებით, რომლებიც წარსულის დანაშაულით არ არიან დამძიმებულები, ამავე დროს საღი აზრი აქვთ და რეალურად მონდომებულები არიან, ადამიანების ცხოვრებაში რაღაც შეცვალონ.

დადიანის აზრით, დიდი საჭიროებაა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ნამდვილად ღირებულებების მქონე ადამიანები გამოდიოდნენ.

არის თუ არა ქართულ საზოგადოებაში რესურსი, რომ ისეთი პოლიტიკური ძალა გამოჩნდეს, რომელსაც ღირებულებების გარდა, ამომრჩევლის ნდობის მოსაპოვებლად პოლიტიკური კაპიტალიც ექნება, ანდრო დადიანი პასუხობს:

„არ მჯერა, რომ ამ არჩევნებისთვის, ან უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში ასეთი ძალის ჩამოყალიბება შესაძლებელია. პოლიტიკურ კაპიტალსა და გამოცდილებაში გვიჭირს. ამავე დროს, ამომრჩეველი დახუნძლულია სტერეოტიპებით. ამასაც NDI-ს კვლევა აჩვენებს. რაღაც გამონათებას, გარღვევას არ ველი".

ქეთევან ვაშაკიძის აზრით, ბევრ პოლიტიკურ ძალას შეუძლია ისარგებლოს დღევანდელი რეალობით, როგორც კარგი, ასევე ცუდი გაგებით – თუ ორი ძალა საკითხების გადაჭრის გზებს ვერ სთავაზობს, მესამე ძალა უნდა გაჩნდეს, ან სხვა პარტიებიდან რომელიმემ შესთავაზოს მისაღები ხედვა.

მისი თქმით, ახალ ძალას, გამოჩენის შემთხვევაში, პოლიტიკური ნდობის მოსახვეჭად არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო აქვს. „არ

მგონია, რომ მას იმხელა ფინანსური და პოლიტიკური რესურსი ჰქონდეს, თუნდაც თემებზე სასაუბროდ, რომ დღეს არსებული ძალები გადაწონოს“, – ამბობს ქეთევან ვაშაკიძე.

ვაშაკიძე საუბრობს ასევე ძალებზე, რომლებიც თავს პატრიოტულ გაერთიანებას უწოდებენ, თუმცა მათი ხმა არც ისმის და თვითონაც არ იციან, რა არის მათი გზავნილი, ეს გამოკითხვებიდან და არჩევნების შედეგებიდან ჩანს.

მისივე თქმით, კოალიციიდან გამოყოფილ „თავისუფალ დემოკრატებს“ შეიძლება, ჰქონდეს შანსი, რომ მესამე ძალად წარმოჩინდეს, იმიტომ, რომ მათ პოლიტიკური გამოცდილებაც აქვთ; წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ამჟამად ორი პარტიის გარდა, სხვებსაც ექნებათ ბარიერის გადალახვის საშუალება, მაგრამ ყველა სუსტია იმ ფინანსურ რესურსთან შედარებით, რაც ბიძინა ივანიშვილს აქვს.

ვაშაკიძე მიიჩნევს, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას აწყობს, „შუა გაიკრიფოს“, რადგან ადამიანები, რომლებსაც გადაწყვეტილება არ მიუღიათ, თავის მხარეს გადაიბიროს, ან მათი დისკრედიტაცია მოახდინოს.

ქეთევან ვაშაკიძის თქმით, არჩევნებამდე ჯერ კიდევ ორი წლით ადრე არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაცია ხდება და დარტყმაა მათზე, რომლებიც ნეიტრალური პოზიციიდან საუბრობენ და გადაწყვეტილებებს აფასებენ; შემდეგ დარტყმის ქვეშ პოლიტიკური ძალა ექცევა – „ჯერ იშორებ იმას, ვინც ნეიტრალურია და შეიძლება, რომ კრიტიკული აზრი ჰქონდეს, შემდეგ კი იმას, ვინც შენი მოწინააღმდეგეა“.

ვაშაკიძის შეფასებით, კვლევის შედეგების მიუხედავად, სახელისუფლებო კოალიციას არჩევნებში გასამარჯვებლად საკმარისი ხმების მიზიდვის საშუალება აქვს.

„თუ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდა, არჩევნების დღეს ის ძალა, რომელიც ხელისუფლებაშია, უფრო მეტ ხმას იღებს“, – ამბობს ვაშაკიძე, – „მეორე საკითხია, რომ, როგორც 2012 წელს იყო, შეიძლება, ამ განწყობების მანიპულირება მოხდეს. ჩემთვის მიუღებელია, როდესაც ესა თუ ის პოლიტიკური ძალა განწყობების მანიპულირებაზე თამაშობს და არა პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებზე“.

როგორც კაჭკაჭიშვილმა „ლიბერალს“ უთხრა, ის, ვისაც ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, ძირითადად, „ქართული ოცნების“ ყოფილი ამომრჩეველია, რომელთა თვალშიც კოალიციის პოლიტიკური ღირებულება გაუფასურდა.

„ქართული ოცნების“ რეიტინგი საკმაოდ დაცემულია, სხვადასხვა კვლევა განსხვავებულ მონაცემს აჩვენებს“, – ამბობს კაჭკაჭიშვილი. ამასთან, მისივე თქმით, „ოცნების“ მხარდამჭერების კლება, ჯერჯერობით, რომელიმე პარტიის პოზიტივად არ ქცეულა.

თუ შევხედავთ მთავარ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, როგორც კაჭკაჭიშვილი ამბობს, „ნაციონალურ მოძრაობას“ „ქართული ოცნების“ ფრუსტრირებულ მხარდამჭერთა ნაკადი არ შემატებია. სოციოლოგი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი იგივეა, რაც ერთი ან ორი წლის წინათ იყო. „შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ამომრჩეველი ჰყავს. მას „ქართული ოცნების“ მიმართ იმედგაცრუებული ამომრჩევლის ხარჯზე მხარდა-

ქართული ღვინო
8000 წლის ისტორია

როგორ დავლიოთ ახალ წელს ღვინო...

შობა-ახალი წელი ახლოვდება. არ დაგავიწყდეთ ახლობლებისთვის თითო ბოთლი ქართული ღვინის ჩუქება და დავამკვიდროთ ეს სადღესასწაულო ტრადიციად.

ვინაიდან საახალწლო სუფრა სასმელის გარეშე წარმოუდგენელია, ღვინის ეროვნული სააგენტო გირჩევთ:

- ღვინო შედარებით გრილად მივიტანოთ სუფრასთან, რადგან ჭიქაში ის თავად შეთბება.
- თეთრ ღვინოს უფრო დაბალი, ხოლო წითელს უფრო მაღალი ტემპერატურა უხდება:
  - წითელი, სხეულიანი ღვინო – 14-დან 16 გრადუსამდე, ნაკლებად სხეულიანი - 10-დან 12 გრადუსამდე
  - თეთრი სხეულიანი ღვინო – 10-დან 12 გრადუსამდე, ნაკლებად სხეულიანი ღვინო – 8-დან 10 გრადუსამდე
  - ნახევრად ტკბილი თეთრი ღვინო, შამპანური, ცქრიალა ღვინოები - 6-დან 10 გრადუსამდე
- ღვინის გემოვნური თვისებებისა და სურნელის შესანარჩუნებლად ღვინის ჭიქას უნდა ჰქონდეს მაღალი ფეხი და ტიტის ფორმის მუცელი. წითელი ღვინისთვის უფრო დიდმუცლიანი ბოკალი გამოიყენება.
- თეთრი ღვინის ბოკალს მომცრო მუცელი აქვს, რათა სიგრილე დიდხანს გაჰყვეს სასმელს.
- ღვინის ბოკალი დამრეცად უნდა გეკავოთ ბოთლთან მიმართებაში, რათა ღვინო სასმისში კედლებზე უშუალო შეხებით ჩაასხათ.
- ღვინით ივსება ბოკალის მოცულობის მესამედი.

გაითვალისწინეთ, რომ წითელი ღვინო სჯობს წითელი ფერის ხორცეულთან და პარკოსანი კულტურებისგან მომზადებულ კერძებთან ერთად მიირთვათ. თეთრი ღვინო კი ძირითადად თევზისა და ხორცის თეთრ სახეობებს შეეხამება. ვარდისფერი ღვინო კარგია სალათებთან, აღმოსავლურ კერძებთან, ლორსა და ძეხვეულთან.

ცქრიალა ღვინოებთან მისაყოლებლების ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა. ეს შეიძლება იყოს: ხიზილალის ბუტერბროდები, ხილი, ყველი, მსუბუქი სალათები, სუში, კარპაჩო, ზღვის პროდუქტები, თეთრი ხორცისგან დამზადებული კერძები, ბისკვიტები და კენკროვანი ხილი.

www.georgianwine.gov.ge
www.facebook.com/Wines.of.Georgia

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭერები არ ემატება", – მიიჩნევს კაჭკაჭიშვილი.

იაგო კაჭკაჭიშვილი „ნაციონალური მოძრაობის" შემდეგ ყველაზე გავლენიან ოპოზიციურ პარტიად „თავისუფალ დემოკრატებს" ასახელებს": „ამ პარტიის რეიტინგი, პოლიტიკური წონა იზრდება, მაგრამ, ჯერჯერობით, სრულფასოვანი მესამე პოლიტიკური ძალის ადგილის დაკავება ვერ მოახერხა, თუმცა ამის პოტენციალი აქვს. „თავისუფალი დემოკრატების" რეიტინგი ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად იზრდება".

კაჭკაჭიშვილი ახალი პოლიტიკური ძალების შესაძლებლობებსაც განიხილავს. როგორც ამბობს, არ სჯერა, რომ „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი" პოლიტიკურ წარმატებას მიაღწევს.

„მიუხედავად იმისა, რომ მისი წევრები „ნაციონალურ მოძრაობას" გაემიჯნენ, ისინი მაინც მათ შენაკადად მიიჩნევიან, თან გამიჯვნა მათ შორის მკვეთრი დაპირისპირების ფონზე არ მომხდარა. არ მგონია, რომ „გირჩი" „ნაციონალური მოძრაობის" რეალური ალტერნატივა იყოს, რომელსაც ადამიანები მხარს დაუჭერენ. არ მგონია, რომ „გირჩი" გაძლიერდეს", – ამბობს კაჭკაჭიშვილი.

კაჭკაჭიშვილი პოლიტიკაში პაატა ბურჭულაძის შესაძლო ჩართვის საკითხზე საუბრისას ოპერის ცნობილი მომღერლის პოტენციალზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ სოციოლოგი დარწმუნებული არ არის, რომ ეს რესურსი ბურჭულაძეს აღნიშნული ამომრჩევლის დიდი ნიშის დასაკავებლად ეყოფა.

„არ მახსოვს, რომ ხელოვანს, რომელიც საქართველოში პოლიტიკაში წასულა, სერიოზული წარმატება ჰქონოდა. ის კაპიტალი, რომელიც პაატა ბურჭულაძეს, როგორც ხელოვანს აქვს, არ მგონია, პოლიტიკურ კაპიტალში იმავე დოზით კონვერტირდეს", – ამბობს კაჭკაჭიშვილი, – „თუმცა ბარიერის გადალახვისა და პარლამენტში მოხვედრის შანსი აქვს".

კაჭკაჭიშვილის თქმით, ერთადერთია ნინო ბურჯანაძის პარტია, რომელიც დასავლეთის საპირწონედ რუსეთთან პრინციპულ დაახლოებას მოითხოვს. „ვხედავთ, რომ ბურჯანაძის პარტიის რეიტინგი არ იზრდება. მას შეიძლება, ბარიერის გადალახვის თვალსაზრისითაც პრობლემები შეექმნას. იგი რაიმე პოლიტიკურ ამინდს ვერ შექმნის", – თქვა სოციოლოგმა.

გამარჯვების შანსის მქონე პარტიების შესახებ საუბრისას, სოციოლოგი ვარაუდობს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა 50%-ზე მეტის მიმხრობას ვერც ერთი სუბიექტი ვერ მოახერხებს.

„კვლევების მონაცემები მკარნახობს, რომ მომავალ არჩევნებში ნაკლებად მოსალოდნელია, რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ უმრავლესობა მოიპოვოს, თუნდაც მაჟორიტარების ხარჯზე", – ამბობს კაჭკაჭიშვილი.

მისი აზრით, მომავალი ხელისუფლება კოალიციური იქნება. კაჭკაჭიშვილის თქმით, მომავალი პარლამენტი უფრო მრავალფეროვანი, უფრო ჭრელი იქნება და კოალიციებზე ზრუნვა დაიწყება პარლამენტში შესვლის შემდეგ და არა მანამდე.

„ეს დემოკრატიის თვალსაზრისით კარგია, მაგრამ ეფექტიანი მართვისთვის შეიძლება, ცუდი აღმოჩნდეს, თუმცა კიდევ უფრო მეტი სიჭრელე, ვიდრე დღეს გვაქვს, სულ მცირე ავტორიტარული მმართველობის პრევენციას მოახდენს", – ამბობს კაჭკაჭიშვილი.

სოციოლოგ ემზარ ჯგერენაიას თქმით, როდესაც პრობლემების რაოდენობა ძალიან დიდია და განსაკუთრებით მწვავეა ეკონომიკური პრობლემები, კლასიკური მოდელია, რომ ადამიანები რადიკალურად განწყობილ ჯგუფებს აძლევენ ხმას. თუმცა იგი საქართველოში ამომრჩეველთა განწყობას სხვანაირად აფასებს.

„საქართველოს საარჩევნო ლოგიკას თუ დავაკვირდებით, დიდი პოლიტიკური დაძაბულობა უნდა შეიქმნას, რომ ამომრჩეველი აქტიური იყოს. ჩემი დაკვირვებით, მძიმე ეკონომიკური პირობები რადიკალური პოლიტიკური პარტიებისადმი მხარდაჭერას არ ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რადიკალური ხმა ისმის, ბევრი ადამიანი რადიკალურად მეტყველებს და ბევრი პოლიტიკური პარტია შეიძლება რადიკალურ იდეებს გამოთქვამდეს, ამომრჩეველი მაინც ფრთხილად ეკიდება ასეთი ადამიანების მხარდაჭერას", – ამბობს ჯგერენაია.

ჯგერენაიას ვარაუდით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დღევანდელ ფონზე „ქართული ოცნებისა" და „ნაციონალური მოძრაობის" გარდა, რომელიმე პოლიტიკური მოთამაშე გამოჩნდეს. მისი თქმით, ჯერჯერობით, ორი ძლიერი ძალა არსებობს და მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება" საკმაოდ პრობლემური ერთობაა, მესამე ძალის სახით ალტერნატივის გაჩენას ისიც არ დაუშვებს.

„აქ სხვა ფაქტორებიც არის – ფარული პედაგოგიკა, შეიძლება, ბიძინა ივანიშვილმა ახალი ძალების ძიება და „ოცნების" ჩანაცვლება დაიწყოს, ეს შესაძლებელი მგონია, მაგრამ, პრობლემური ამბავია, როგორ და რამდენ ხანში მოხერხდება", – ამბობს ემზარ ჯგერენაია.

საპენსიო რეფორმა

ვინ უზრუნველყოფს ჩვენს სიბერეს?

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი

ყოველი თვის 16 რიცხვში „ლიბერთი ბანკის“ ფილიალების წინ მოხუცებულთა გრძელ რიგებს შენიშნავთ – ამგვარი ნაკადისთვის სრულიად მოუმზადებელი განყოფილებები ამ დღეს პენსიებს გასცემენ.

75 წლის ნელი ძებისაშვილს გული აწუხებს. რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ აღებული, კუთვნილი პენსიით პირველ რიგში ფილიალის გვერდით მდებარე აფთიაქში შედის და წამლებს ყიდულობს.

ვიდრე პენსიაზე გავიდოდა, ბუღალტრად მუშაობდა. ნორმალური ანაზღაურება ჰქონდა. თავს ირჩენდა და მშობლებსაც არჩენდა. ახლა მარტო ცხოვრობს, 150 ლარი პენსიით. სახლიდან მხოლოდ მის ასაღებად გამოდის და „ლიბერთი ბანკის“ უზარმაზარ რიგში დგება.

– „თვიდან თვემდე იმაზე ვფიქრობ, წამლები შევიძინო და გადასახადები გადავიხადო. 150 ლარი რას მეყოფა. 30 ლარს სოციალურად დაუცველის დახმარებასაც ვიღებ. ისიც ბოლო რამდენიმე თვეა, მაქვს. ადრე მომიხსნეს, მერე თავიდან დავწერე განცხადება. აი, თქვენ თვითონ დაითვალეთ – თვეში 180 ლარი როგორ უნდა ეყოს თუნდაც ერთ ადამიანს საჭმელში, გადასახადებსა და წამლებში, რომელიც ასე ძვირია? საჭმელს ვიკლებ ხოლმე, რომ წამალი ვიყიდო, რა ვქნა? ბრინჯს მოვხარშავ, პურს ვყიდულობ და ასე გამაქვს თავი. ამას ცხოვრება არ ჰქვია, ეს წვალებაა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

76 წლის ნინო ირემაძე თბილისში, ჭავჭავაძეზე, ერთ-ერთი მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეებზე ბოსტნეულს ყიდის. სოფელ კუმისში, პატარა სახლში, ავადმყოფ შვილთან ერთად ცხოვრობს. მომცრო ზომის საცხოვრებელი ნაცნობმა დაუთმო.

ცოტა ხნის წინ შეუძლოდ გახდა. ექიმთან მისვლა რამდენჯერმე გადადო, ფული არ ჰქონდა. საბოლოოდ, როცა მივიდა, ექიმმა უთხრა, რომ კუჭ-ნაწლავის პრობლემები აქვს – უამრავი წამალი გამოუწერა. მარტო ერთი პრეპარატისთვის, რომელიც 6 თვის განმავლობაში ყოველდღე უნდა მიიღოს, თვეში 240 ლარი სჭირდება. მწვანილის გაყიდვით მხოლოდ ყოველდღიური პურის ფულს შოულობს. წამლებს ვერ იღებს. ამბობს, რომ მისი პენსია 150 ლარია, სამარცხვინოა, იმის ნაცვლად რომ ადამიანმა სიბერეში, როცა ფიზიკურად ბევრი შრომა აღარ შეუძლია, ნორმალურად იცხოვროს, მუდმივი წვალება უწევს.

* * *

„წვალება“ – ეს სიტყვა ჩვენმა რესპონდენტებმა რამდენჯერმე გაიმეორეს. პენსიის არსი კი სრულიად განსხვავებულია. მან მოხუცის ღირსეული ცხოვრება უნდა უზრუნველყოს და ცხოვრების ხარისხის გარკვეული სტანდარტები დააკმაყოფილოს.

მოქმედი სისტემით, პენსია საარსებო მინიმუმს ეყრდნობა და „ცხოვრების ხარისხის გარკვეულ სტანდარტზე“ მეტად ჩვენი რესპონდენტების მიერ ასე ხშირად ხსენებული დეფინიცია შეესაბამება. საპენსიო რეფორმის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგება, როდესაც სპეციალისტები დემოგრაფიულ სურათს აანალიზებენ, შედეგად კი, ახალგაზრდა, შრომისუნარიანი მოსახლეობის კლებისა და ხანში შესული, საპენსიო ასაკის მოქალაქეთა მატების ტენდენციას იღებენ.

საპენსიო რეფორმაზე ფიქრი წლების წინ დაიწყო. ეს თემა პერიოდულად იღვიძებდა და პერიოდულადვე ივიწყებდნენ. ამ საკითხს ბოლოს სერიოზულად ორი წლის წინ მოჰკიდეს ხელი.

ეკონომიკის სამინისტროს საპენსიო სამსახურის უფროსი ოთარ ძიძიკაშვილი მინის კარით გამოყოფილ, მინიმალისტურად გაფორმებულ კაბინეტში მხვდება, – „ესეც ცხადყოფს, ჩვენი ხელისუფლების გამჭვირვალობას“ – საუბარს ნახევრად ხუმრობით ვიწყებთ.

„იმისათვის რომ პენსია ადეკვატური გავხადოთ, ჩვენ გვჭირდება ახალი ელემენტი. სახელმწიფოს გარდა სხვა მოთამაშეც უნდა გაჩნდეს – ეს არის კერძო დაგროვებითი პენსია“ – ამბობს ახალგაზრდა ჩინოვნიკი, მსოფლიო ბანკის ყოფილი თანამშრომელი, და მოდელის ახნას იწყებს:

პრინციპი მარტივია – დასაქმებული ხელფასის 2%-ს იხდის, კიდევ 2%-ს დამსაქმებელი ამატებს, თავის მხრივ, სახელმწიფო გადახდილი გადასახადიდან, ხელფასის 20%-იდან 18%-ს იტოვებს და ორს გიბრუნებს, ასე გროვდება ხელფასის 6%-ის ოდენობის თანხა. თანხა სპეციალურ ფონდში აკუმულირდება. საპენსიო ასაკის მიღწევისას შემდგომი სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელზე გაიყოფა და გაცემა დაიწყება. პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა 50 წლამდე მამაკაცებს და 45 წლამდე ქალებს შეეძლებათ (საპენსიო ასაკს მინიმუმ 15 წელი უნდა გაშორებდეთ, თანხის დაგროვება რომ შეძლოთ).

ეს პრინციპი მხოლოდ ოფიციალურად დასაქმებულებზე ვრცელდება. თვითდასაქმებულებზე, რომელთა შემოსავალი არსად აღირიცხება, სისტემა სამომავლოდ იფიქრებს.

ძიძიკაშვილის აზრით, პროგრამაში, რომელშიც თავიდან ყველა დასაქმებული გაწევრიანდება, გასვლის უფლებით, პირველ ეტაპზე დაახლოებით 350 000 ბენეფიციარი დაიწყებს თავისი პენსიის დაგროვებას. დაახლოებით 5 წლის შემდეგ ფონდი 4,5 მილიარდ ლარს დააგროვებს.

ვინ განკარგავს ამ ფულს? – „ეს იქნება აპოლიტიკური ორგანო – ამბობს ძიძიკაშვილი – პროფესიონალური წრეებიდან შეირჩევიან ფინანსისტები და ეკონომისტე-

„თვეში 180 ლარი როგორ უნდა ეყოს თუნდაც ერთ ადამიანს საჭმელში, გადასახადებსა და წამლებში, რომელიც ასე ძვირია? საჭმელს ვიკლებ ხოლმე, რომ წამალი ვიყიდო, რა ვქნა? ბრინჯს მოვხარშავ, პურს ვყიდულობ და ასე გამაქვს თავი. ამას ცხოვრება არ ჰქვია, ეს წვალებაა“.

ბი. ესენი ფულს არ მართავენ, ეს იქნება სამეთვალყურეო საბჭო. ფონდი თანხას გადასცემს კერძო კომპანიას, რომელიც ტენდერით გამოვლინდება“.

* * *

„თვითორგანიზების ქსელის“ წევრი, ალექსანდრა არაშვილი ფიქრობს, რომ „ეს არ არის რეფორმა, ეს არის პენსიის პრივატიზაცია.“

მისი აზრით, ამით სახელმწიფო იხსნის პასუხისმგებლობას, გაზარდოს სოციალური დანახარჯი, და კერძო კომპანიას დაეკისროს.

არაშვილი აკრიტიკებს სახელმწიფოს მიდგომას თვითდასაქმებულების, საბაზისო პენსიის, ფულის მართვის მექანიზმისადმი და ა.შ. მაგრამ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი – ვისი ვალია, პენსიით უზრუნველყოს მოქალაქეები, თავად მოქალაქეების თუ სახელმწიფოსი.

მისი აზრით, რეფორმა მძიმედ აისახება დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე. აკუმულირებული ფულის ძირითადი დანიშნულება კი ის იქნება, რომ იაფი ფულის წყარო იყოს კაპიტალისთვის.

ოთარ ძიძიკაშვილი არ უარყოფს, რომ საპენსიო რეფორმა „ერთი მხრივ, ეკონომიკური პროექტია“. ეს საკითხი არც ყოფილა დაფარული. თუნდაც ის, რომ რეფორმას არა სოცუზრუნველყოფის და შრომის სამინისტრო, არამედ ეკონომიკის სამინისტრო ამუშავებს, კითხვაზე ნათელ პასუხს იძლევა.

„საპენსიო რეფორმას ფული უნდა დავაწერინოთ. ჯანდაცვის სამინისტრო ეკონომიკურ ანალიზს ვერ დადებდა. უნდა შეიქმნას ბიზნესმოდელი და ამის შედეგი იქნება ის, რომ პენსიონერი მაღალ პენსიას მიიღებს“ – ამბობს ძიძიკაშვილი.

„საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები“ საპენსიო მოდელის პარალელურ ვარიანტზე მუშაობს, მათი ძირითადი განმასხვავებელი ისაა, რომ რეფორმაში სოლიდარობის ელემენტი შემოვიდეს და ფონდში აკუმულირებული თანხიდან პენსიის მიღება უკვე დაიწყონ საპენსიო ასაკის მოქალაქეებმა, ეს საბაზისო პენსიის გარკვეულწილად ზრდას გამოიწვევს, თუმცა არ იქნება შედეგი, რომელსაც ოთარ ძიძიკაშვილი ელის.

ეკონომიკის სამინისტროში შემუშავებული რეფორმის დეტალებზე საუბრისას გოჩა ალექსანდრია, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, ამბობს, რომ საპენსიო მოდელი სამ სვეტს უნდა დაეყრდნოს – პირველი სვეტი არის ბაზისური პენსია, მეორე ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ – სოლიდარული პენსია, მესამე, რასაც მთავრობა ამბობს – კერძო დაგროვებითი პენსია.

„მაგალითად, რაღაც პერიოდი დავრჩი უმუშევარი, 6 თვით ან უფრო მეტი დროით, ამ ყულაბაში როგორ შევიტანან ფულს, არც დასაქმებული ვიქნები, არც დამსაქმებელი მეყოლება. ვერაფერს შევიტან. ეს არის გაცდენილი პერიოდი. შეიძლება არაფორმალურად დავიწყო მუშაობა, მაგრამ არ ვიხდი საშემოსავლოს, ამიტომ ამ სისტემიდან მაინც ამოვარდნილი ვარ. ვისაუბროთ ქალებზე. ქალი, რომელიც დეკრეტულ შვებულებას იღებს და გარკვეული დროით არ მუშაობს. ზოგი წელიწადსაც იღებს ამგვარ შვებულებად. ვთქვათ, რომელიმე ქალმა ოთხი შვილი გააჩინა, ვინმემ დათვალა ეს რისკი? ამ ხნის განმავლობაში ვინმეს შეაქვს თანხა მის ანგარიშზე? ან ადამიანმა ტრავმა მიიღო სამსახურში – ამოვარდნილია კალაპოტიდან, ბოლოსდაბოლოს როცა პენსიაზე გავალ, რა მექნება?“

რეფორმის ავტორთა ოპტიმისტური და მოწინააღმდეგეთა პესიმისტური მოსაზრებების ერთმანეთთან დაახლოება და კომპრომისის მოძებნა იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო, თუმცა როგორც ალექსანდრა არაშვილი აღნიშნავს, „რეფორმა გაუმჭვირვალედ მიმდინარეობდა“, მასზე საჯარო საუბარი ხელისუფლებამ ბოლო დროს დაიწყო, მაშინ, როდესაც დეტალები, პრაქტიკულად, უკვე შემუშავებულია.

ოთარ ძიძიკაშვილი იმედოვნებს, რომ მოდელი მუშაობას 2017 წელს დაიწყებს. შესაბამისად, ამ დროისთვის გაირკვევა, ვინ და როგორ უზრუნველყოფს ჩვენს სიბერეს.

საპენსიო რეფორმაზე ფიქრი წლების წინ დაიწყო. ეს თემა პერიოდულად იღვიძებდა და პერიოდულადვე ივიწყებდნენ. ამ საკითხს ბოლოს სერიოზულად ორი წლის წინ მოჰკიდეს ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილუსტრაცია: თამარი ნარიკაშვილისგან

ახალი უშიშროების ძველი საშიშროებები

შინაგან საქმეთა სამინისტროში ძალაუფლების ჭარბი კონცენტრაცია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საზოგადოების კრიტიკის საგნად იქცა. ამიტომ უწყების რეფორმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მეთაურებმა დანაპირები ორი წლის შემდეგ გაიხსენეს და 2014 წლის ბოლოს შსს-ს რეფორმირება დააანონსეს, თუმცა ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები დახურულ და ფართო კომპეტენციის მქონე უსაფრთხოების სამსახურში უფრო მეტ საფრთხეს ხედავენ.

ქეთევან ღვედაშვილი

უშიშროებისა და შს სამინისტროების გაყოფა პირველი შემთხვევა არ არის. ისინი საბჭოთა კავშირის დროს და შემდგომშიც, 2004 წლამდე ცალ-ცალკე უწყებებად არსებობდა. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ უშიშროებისა და შს სამინისტროები გაერთიანდა და სათავეში ვანო მერაბიშვილი ჩაუდგა. შსს-ს ჭარბი ძალაუფლება სწორედ ამ მოვლენის შედეგია, რადგან უწყებამ ერთდროულად საპოლიციო და უსაფრთხოების დაცვის ფუნქციების კისრებით ფართო უფლებები მიიღო.

შსს-ს რეფორმის მთავარი მიზანი სწორედ საპოლიციო და უსაფრთხოების სამსახურების უფლება-მოვალეობების გამიჯვნა იყო. ამისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების უწყებათაშორისმა კომისიამ მოამზადა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც 50-ზე მეტ კანონში ითვალისწინებდა ცვლილებებს. პარლამენტმა კანონი 2015 წლის ივლისში დაამტკიცა და სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე პრემიერის შეთავაზებულ კანდიდატს ნდობა გამოუცხადა. ახლად შექმნილი უწყება, ვახტანგ გომელაურის მეთაურობით, მუშაობას 1 აგვისტოდან შეუდგა.

კანონის თანახმად, უსაფრთხოების სამსახური მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური დანიშნულების დაწესებულებაა, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მასში ისეთი ქვედანაყოფებია გაერთიანებული, როგორებიცაა: კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო, კონტრტერორისტული ცენტრი, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, სპეციალური ოპერაციებისა და ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტები და სხვა.

არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები რეფორმას შსს-ს მექანიკურ გაყოფას უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ ამით არაფერი იცვლება. უწყების ფართო უფლება-მოვალეობებში კი ისინი თვითნებურად მოქმედებისა და უფლებამოსილების გადაჭარბების რისკს ხედავენ.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონი კარგი იდეის ცუდად განხორციელების მაგალითია" – ასე აფასებს შსს-ს რეფორმას 14 არასამთავრობო ორგანიზაცია. ისინი ახლად შექმნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყების ძირითად პრობლემად, ჭარბ ძალაუფლებასთან ერთად, გაუმჭვირვალობასაც ასახელებენ.

უსაფრთხოების სამსახური ერთ-ერთი ყველაზე დახურული უწყებაა, გასაიდუმლოებულია კონკრეტული დეპარტამენტების თანამშრომელთა რაოდენობა და მათი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები.

„მასზე მონიტორინგი და მისი საქმიანობის შემოწმება ძალიან ჭირს. ამიტომ გვინდა, მის მოქმედებას მაქსიმალურად მკაფიო სამართლებრივი საფუძვლები ჰქონდეს, რაც გარე კონტროლის საშუალებას შექმნის", – აღნიშნავს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის"(EMC) წარმომადგენელი სოფო ვერძეული.

თუმცა უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ნიკა ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ მსგავსი დეპარტამენტების შესახებ ძირითადი ინფორმაციის გასაიდუმლოება სრულიად ნორმალურია და ეს ამ ქვედანაყოფთა საქმიანობითაა განპირობებული, მაგრამ ხელოვნურად ხომ არ არის გაზრდილი თანამშრომელთა რაოდენობა და ზედმეტ ანაზღაურებას ხომ არ იღებენ ისინი, ამ საკითხების გარკვევა პარლამენტის ნდობის ჯგუფს სამსახურის უფროსთან შეუძლია.

უწყებასთან დაკავშირებული მეორე პრობლემა ფართო კომპეტენცია და ჭარბი ძალაუფლებაა. ამასთან, გაუგებარია, თუკი მისი და შსს-ს გაყოფის მიზანი მათი ფუნქციების გამიჯვნა იყო, მაშინ რატომ აქვთ მათ მსგავსი უფლებები. მაგალითად, შსს-ს მსგავსად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ისეთი სპეციალური საშუალებების გამოყენება შეუძლია, როგორებიცაა: წყლის ჭავლი, ხელკეტი და სხვა.

ამასთან, უსაფრთხოების სამსახურს ერთდროულად კონტრდაზვერვითი და საგამოძიებო ფუნქცია აქვს.

არასამთავრობოთა განმარტებით, კანონი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სახელმძღვანელო პრინციპებთან, რომელიც ნათლად განსაზღვრავს, რომ შიდა უშიშროების სამსახურებს გამოძიებისა და პირის დაკავების უფლებამოსილება არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს ძალაუფლების

უშიშროებისა და შს სამინისტროების გაყოფა პირველი შემთხვევა არ არის. ისინი საბჭოთა კავშირის დროს და შემდგომშიც, 2004 წლამდე ცალ-ცალკე უწყებებად არსებობდა.

ბოროტად გამოყენების საფრთხეს ქმნის. ეს უფლებამოსილებები ექსკლუზიურად პოლიციას უნდა ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება კონტრდაზვერვით საქმიანობას, მისი ძირითადი მიზანი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და საფრთხეების პრევენციაა. ამ ამოცანების შესასრულებლად კი მას ისეთი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების უფლება აქვს, როგორებიცაა: აუდიო-ვიდეო ჩაწერა, ფარული კინო-ფოტოგადაღება, სატელევიზიო კამერებისა და სხვა სახის ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება, ელექტრონული თვალთვალი და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლი.

თუკი რეფორმამდე შსს-ს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს სასამართლოსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნებართვა სჭირდებოდა, კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ამის კეთება ყოველგვარი კონტროლის გარეშე შეუძლია, მაშინ, როდესაც უწყების მიერ გამოძიების დაწყების შემთხვევაში, ზემოხსენებული ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის პროკურატურის ზედამხედველობა და სასამართლოს ნებართვაა საჭირო.

„ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება და, როგორც წესი, მოსამართლის ბრძანებას არ საჭიროებს, გარდა ელექტრონული თვალთვალისა და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლისა",- აღნიშნულია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლში.

თუმცა კონტრაზვერვის სამსახურის საქმიანობა გასაიდუმლოებულია და არავინ იცის, რას აკეთებს ის, როცა დანაშაულის ნიშნებს აღმოაჩენს, როდის იწყებს ინფორმაციის მოძიებას და როდის გადადის უკონტროლოდან ჩვეულებრივ გამოძიებაზე.

„როცა ასეთი დაბალი სტანდარტით და ასე უკონტროლოდ შეგიძლია მასალის მოპოვება, ასეთი ინფორმაციის კონკრეტულ საქმეში გამოყენება ძალიან მარტივია", – აღნიშნავს სოფო ვერძეული „ლიბერალთან" საუბრისას.

EMC-ის წარმომადგენელი პოლიტიკური ნების შემთხვევაში უწყების ბოროტად გამოყენების რეალურ საფრთხეზე მიუთითებს, მით უფრო, უახლოესი წარსულის გათვალისწინებით. ცოტა ხნის წინ „რუსთავი 2-თან" დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა

სატელეფონო ჩანაწერებმა, ასევე, ფარული კადრებით შანტაჟის შესახებ ნიკა გვარამიას განცხადებამ საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაუჩინა ეჭვი, რომ უხილავი თვალისა და ყურისგან დაცული არავინაა.

შსს-ს რეფორმა არაფერს ცვლის საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, სერგო რატიანისთვისაც. მისი თქმით, გაყოფილი უწყება საბჭოთა კავშირშიც არსებობდა და შევარდნაძის დროსაც, მაგრამ ეს არ მიუთითებდა იმაზე, რომ უწყება დემოკრატიულ სახელმწიფოს რამენაირად შეესაბამებოდა. სერგო რატიანი მიიჩნევს, რომ თუკი ხელისუფლებას შსს-ს მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა სურდა, ქმედითი კონტროლის მექანიზმი და ფარული მოსმენების შესახებ განსხვავებული საკანონმდებლო ნორმა უნდა შეექმნა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის შეფასებით, უსაფრთხოების სამსახურს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებზე თვალთვალი და დევნა ევალება. მისი თქმით, უწყება პოლიტიკური დევნისთვის დაგეგმილ ბევრ ღონისძიებას აკონტროლებს. ამის მაგალითად რატიანს პარტიის ათეულობით ოფისზე თავდასხმა მოჰყავს და ვარაუდობს, რომ უსაფრთხოების სამსახურმა ან წინასწარ არ იცოდა ამის შესახებ, ანუ თავის საქმეს ვერ აკეთებს, ან ეს მის მიერვე იყო დაგეგმილი.

უმცირესობის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, პოლიტიკური პარტიების გარდა, საფრთხეს რიგით მოქალაქეებსაც უქმნის, რადგან, თუკი ძლიერი პოლიტიკური ძალა დაუცველია, მით უფრო დაუცველია ჩვეულებრივი მოქალაქე.

სერგო რატიანი გამოსავალს საპარლამენტო კონტროლის დაწესებაში ხედავს.

„რა აჩერებს ჭარბ ძალაუფლებას – ოპოზიცია, ხელისუფლების დანაწილება და გამჭვირვალობა ანუ მედიის ჩართულობა. ეს არის მექანიზმები დემოკრატიულ საზოგადოებაში. დღეს ისინი არ მუშაობს, რადგან სისტემა მორღვეულია. ყველაფერს მართავს არაფორმალური პირი, რაც არღვევს ინსტიტუციებს",- აღნიშნავს სერგო რატიანი.

კანონის თანახმად, უსაფრთხოების სამსახური მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური დანიშნულების დაწესებულებაა, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

თუკი უსაფრთხოების სამსახური ჩვენივე დასაცავად გვისმენს, გვითვალთვალებს, ჩვენ შესახებ ყველანაირ ინფორმაციას აგროვებს, მაშინ სად გადის ზღვარი ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოებას შორის და რამდენად შესაძლებელია ორივეს დაცვა.

ნიკა ლალიაშვილი ამბობს, რომ ერთ პინაზე ადამიანების უსაფრთხოება დევს, მეორეზე – ამ ადამიანების უფლებები. თუკი სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელთა ნება არსებობს, მათ ამ ორ დილემას შორის უწევთ გავლა. ლალიაშვილის შეფასებით, ეს ძალიან რთულია, რადგან, როგორც კი იზრდება ადამიანების უსაფრთხოება, იკლებს მათი თავისუფლება და უფლებები. მას მაგალითად მოჰყავს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი, როცა ეფექტიანობა გაიზარდა, მაგრამ უკუპროპორციულად შემცირდა ადამიანის უფლებების დაცვა, თუმცა აღნიშნავს, რომ, სირთულის მიუხედავად, ოქროს შუალედის დაცვა შესაძლებელია.

ნიკა ლალიაშვილის შეფასებით, შსს-ს რეფორმით მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ერთის ნაცვლად ორი ბუღალტერი, ორი გარაჟის დირექტორი ჰყავთ, ორი ლოჯისტიკის სამსახური აქვთ; თუკი ხელფასს იღებდა ადამიანების გარკვეული რაოდენობა, ახლა ორჯერ იმდენი ადამიანი იღებს.

მისი შეფასებით, რეფორმის ავტორებმა ვერც რეფორმის კიდევ ერთ მიზანს, უწყების დეპოლიტიზებას მიაღწიეს, რადგან თავად ამ უწყებების ხელმძღვანელები მაინც „ერთი დირიჟორის ერთი ხელის აქნევით ხელმძღვანელობენ".

შსს-სა და უსაფრთხოების სამსახურის დუბლირებული უფლებამოსილებების, ახლად შექმნილი უწყებისთვის მინიჭებული ფართო კომპეტენციისა და ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით წლების განმავლობაში არსებული კვლავ მოუგვარებელი პრობლემების გათვალიწინებთ, გაუგებარია, რას ემსახურებოდა შსს-სგან ამ უწყების გამოყოფა. ჩნდება განცდა, რომ ეს იყო რეფორმა რეფორმისთვის და არა რამეს შესაცვლელად და ვითარების გამოსასწორებლად გადადგმული ნაბიჯი.

სამსახურის ფართო კომპეტენციისა და მისი უკონტროლო მუშაობის გათვალისწინებით, ახლად შექმნილი უწყება, რომელიც ჩვენს უსაფრთხოებაზე უნდა ზრუნავდეს, უფლებების დარღვევის რისკს უფრო აჩენს, ვიდრე დაცვის მოლოდინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ალეკო ალექსაშვილი

ქალები წინწყაროდან

თათია ხალიანი

მარნეულიდან რამდენიმე წუთის სავალზე სოფელი წინწყაროა. აზერბაიჯანელები, ქართველები, ბერძნები, ეკომიგრანტები აჭარიდან და სვანეთიდან, დევნილები ზემო აფხაზეთიდან – სოფელში 1500-მდე ოჯახი ცხოვრობს.

მთავარი ქუჩა, რომელიც სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს, ცარიელია. დიდი ხნის შემდეგ პირველი შემოდგომაა, როცა ამ გზაზე ავი ძაღლების თანხლებით საძოვრებიდან ცხვრებს არ მოერეკებიან.

სოფლის ცენტრში სათემო ფონდ „კოდორის" ოფისია. ნინათ აქ მაღაზია იყო, მერე ადგილობრივებს ჩაიხანის გახსნა უნდოდათ, მაგრამ საბოლოოდ შენობის რამდენიმე ოთახი სოფლის ქალებმა იყიდეს, ახალგაზრდებისთვის კომპიუტერული ცენტრი და ბიბლიოთეკა მოაწყვეს. თვითონაც აქვე იკრიბებიან, წერენ პროექტებს, განცხადებებს, გეგმავენ შეხვედრებს, ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს, ეხმარებიან სკოლას, საბავშვო ბაღს და აკეთებენ ყველაფერს, რისი გაკეთებაც სოფლისთვის შეუძლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ქუჩა, რომელიც სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს, ცარიელია. დიდი ხნის შემდეგ პირველი შემოდგომაა, როცა ამ გზაზე ავი ძაღლების თანხლებით საძოვრებიდან ცხვარს არ მოერეკებიან.

სათემო ფონდს ნორა გურჩიანი და ნელი ანსიანი ხელმძღვანელობენ. უკვე სამი წელია, ფონდი სოფელ წინწყაროში მცხოვრებ რამდენიმე ქალს და ახალგაზრდების ჯგუფს აერთიანებს.

„მივხვდით, რომ, თუკი ჩვენ არ ამოვიღებდით ხმას, არ გავაგებინებდით სხვებს ჩვენს შესახებ, ისე არაფერი შეიცვლებოდა. ვხედავდით, რომ პრობლემა, რაც ჩვენს ოჯახებს აწუხებდა, საერთო იყო სოფლისთვის, იგივე აწუხებდა დევნილ, აზერბაიჯანელ თუ ეკომიგრანტ ოჯახს. ამიტომ საერთო პრობლემების მოგვარებით დავიწყეთ“, – ამბობს ნორა გურჩიანი.

მანამდე იყო ომი. ნორა დევნილია. 2008 წელს, კოდორის დაბომბვის შემდეგ ზემო აფხაზეთიდან ათეულობით ოჯახი გამოიქცა. მათ შორის იყო ნორას ოჯახიც. რამდენიმე თვე დევნილებისთვის გამოყოფილ საერთო საცხოვრებელში გაატარეს, შემდეგ წინწყაროში დასახლება შესთავაზეს. ფიქრობდნენ, რომ სოფლის მეურნეობისთვის ეს უკეთესი ადგილი იყო, უმუშევრობისას ოჯახისთვის სამყოფ საკვებს მაინც მოიწევდნენ. თავდაპირველად სოფელში 29 ოჯახი ჩაასახლეს, შემდეგ კიდევ რამდენიმე. კოდორიდან დევნილია ნელი ანსიანიც.

სახლები, სადაც ცხოვრობენ, ოდესღაც ბერძნებს ეკუთვნოდათ. სოფელი ოცი წლის წინ დატოვეს. ახლა ეს სახლები დევნილთა სამინისტროს საკუთრებაა.

სოფლის მცხოვრებლებს საწუხარი არ აკლდათ. სასმელი და სარწყავი წყლის უქონლობა. გაზი, რომელიც წლებია, დაპირებების ნუსხაშია. ცხვრის ფარა გზაზე და მისგან მთელ სოფელს მოდებული ანტისანიტარია. სკოლა, სადაც ბავშვებს არც გათბობა აქვთ და არც სველი წერტილები. დაუკანონებელი სახლები, რის გამოც დევნილებს სხვადასხვა სირთულე ექმნებათ.

ერთ დღესაც ნელი მორიგ განცხადებას წერდა, როცა ფონდ „ტასოს“ მისამართს გადააწყდა. ნახა, რომ ფონდი სოფლებში, დევნილთა დასახლებებში აქტიურად მუშაობდა. დაუკავშირდა. მას შემდეგ ფონდი თემის მუდმივი გულშემატკივარი გახდა. მათგან ბევრი რამ ისწავლეს. თავდაპირველად რამდენიმე საინიციატივო და თვითდახმარების ჯგუფი ჩამოაყალიბეს, სადაც ქალებთან ერთად ახალგაზრდებიც გაერთიანდნენ. ახლა ამბობენ, რომ დიდი მოთმინების და შრომის ფასად ყველაფერს გაუმკლავდნენ, პროექტების წერაც ისწავლეს და სოფელში გამოკითხვების ჩატარებაც.

„პირველ რიგში, აქ რომ ვცხოვრობთ, ეს უნდა დაგვეტყო სოფლისთვის. დასუფთავების აქციები მოვაწყვეთ. თითქმის მთელი სოფელი გამოვიდა. ქუჩები, მთავარი გზა, სკოლის და ეკლესიის მიდამოები დავასუფთავეთ“, – ამბობს ნორა გურჩიანი.

მერე სოფელი ჩამოიარეს, ოჯახები გამოკითხეს და პირველადი პრობლემები გამოყვეს.

გზა ცხვრებისთვის – ეს იყო ერთ-ერთი საკითხი, რომელიც სოფელს განსაკუთრებით აწუხებდა. გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ორ-ორი თვე ყოველდღიურად საძოვარზე მიმავალი ასიათასობით ცხვარი სოფელზე გადიოდა. მთავარ ქუჩაზე, სადაც საბავშვო ბაღიცაა და სახლებს შორის მოქცეული გზა – არც ისე ფართო, ცხვრების გასაფანტი ადგილი არ რჩებოდა, ამიტომ სასწრაფო დახმარების მანქანას თუ, უბრალოდ, სოფლის „მარშუტკას“ საათობით უნდა ეცადა, სანამ ფარა სოფელს ჩაივლიდა. უკან კი მტვერი და ძაღლებისგან დაკბენილი ადამიანები რჩებოდნენ. სოფელში კარგად ესმოდათ, რომ მწყემსებიც ცუდ დღეში იყვნენ, შემოვლითი გზა არ არსებობდა, ამიტომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს ალტერნატიული გზის გაკეთებას სთხოვდნენ.

„ვერ დავიბრალებთ, რომ ის გზა ჩვენ გავაკეთეთ, უბრალოდ, ვასახელებდით სხვა პრობლემებთან ერთად. ეს საკითხი ძალიან გვაწუხებდა. განცხადებები შევიტანეთ სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებში. საბოლოოდ, ორგანიზაცია „მერსი ქორფისა“ და რაიონის თანადაფინანსებით, ალტერნატიული გზა გაკეთდა, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემოდგომას ცხვრის ფარას არ ჩამოუვლია. არავის სჯეროდა, რომ ეს გაკეთ-

დებოდა, ეგონათ, სულ ასე უნდა ევლო ამ ცხვარს. ჩვენ კი ვერ შევეგუეთ, არ ვიჯერებდით, რომ ამის შეცვლა შეუძლებელი იყო", – ამბობს ნორა გურჩიანი.

სოფლის სკოლაში ოთხასამდე ბავშვი სწავლობს. ავარიულ შენობას რეაბილიტაცია სჭირდება. სველი წერტილები მოშორებით, ეზოს ბოლოში დგას. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს სკოლაში სიარული განსაკუთრებით უჭირთ, მით უმეტეს – ზამთარში. ქალები წუხან, სკოლის ამბავს ყველგან ჰყვებიან. განათლების სამინისტროში უთხრეს, რომ სკოლის რემონტი 2016 წელსაა ჩანიშნული. ამის იმედად ვერ იქნებიან. უკვე ზამთარია, ამიტომ ცდილობენ, საკუთარი სახსრებით და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით სკოლაში გათბობის პრობლემა მაინც მოაგვარონ.

სოფელში ჩასახლებულ დევნილებს საცხოვრებლის დაკანონების საკითხი აწუხებთ. სახლები, სადაც ცხოვრობენ, მათი არ არის. ამის გამო გაზის შეყვანასაც ვერ ახერხებენ. სოფელში გაზიფიცირება გაჭიანურდა. ბუნებრივი აირი სოფლის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს. დანარჩენები შეშით თბებიან. ნელი ანსიანი ოთხი წელია, გამგეობასა და სახელმწიფო უწყებებში განცხადებებს გზავნის, მაგრამ, როგორც ამბობს, პასუხი ვერ მიიღო.

„ლიბერალი" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ წინწყაროში ჩასახლებულ დევნილებს სახლები წლის ბოლომდე დაუკანონდებათ.

2013 წელს ქალებმა სათემო ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს. ნორასთან და ნელისთან ერთად ფონდში კიდევ ორი ქალი მუშაობს.

წინწყაროს სათემო ფონდში ამბობენ, რომ სოფელში არსებულ თითქმის ყველა პრობლემას ეხებიან, ნაწილის მოგვარებას ახერხებენ, ნაწილისას ვერა, თუმცა ძალისხმევას არ იშურებენ.

სოფლის საბავშვო ბაღისთვის, სადაც არც ისე ცოტა ბავშვი დადის, ორი ოთახი საკმარისი არ იყო, ბავშვებს თამაშისთვის სივრცე არ ჰყოფნიდათ. ქალებმა მოახერხეს, სათამაშოებსა და ინვენტართან ერთად ბაღისთვის დამატებით ერთი ოთახიც იყიდეს.

მერე სოფლის ამბულატორიაშიც შეიარეს და იკითხეს, რა სჭირდებოდათ. მცირე თანხა მის მოწყობაზეც გამოყვეს. მეზობელი სოფლის ახალგაზრდების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლისთვის საკრავები და ინტრუმენტები შეიძინეს. ამჟამად სოფელში სკვერის მოწყობაზე მუშაობენ.

წიგნის წასაღებად თუ კომპიუტერთან სამუშაოდ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ხშირად ფონდის ოფისში დადიან. ერთი ოთახი შეხვედრების დარბაზს უჭირავს, სადაც ახალგაზრდები და სოფლის მცხოვრებლები იკრიბებიან. ფონდში ახალგაზრდულ ჯგუფს ნანა სტეფლიანი ხელმძღვანელობს. ოფისი ფონდ „ტასოს" და „საქართველოს კარიტასის" დახმარებით იყიდეს. ამბობენ, რომ ახლა ეს ადგილი საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. ეთნიკური უმცირესობების ადა ეკომიგრანტებისთვის კომპიუტერის შემსწავლელი კურსებისა და ქართული ენის წრის გახსნასაც აპირებენ. ქალები აქ თითქმის ყოველდღე იკრიბებიან, ერთმანეთს ინფორმაციას უცვლიან, სამომავლო გეგმებზე საუბრობენ, პარტნიორებთან კონტაქტს ინარჩუნებენ. ოფისისთვის სამზარეულოსთან ერთად რამდენიმე ლეიბიც შეიძინეს. ამბობენ, რომ სოფელში თუ ვინმეს დასჭირდება, ფონდს მათი შეფარებაც შეუძლია.

ნორას, ნელის და სხვა ქალების ძალისხმევით, ერთ პატარა სოფელში, რომლის სახელიც დანარჩენ ქვეყანას მხოლოდ სიმღერას ახსენებს, სადაც, ათეული წლის განმავლობაში უცვლელ სოფლის ცხოვრებას, თავისი გადაუჭრელი პრობლემებით თითქოს ყველა შეეგუა, ქალები სახლებიდან გამოვიდნენ. გააცნობიერეს, რომ მათ დასახმარებლად არავინ გამოჩნდებოდა, თვითონ უნდა მიეწვდინათ ხმა სხვებისთვის, თავიანთი, შვილების, ქმრების, მეზობლების ცხოვრების შესაცვლელად.

ქალები სახლებიდან გამოვიდნენ. გააცნობიერეს, რომ მათ დასახმარებლად არავინ გამოჩნდებოდა, თვითონ უნდა მიეწვდინათ ხმა სხვებისთვის, თავიანთი, შვილების, ქმრების, მეზობლების ცხოვრების შესაცვლელად.

Istanbul
მოგონებების ქალაქი

დათო როსტომაშვილი

დიდი დრო არ დაგვჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად. ნავიდეთ სტამბოლში! თან დასავლების სეზონიც ახლოვდებოდა და რამე ხომ უნდა გვექნა. მთლად სპონტანურსაც ვერ დაარქმევ ჩვენ გადაწყვეტილებას. მე, სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის ნახვა მინდოდა, ანის, ჩემს ცოლს, კი უმანკოების მუზეუმის დათვალიერება. ხოდა, ასე მოვხვდით სტამბოლში, მოგონებების ქალაქში.

მე ჩემი მიზანი სანახავროდ შევასრულე, რის შემდეგაც „საეკლესიო" ღირსშესანიშნაობების დათვალიერების დროც დადგა. ქალაქი იმდენად დიდია, ყველაფრის ნახვას ვერ ასწრებ. ტურისტულ გზამკვლევებში შეტანილი ადგილების გარდა მოვახერხე ქალაქის სხვა საინტერესო კუთხე-კუნჭულებში მოხვედრაც. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საინტერესო ფოტოების გადასაღებად მოგზაურობის ეს მეთოდი უფრო მეტად ამარილებს. საერთოდ, ყველა ასეთ გასეირნებას, გულში მოგზაურობას ვეძახი. ასე უფრო ადვილად ერთვები ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმედია დამეთანხმებით, რომ ყოველთვის უფრო საინტერესოა ის, რაც ფასადის მიღმა იმალება. გადაუხვევ მთავარი გზიდან და აღმართ-დაღმართ ჩაუყვები ვინრო ქუჩებს, ათვალიერებ სახლებს, რომელთაგან ზოგი გამორჩეულად მოგწონს, ფიქრობ: ვინ ცხოვრობს შიგნით? რა ისტორიის მატარებელია? აგრძელებ სეირნობას, გხვდებიან ადამიანები საინტერესო სახეებით, აკვირდები და აფასებ, ცდილობ, გამოიცნო, ვინ არიან. ზოგი გაქცევს ყურადღებას, გაგიჩნევს, ზოგი არა – გარეულები არიან თავიანთი ყოფით და სულ არ სცალიათ შენთვის. გადის დრო და ნელ-ნელა გიჩნდება სასიამოვნო შეგრძნება, რომ შენ, თუნდაც დროებით, ამ ქალაქის ნაწილი ხდები. განაგრძობ გადაღებას და ზუსტად იცი: სახლში დაბრუნებული ჩაუჯდები ფოტოებს, დაათვალიერებ მათ და დაგეუფლება განცდა, რომ ისევ იქ, მოგონებების ქალაქში ხარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპრიზო, სასტიკი და იისფერი...

თბილისის მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალი

დავით ბუხრიკიძე

„სამშობლო“

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უკეთესია, თავიდანვე განვმარტოთ, რა იგულისხმება სათაურში:

უპრიზო იმიტომ, რომ თბილისის მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზები ფორმალურად არავისთვის გადაუციათ. უბრალოდ, ოქრომჭედლებმა ვერ მოასწრეს ოქროსა და ვერცხლის „პრომეთეების“ დამზადება, რადგან ფესტივალის დახურვა 6 დეკემბერს ეგონათ. არადა, გამარჯვებულები 5 დეკემბერს, კინოთეატრ „ამირანში“ უნდა დაეჯილდოებინათ. ფესტივალის ორგანიზატორებმა იოხუნჯეს – არა უშავს, გამარჯვებულებს პრიზებს გზაში დავაწევთო და მხოლოდ სიგელების გადაცემით შემოიფარგლნენ. თუმცა „დააწიეს“ თუ არა მეორე დღეს პრიზები გამარჯვებულებს, თუნდაც აეროპორტში, ჩვენთვის უცნობია.

სასტიკი იმიტომ, რომ ფესტივალის ათი საკონკურსო ფილმიდან უმრავლესობა დამთრგუნველი სოციალური შინაარსისაა; საკმაოდ მძიმედ „მოსანელებელი“ და ალაგ-ალაგ სანიმუშოდ დრამატული. მაგალითად, სლოვაკი რეჟისორის, ივან ოსტრახოვსკის ფილმში „თხა“ ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ყოფილი პროფესიონალი მოკრივე, ფულის გამო კერძო ორთაბრძოლებში მონაწილეობს, მუდმივად მარცხდება და ტვინის შერყევა ემართება. ან ბულგარელი რეჟისორის, კრისტინა გროზევას ფსიქოდრამა „გაკვეთილი“, რომლის მთავარ გმირს, ინგლისურის მასწავლებელს, ლამის დაუნდობელი ბრძოლა უწევს თავისი სახლის გადასარჩენად, რადგან ბანკის ვალი

აქვს და გამოსყიდვას ყველანაირი მეთოდით ცდილობს (მოკლედ, ნუცა ალექსი-მესხიშვილის „კრედიტის ლიმიტის“ ბულგარული ვარიანტია). შეიძლება წლევანდელი „ვერცხლის პრომეთეს“ მფლობელი რეჟისორის (ოღონდ ვირტუალურად), იონას კარპინიანოს „ხმელთაშუა ზღვისპირეთიც“ გავიხსენოთ, რომლის მთავარი გმირი – აივა, ბურკინა ფასოდან სამხრეთ იტალიაში ჩადის და საშინელ პირობებში უწევს ცხოვრება. ადგილობრივ მოსახლეობასთან დაძაბული ურთიერთობის შემდეგ კი მისი დარჩენა და მით უმეტეს, ლეგალური მუშაობა ფიზიკურად სახიფათო ხდება...



„ხმელთაშუა ზღვისპირეთი“

„გაკვეთილი“

იისფერი იმიტომ, რომ წლევანდელი ფესტივალის ძირითადი თემა ქალთა უფლებები, მათი ბიოგრაფიები, ფსიქოდრამები და პრობლემები იყო. აქედან გამომდინარე, ორგანიზატორებმა სიმბოლურად სწორედ იისფერი შეარჩიეს: ფესტივალის აფიშები, პლაკატები, ბუკლეტები, პოსტერები... გარდა ამისა, სპეციალურ პროგრამაში „ქალთა ხედვა“, მაყურებელს შეეძლო ქალ რეჟისორთა უამრავი ფილმი ენახა. მათ შორის გამოვყოფთ არგენტინელი რეჟისორის, სანტიაგო მიტრეს „პაულინას“. ახალგაზრდა ადვოკატი პაულინა მოულოდნელად უარს ამბობს წარმატებულ კარიერაზე და არგენტინის ერთ-ერთ გაჭირვებულ რეგიონში მასწავლებლობას გადაწყვეტს.

ასევე დამაინტრიგებელია მიჰალ ვინიკის ფილმი „ბარაში“, რომელიც ისრაელში ახალგაზრდა ქალების იდენტობის პრობლემებს იკვლევს. აღმოჩნდება, რომ ახალგაზრდა თაობის შეხედულებები სექსის, ნარკოტიკებისა და სიყვარულის შესახებ ძალიან განსხვავებულია.

რეჟისორ ლესლი უდვინის ფილმი „ინდოეთის ქალიშვილი“ 2012 წლის დეკემბერში დელიში მომხდარ სასტიკი ჯგუფური გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტს ასახავს. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გოგონას მხეცურმა მკვლელობამ, მართლაც, საპროტესტო გამოსვლები და ამბოხება გამოიწვია მთელ ინდოეთში.

საკონკურსო პროგრამიდან რამდენიმე დასამახსოვრებელი ფილმი შეიძლება გამოვყოთ. პირველ რიგში, იტალიელი რეჟისორის, ლაურა ბისპურის „აღთქმადადებული ქალწული“. მთავარი გმირი, ჰანა ალბანეთის მთიან სოფელში ცხოვრობს. ცდილობს, როგორმე თავი დააღწიოს ფსიქოსექსუალურ მარწუხებს და სურს, მამაკაცივით იცხოვროს. ამისათვის კი ძველი ალბანური წესი უნდა შეასრულოს – სამუდამო ქალწულობის პირობა დადოს!! წლების შემდეგ, ჰანა სახელს იცვლის, სახლს ტოვებს და ჩრდილო იტალიაში, დასთან მიემგზავრება. ის თითქოს ხელახლა აღმოაჩენს თავის თავს, სხეულს, შეგრძნებებს. რაც დააფიქრებს, რომ მკაცრი აღთქმა, რომელიც დიდი ხნის წინათ დადო, შეიძლება მაინც დაარღვიოს.

მხატვრული თვალსაზრისით, „გაკვეთილი“ და „აღთქმადადებული ქალწული“ საკონკურსო პროგრამის გამორჩეული ფილმები იყო, თუმცა საერთაშორისო ჟიურიმ (თავმჯდომარე მარტა ფაინსი, ფილმების – „ევგენი ონეგინისა“ და „ქრომოფობიის“ რეჟისორი) უპირატესობა თურქი რეჟისორი ქალის, სენემ თუზენის „სამშობლოს“ მიანიჭა. „ოქროს პრომეთეც“ საუკეთესო ფილმისათვის სწორედ მას მიეკუთვნა... უფრო ზუსტად, დახურვის ცერემონიაზე მას უნდა გადასცემოდა.

...ახალგაზრდა მწერალი ნესრინი ცდილობს, განქორწინებით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრავმები მოიშუშოს. ამიტომ სტამბოლში პრესტიჟულ სამსახურს ტოვებს და სოფელში, გარდაცვლილი ბებიის სახლში ბრუნდება. ამავე დროს, რომანის დაწერას აპირებს და კონფლიქტი აქვს კონსერვატორული შეხედულებების დედასთან. ნესრინი ვერ ახერხებს შემოქმედებით კონცენტრაციას და რომანის დასრულებას. მისი ცხოვრება სოფელში ნელ-ნელა კოშმარს ემსგავსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღთქმადადებული ქალწული“

„ბუნკერი“

რეჟისორი მტკივნეულად და ზუსტად წარმოაჩენს თანამედროვე თურქეთის პრობლემას, სადაც ქალაქში გაზრდილი ახალგაზრდების შეხედულებები ტრადიციისა და რელიგიის შესახებ სრულიად არ შეესაბამება მშობლების თაობის წარმოდგენებს და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახალგაზრდა თურქი ქალების შემთხვევაში.

ორიგინალური ესთეტიკით გამოირჩევა გერმანული ფილმი „ბუნკერი“ (რეჟისორი და სცენარის ავტორი ნიკიას ქრისოსი, ოპერატორი მათიას რაისერი). ახალგაზრდა სტუდენტი ტყეში, მიწისქვეშა ბუნკერში ქირაობს ბინას, სადაც უცნაური ოჯახი ცხოვრობს. მას აკადემიური სამუშაოს დასრულება სურს, თუმცა მშობლებს თავიანთი რვა წლის შვილის, კლაუსის განათლება უფრო აღელვებთ, ამიტომაც სტუდენტს რეპეტიტორობას სთავაზობენ. სულ მალე გაკვეთილები ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ტერორად იქცევა! ფილმის ღირსება პირველ რიგში სპეციფიკური შავი იუმორი, ნატურალიზმი და განსაკუთრებული რეტროგამომსახველობაა, რომელიც რაღაცით ფოლკერ შლონდორფის ცნობილ ფილმს, „თუნუქის დოლს“ წააგავს.

საკონკურსო პროგრამის კიდევ ერთი საინტერესო ფილმია „პიკადერო“ (რეჟისორი ბენ შეროკი). ესპანეთში ეკონომიკური კრიზისის გამო, ახალგაზრდა, ღარიბი წყვილი ცალკე ცხოვრებას ვერ ახერხებს. ახალგაზრდებს არც სასტუმროს ნომრის დასაქირავებლად აქვთ ფული, ამიტომ იძულებულები არიან, შეხვედრისთვის საზოგადოებრივი ადგილებით ისარგებლონ, რომელთაც ადგილობრივები „პიკადეროებს“ უწოდებენ. თუმცა ყველაფერი არც ისე ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და სიყვარულში ეკონომიკური კრიზისი დრამატულად ერევა.

ფესტივალზე ქართული ფილმებიდან მაყურებლის ყურადღებას, პირველ რიგში, გახსნასა და დახურვაზე წარმოდგენილი „მოირა“ და „ბედნიერების ღმერთი“ იპყრობდა. ლევან თუთბერიძის „მოირამ“ უკვე მოიარა საერთაშორისო კინოფესტივალები, ხოლო მთავარი არტდეგუსტაცია სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიარა. დავით ფირცხალავას საინტერესო სცენარი და ფილმის ახალგაზრდული „დრაივი“ (ზღვისპირა ქალაქში მცხოვრები ოჯახის ისტორია, საავარძელს მიჯაჭვული მამა, საბერძნეთში წასული დედა და უმუშევარი ძმები) თითქოს გვაბრუნებს ნეორეალიზმის მითოლოგიურ სამყაროსთან. იგრძნობა ვისკონტის ადრეული ფილმების გავლენაც (შეიძლება გავიხსენოთ „მიწა ზანზარებს“ და „როკო და მისი ძმები“), თუმცა დეპრესიული, სწორხაზოვანი თხრობა და იოლად გამოსაცნობი ფინალი შთაბეჭდილებას მაინც აფუჭებს. ნებისმიერ შემთხვევაში, აღსანიშნავია ახალგაზრდების, პაატა ინაურისა და გიორგი ხურცილავას სამსახიობო დუეტი.

ფესტივალის დახურვის დღეს „ამირანში“ დიტო ცინცაძის ახლახან დასრულებული ფილმი „ბედნიერების ღმერთი“ უჩვენეს. შტუტგარტის გარეუბანში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი-რეჟისორი გიორგი (ამ როლს ლაშა ბაქრაძე ოდნავ ხელშესახები დრამატიზმით და უფრო მეტი ირონიით თამაშობ), ბედის დაცინვით, სექსინდუსტრიაშია ჩაბმული. მისი მეგობარი, აფრიკელი ნგუდუ მდიდარ ქალბატონებს სექსმომსახურებას სთავაზობს, ხოლო მოცალეობის ჟამს მედიტაციას მიმართავს და ბედნიერების ღმერთს ხმამაღლა უხმობს. მალე გერმანიაში მისი ქალიშვილი თინა ჩადის, რომელიც განქორწინების შემდეგ არც უნახავს. გიორგის დიდი ფანტაზია და გამომგონებლობა სჭირდება, რომ ქალიშვილი როგორმე მოატყუოს, თუმცა ბოლოს ყველაფერი ირკვევა და თინა თავადვე ხვდება ყველაფერს. ამავე დროს, თავადაც ატყუებს მამას, რომ პარიზის საბალეტო სკოლაში ჩააბარა...

დიტო ცინცაძის ფილმი, გარკვეუ-

„პიკადერო“



„მოირა“

ლწილად, იმეორებს „დაკარგული მკვლელების“ თემებს, ინტონაციას და იძლევა ირონიული პარალელის გავლების საშუალებას. ამავე დროს, იგრძნობა „ევროპის დაისის“ თემაც, რაც ასე თვალსაჩინოდ, ხელშესახებად და ირონიულად იყო წარმოჩენილი რეჟისორის წინა ფილმში „შემოქრა“.

ვანო ბურდულის სრულმეტრაჟიან ფილმში, „გაყინული შადრევნების წელინადი“, მრავალრიცხოვანი და ოდნავ ხელოვნური პერსონაჟები (ფილმში მონაწილეობენ: ნუცა კუხიანიძე, შოთა ქრისტესაშვილი, დავით დარჩია, ნატო მურვანიძე, ია სუხიტაშვილი, გიორგი ნაკაშიძე, სანდრო გაბილაია, სალომე დემურია) თითქოს გაფანტულნი არიან ერთ ქალაქში, მაგრამ ამავე დროს საკუთარ მარტოობასა და უსასრულობაში არსებობენ. მათი ცხოვრება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, მაგრამ ხშირად არც კი იციან ამის შესახებ. თუმცა ერთი რამ ახსოვთ – როგორ გაიყინა ზამთრის ერთ ღამეს ქალაქის ყველა შადრევანი.

სამაგიეროდ, სრულიად სხვაგვარი მეხსიერება აქვს თორნიკე ბზიავას მოკლემეტრაჟიანი ფილმის, „მექელეხეს“ გმირს – ყოფილ მოცეკვავეს, რომელიც გაზეთებში ამოკითხული ნეკროლოგებიდან იგებს, ვინ გარდაიცვალა და სად არის დაკრძალვა, შემდეგ კი ქელეხს ესწრება. ფილმის ტრაგიკომიკული ინტონაციები და მახვილგონივრული დეტალები გვახსნებს სახელოვანი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ტრადიციებს. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ქართულ სრულმეტრაჟიან ფილმად პარალელური კონკურსის ჟიურის წევრებმა (ერიკა და ულრიხ გრეგორებმა) სწორედ „მექელეხე“ დაასახელეს.

ქართულ სრულმეტრაჟიან ფილმებს შორის საუკეთესოდ ჟიურიმ ზაზა ხალვაშის „სოლომონი“ მიიჩნია. ეს არის 70-წუთიანი შავ-თეთრი, ლირიკული, მაგრამ ცოტა სენტიმენტებით გაჯერებული ისტორია უცნობ, ნიჭიერ მუსიკოსზე, რომელიც საქართველოს ზღვისპირა პროვინციულ ქალაქში თავის დამკვიდრებას ცდილობს, თუმცა საკუთარ პრობლემებში ჩაფლული, გულგრილი ადამიანები და ნიჰილისტურად განწყობილი საზოგადოება სოლომონის მუსიკას მხოლოდ დღესასწაულებზე, სარდაფებსა და პლაჟზე თუ უსმენს.

ერთადერთი, ვისაც მისი მუსიკა ესმის და, საერთოდ, მისი არსებობა აღელვებს, სოლომონის პატარა ქალიშვილია, რომელიც ბავშვთა სახლში ცხოვრობს და განქორწინებულ მშობლებს იშვიათად ხედავს. თუმცა თუ ფილმს დავუჯერებთ, სოლომონის ტიპის ადამიანი შვილს ბავშვთა სახლში მაინც არ დატოვებდა. დრამატული და ოდნავ ხელოვნური ფინალი საბოლოოდ მაინც არ აფუჭებს საერთო განწყობას და ფილმი ერთდროულად სევდიანი და პოეტური გამოვიდა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი და ჭრელი პროგრამა, მათ შორის პაოლო სორენტინოს, რაინერ ვერნერ ფასბინდერის, კარლოს საურას, ოთარ იოსელიანის, ლანა ღოღობერიძის (რომელსაც, სხვათა შორის, კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური „პრომეთე“ გადაეცა), ანდრეას დრეზენის, ვიტორიო და პაოლო ტავიანების, ენდრიუს ჰაის, სებასტიან შიპერისა და სხვა ცნობილი რეჟისორების ფილმები. ეს კი იმედს გვიტოვებს, რომ მომავალი, მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი იისფერზე უფრო ფერადი, ნაკლებად სასტიკი და რეალური პრიზებით დახუნძლული იქნება.

და რაც მთავარია, ოქრო-ვერცხლით მოვარაყებულ „პრომეთეებს“ ოქრომჭედლები დროულად დაამზადებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ვირტუალურ გამარჯვებულებზე უკეთესად პრომეთეაპყრობილები გამოყურებიან. ეს უფრო ესთეტიკურია, რეალისტური და ნაკლებად შემარცხვენელი უცხოელი სტუმრების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონ ბულის ტფილისური არდადეგები

ირაკლი ხვადაგიანი

მოარული ჭორის თანახმად, ბათუმის ბრიტანელმა გუბერნატორმა, ჯეიმს კუკ-კოლისმა ჯარისკაცული პირდაპირობით ჰკითხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს – დამფუძნებელი კრების დეპუტატ მუხრან ხოჭოლავას: თქვენ მენშევიკები და ბოლშევიკები ხომ ორივე სოციალისტები ხართ და გამაგებინეთ, რა განსხვავებაა თქვენს შორის? ხოჭოლავამ სხარტად გადაწყვიტა, რომ სამხედროსთან პოლიტიკურ იდეებზე მოკლედ საუბარი არ გამოვიდოდა და უპასუხა: როგორც მუსიკაშია ორი ჰანგი – ჰარმონია და კაკაფონია ისეთივე – ჩვენ ჰარმონია ვართო.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოჩენილი გამარჯვებული მხარის – ბრიტანული არმიის სარდლობისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველი კონტაქტი და კომუნიკაცია რთული და ხისტი იყო, თუმცა მცირე ხნის შემდეგ ურთიერთობა ცივილურ და დიპლომატიურ რელსებზე გადაეწყო.

თბილისში ბრიტანული არმიის ბინადრობა დიდხანს არ დარჩენილა ქალაქის მეხსიერებაში; შოტლანდიელი „კაბიანი ჯარისკაცებით“, მათი გუდასტვირით, ჩალმიანი სიპაებით გაკვირვება, ინგლისელი ოფიცრების მექალთანეობა და დემონსტრაციული ქედმაღლობა ქალაქური ლაზღანდარობის სიუჟეტებში დაილექა და იშვიათად თუ გადაიქცა მხატვრული ნაწარმოებების სიუჟეტების ნაწილად და ისიც, როგორც უცნაური და მძიმე დროების სიმბოლოდ:

ვიღაცას ლანდი
ვიღაცას ლანდს
გულმოსული ებაასება:
საქმე ის არი,
რომ სასახლეში,
სადაც ახლა
პროფსაბჭო არის,
სადაც მუშისგან
მუშებისთვის
წყდება კითხვები,
უცერემონიოდ
გადმოეფინათ
ინგლისელებს
სველი ნიფხვები.
ალბათ, ამას
დემონსტრაციის
სახე თუ ჰქონდა,
თორემ ცივ ზამთარში,
ისიც შუაღამისას,
სოველ ნიფხვებს
რა გააშრობდა?

შემდგომ წლებში საბჭოთა პროპაგანდა გამუდმებით ცდილობდა საქართველოში ბრიტანული მისიის და არმიის მოქმედება მუქ ფერებში დაეხატა: მათი სახით პირსისხლიანი და ხარბი იმპერიალისტი ინტერვენტები წარმოედგინა, რომლებიც დაუკითხავად პარპაშებდნენ ქვეყანაში და თავიანთ ნებაზე ატრიალებდნენ „მენშევიკების“ უსუსურ, უპრინციპო და მოლაქუცე მთავრობას.

თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე და თბილისში ბრიტანული არმიის და დიპლომატიური წარმომადგენლობის გამოჩენისა და განთავსების პროცესზე დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ კომუნი-

ფოტო: ლევან ხარბედია

კაციის ორივე მხარეს ცივილიზებული სახელმწიფოები იდგნენ, რომლებიც პირველ რიგში კანონს და სამართალს აფასებდნენ, ძალების პროპორციის მიუხედავად.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიამ 1919 წლის აპრილიდან დაიწყო შესაბამისი შენობის შერჩევა თბილისში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასურველი სახლების სია გადაუგზავნა, თუმცა ყველა მათგანზე დასაბუთებული უარი მიიღო; ამ დროისათვის ქალაქში საბინაო კრიზისი მძვინვარებდა და როგორც იტყოდნენ „ხალხი პირდაპირ ქუჩაში ეყარა“, ყოფილი მეფის რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებების შენობებში კი დამოუკიდებელი რესპუბლიკის უწყებები ასხდნენ ერთმანეთს. მოთხოვნილი შენობებიდან პეტრე დიდის ქუჩის №14-ში უკვე საერობო ბიურო იყო შესახლებული, ამავე ქუჩის №8 სახლში, სადაც თავადვე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო განთავსებული, სასურველ მე-4 სართულზე განათლების სამინისტრო იყო შეხიზნული, პასკევიჩის ქუჩის №1-ში კი ყოფილი საგუბერნიო სამმართველოს ლიკვიდაცია მიმდინარეობდა. ბრიტანეთის მისიის გამუდმებულმა შეხსენებებმა გაჭრა და ერთი თვის შემდეგ, როგორც იქნა, სამინისტრო პასკევიჩის (ამჟამინდელი ქიქოძის) №1 სახლის გადაცემაზე დაჰყაბულდა, თუმცა მისიას საკუთარი საბარგო ავტომობილის ამუშავება მოუწია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანული არმიის დაზვერვის შტაბი ამიერკავკასიაში. (ეროვნული არქივი)

შენობიდან საგუბერნიო სამმართველოს არქივი დროულად გადაეტანათ და ფართი გამოეთავისუფლებინათ. საბოლოოდ, მაისიდან, ბრიტანელები შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუმეზობლდნენ, თუმცა მასთან უფრო ახლოს სამინისტროს უშიშროების სამსახური – საგანგებო რაზმი დასახლდა, რომელიც ქალაქში უსაფრთხოების გარანტიც იყო და ფხიზელი თვალიც უცხო სახელმწიფოს სამხედრო კორპუსის გარშემო.

ბრიტანული 27-ე დივიზიის შტაბი და სარდალიც სოლოლაკიდან შორს არ წასულან და, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის შესაბამისად, რტიშჩევის (ამჟამინდელი იაშვილის) ქუჩის №7 სახლში თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვის მდგმურები გახდნენ.

ბრიტანულმა არმიის სამხედრო პოლიციამ სასტუმრო მაჟესტიკის პირველი სართული შეარჩია სამოქმედოდ. არმიის შტაბის დაზვერვის სამსახური ბედის ირონიით, საპასუხოდ, სერგის ქუჩის (ამჟამინდელი მაჩაბლის) №9 სახლში განთავსდა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს – ნოე რამიშვილს გაუმეზობლდა.

ინგლისელების თბილისური „არდადეგების“ ყველაზე უცნაური კვალი, რამდენადაც ირონიული არ უნდა იყოს, მათი მთავარი მოძულეების – ბოლშევიკების წყალობით შენარჩუნდა თბილისში. 18-წლიანი ლანძღვის შემდეგ, 1938

ბრიტანული არმიის სამხედრო პოლიცია ყოფილ სასტუმრო მაჟესტიკში. (ეროვნული არქივი)

წლისათვის, როდესაც მსოფლიო მომავალი კატასტროფისა და ძალთა გადაჯგუფების მოლოდინში იყო, საბჭოთა კავშირმა ევროპული ანტიფაშისტური ბანაკის წევრ სახელმწიფოებთან დიპლომატიური მანევრების ფარგლებში მათი „ვალების გასტუმრება" – მათ შორის, რეკვიზირებული საკუთრების საკითხებზე მოლაპარაკება და კომპენსაციის გადაცემა დაიწყო. ამ კამპანიის ფარგლებში თბილისის ქალაქის აღმასკომმა არსენალის ხევის გაღმა, ყოფილი სომხური სემინარიის უკან, ბრიტანული არმიის ჯარისკაცების საძმო სასაფლაო მოძებნა და კაპიტალურად გაამაგრა.

დროთა განმავლობაში სასაფლაო დასახლებამ შეავიწროვა. საბჭოთა კონსტრუქციებიც მოინჯღრა და კვალი წაიშალა, თუმცა მომიჯნავე ოჯახმა უკვე საკუთარ ეზოში მოქცეული ნაკვეთი მაინც ხელუხლებლად შეინარჩუნა.

2000 წლისათვის ოჯახმა ბრიტანეთის საელჩოს სასაფლაოს არსებობა შეახსენა და ბრიტანეთის სამხედრო სასაფლაოების კომისიამ საირმის ქუჩის №7-ის ეზოში მემორიალი განაახლა.

ყოველწლიურად, 11 ნოემბრის უახლოეს კვირადღეს, თბილისში, დავით მჭედლიშვილის ეზოში ბრიტანული არმიის, სამეფო ფლოტისა და ინდოეთის არმიის უცნობ ჯარისკაცებს იხსენებენ, რომლებიც პირველი, არნახულად სასტიკი ომის ქარცეცხლმა თბილისში გამორიყა და სამუდამოდ აქ დაასახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი სკოლაში

აკა მორჩილაძე

ფოტო: გიორგი ბუხაიძე

წლევანდელი წელი ხომ რაგბისა იყო. ამ ომებსა და უბედურებაში, სამყაროს ალმოდებულ ალაგებში რომ ყოველდღიურობად იქცა, ტერორსა და ურჩხულთა გამოღვიძებაში, რაგბის მსოფლიო თასმა ისეთი დღესასწაული შექმნა, რომელიც, ალბათ, ბევრისთვის იყო სულის მოსაბრუნებელი და გასახარელი ამბავი.

ამ საქმეში საქართველოს რაგბის ნაკრებიც გაერია და თავისი უკეთესობით და წინსვლით კიდევ ერთხელ შეახსენა თავის ქვეყანას, რომ შეუძლია ხალხისა და ქვეყნისთვის მყარ და საკუდამო საყრდენად იქცეს, არა მხოლოდ როგორც სპორტი და სანახაობა, არამედ, როგორც ცხოვრების სტილი, ერთგვარი ადათი და აღზრდის ერთ-ერთი საქვეყნოდ მიღებული საშუალება.

რაგბი, ალბათ, ერთადერთი თამაშია დედამიწის ზურგზე, სადაც წაგება მაინცდამაინც წაგებას არ ნიშნავს და სადაც დამარცხებულის უნარებსა და ღირსებას ისეთივე ინტერესით გაჩხრეკენ, როგორც გამარჯვებულისას და თავად დამარცხებულიც, დამარცხებულისთვის თანამდევი ჩვეული განცდებით კი არ ტოვებს მინდორს, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“
ლიბერალი

დახარჯული, ვალმოხდილი და მომავლის იმედით სავსე.

შეჯიბრებისთვის მოულოდნელი ამგვარი თვისება რაგბის მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ გუნდურ თამაშთაგან ის ერთადერთია, რომელშიც ერთობის გარეშე არაფერი გამოვა.

ნამდვილ ბრძოლაშიც კი, ომსა და ბათქაბუთქში, არც თუ პატიოსნებით შეპყრობილ ჯარისკაცს შეუძლია თავი შეინახოს, ისე იბრძოლოს, რომ ხიფათს მოერიდოს და გამარჯვების თანამონაწილედაც ისე იგრძნოს თავი, როგორც სხვებმა, თავდადებულებმა. და მეტიც, ჯილდოც კი დაიმსახუროს.

რაგბიში კი ამგვარი რამ არ გამოვა, რადგან ამ თამაშის აუცილებელი პირობა ერთობაა. ისეთ რთულ თამაშებშიც კი, როგორიც ფეხბურთია, მოთამაშეს შეუძლია ამგვარი ჯარისკაცივით მოიქცეს, ან კიდევ უბრალოდ ითქვას, რომ მას „თამაში არ წაუვიდა“, გუნდმა კი მაინც მიაღწიოს თავისას, გაიმარჯვოს.

რაგბიში ეს ამბავი, ალბათ, პირიქითაა. ყველამ ყველაფერი უნდა გაიღოს, შევიდეს ხშირად წინასწარ ცხადად წასაგებ ბრძოლაში და სახელი და დიდებაც ამით დაიგდოს. გაიმარჯვებს თუ დამარცხდება რაგბის მოთამაშე, ის ერთი განწყობით შედის თამაშში. ეს არის ერთიანობის, უპირობო ურთიერთდახმარების, ერთმანეთის გატანის სული. თუ ეს სული არ არის, რაგბიც არ არის.

კიდევ ერთი ამბავი ისაა, რომ ეს ყველაფერი რაგბიში ისე ცხადად ჩანს, მაყურებელს ხშირად უფრო გაიტაცებს ხოლმე, ვიდრე თავად თამაში. ალბათ, რაგბი საუკეთესო სკოლაა ახალგაზრდებისთვის. შესაძლოა, სპორტის სხვა სახეობებს მეტი არტისტიზმი ჰქონდეს, მეტად აჩვენებდეს მოზარდის ნიჭს, მასში ჩართულმა ბავშვმა მეტი სიმსუბუქე, წარმოსახვა, იმპროვიზაცია გამოავლინოს, მეტადაც გაერთოს მასში ჩაბმული ბიჭი, ან გოგო, მაგრამ არც ერთი ამ სპორტთაგანი ისე მკვეთრად არ გააღვიძებს, არ ჩამოქნის და სამუდამოდ არ დატოვებს ყმაწვილის გულსა და გონებაში ძმობის, ერთობის, თანადგომის შესაშურ თვისებებს, როგორც რაგბი.

ეს თამაში, სკოლაა. ეს აუცილებელი სასკოლო თამაშია. არც ერთი სხვა თამაში არ არის ამგვარი ხარისხის სკოლა. კი, ყველას

შეჯიბრებისთვის მოულოდნელი ამგვარი თვისება რაგბის მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ გუნდურ თამაშთაგან ის ერთადერთია, რომელშიც ერთობის გარეშე არაფერი გამოვა.

აქვს თავისი, ყველა, ასე თუ ისე, ზემოქმედებს ხასიათსა და აღზრდაზე, მაგრამ ასე მკვეთრად, ასე სამუდამოდ, ასე საინტერესოდ – არც ერთი. ვისაც თუნდაც შორიახლოს გაუვლია სარაგბო თემთან, ეს კარგად იცის.

იმ დროიდანაც კი, როცა რაგბი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ამ თემის თამაში იყო და რაღაც ახირებულ გატაცებად აღიქმებოდა, რომელშიც ახალგაზრდებს, თითქოსდა სიამოვნებთ ტალახში გორაობა და ერთმანეთის თავ-პირის ლეწვა. დედათა მხრიდან დღესაც ხშირად გაისმის, რომ ბავშვს დასალეწად არ გაიმეტებენ, თუმცა ეს მაინც უკვე საბოლოოდ ჩავლილი ამბავია.

რაგბი საქართველოში საქვეყნო თამაშად იქცა და ის ამ ქვეყნის ერთ-ერთი სახეა. ალბათ, ყველაზე ცნობადი სახეც. როგორ მოახერხა ამ თამაშმა ის, რომ ხალხის გულებში აფრთხიალდა, საიდუმლო არ არის და წინ, ალბათ, მეტი და მეტი იქნება. მთელ ამ მომაბეზრებელ თხრობას რომ შევეშვათ, არ ვიცი, როგორ და რა ხერხებით, მაგრამ გადასარევი იქნებოდა, რაგბის სკოლის კარი შეეღო, მეტიც, ჩვენი დავიწროებული და გარაჟებადქცეული ეზოებიც შეევსო.

სახელმწიფო პროგრამა ჰქვია ამას, თუ რაც ჰქვია, დიდებული კი იქნებოდა, სკოლაში მათემატიკასთან ერთად რაგბიც გაგვევლო. უმეტესად ასეა იქ, სადაც რაგბი დიადი და ეროვნული თამაშია და ჩვენთან რაგბის ეტყობა, რომ დიადი და ნამდვილი ეროვნული თამაში უნდა გახდეს მყარად და სამუდამოდ, ხოლო ოვალურმა ბურთმა სრულიად მოულოდნელ ადგილებში გაიფრინოს ჩვენს თვალწინ.

ჰოდა, ასე მგონია, რომ რაგბი სასკოლო თამაში უნდა გახდეს.

ალბათ, ხარჯიანი საქმეა და ძნელიც. ამ ქალაქში ფეხის ჩასადგმელი ადგილიც არ დატოვეს, მაგრამ საქართველო მხოლოდ თბილისი არ არის და მინდორიც და ლაღი ადგილიც ბევრგანაა. ხარჯიანი, თუმცა შედეგი დიდებული იქნება. მაინცდამაინც სპორტული კი არა, საქვეყნო, იმიტომ, რომ რაგბი თავადაა სკოლა. ჰოდა, მოგვეტანა ეს სკოლა სკოლაში.

რა ვიცი. საშვილიშვილო ამბავი იქნებოდა.

რაგბი არის ღონიერი კაცების თამაში. ამ კაცებს ბურთი ხელში უჭირავთ. უკან კი იმდენი რამე დგას, რომ იმაზე თვალის არიდება, დიდი ფუფუნება იქნებოდა.



WWW.LIBERALI.GE

n2/75

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვაკეთებთ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, სადაც ინიციატივები თანამშრომლებისგან მოდის

სინერჯი 1999 წლიდან
ორგანიზაციული არქიტექტურა
ჯგუფი

www.synergy.ge

16 წლის განმავლობაში

ორგანიზაციული განვითარების 300-მდე პროექტი

100-ზე მეტ წარმატებულ ორგანიზაციასთან საქართველოში